აპრილი 13 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი №64 (358) ფასი 40 თეთრი

## აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესაძლო მოთხოვნას. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტისთვის, კარგად ინფორმირებული წყაროებიდან გახდა ცნობილი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომელიც სამდღიანი ვიზიტით იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, აღნიშნა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ დოკუმენტის პროექტს პარლამენტი იხილავს და მის შესახებ დადგენილება მიღებული იქნება მომავალ სამშაბათს.

იპრინდა




## ბაბურინის პოზიცია

„მე ვეწინააღმდეგები რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას აფხაზეთიდან", — ასე განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა სერგეი ბაბურინმა. მისი აზრით, ეს საბრძოლო მოქმედებების ახალ ტალღასა და რუსეთის, როგორც შუამავლის, დისკრედიტაციას, კავკასიაში პოზიციების შესუსტებას გამოიწვევს. ბაბურინი თვლის, რომ აფხაზეთის მიმართ ბლოკადის შენარჩუნება მიმართული იქნება არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ რუსეთის წინააღმდეგაც.

BGI

## ორ ცეცხლს შუა...

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია აფხაზეთში მყოფი რუსეთის სასაზღვრო ჯარების გარშემო შექმნილი მდგომარეობითა და თბილისსა და სოხუმს შორის კონფლიქტში მათი ჩათრევის საშიშროებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის და ბეჭდვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ მ.დემურინმა განაცხადა, რომ „რუსეთის სასაზღვრო ჯარების დანაყოფები ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ" და „როგორც აფხაზური, ასევე ქართული მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები ნაჩქარევი და იარლიყმინებებულია".

იპრინდა

## სოხუმის პორტი ღიაა...

სოხუმის პორტი ღიაა აფხაზეთისთვის განკუთვნილი გემების მისაღებად, ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული მოსკოვში, სამთავრობო დონეზე. იგი რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის მეთაურის ანდრეი ნიკოლაევისა და ვლადისლავ არძინბას შორის ახლახანს გამართული მოლაპარაკების შედეგია. რუსეთის სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის ინფორმაციით, სოხუმის პორტში ყველა გემს შეამოწმებენ რუსი მესაზღვრეები. შემოწმების შედეგები უნდა ეცნობოს ქართულ მხარეს. პასუხი აღნიშნულ საკითხზე ქართულმა მხარემ უნდა აცნობოს 48 საათის განმავლობაში. პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, საკითხი შეუთანხმებლად ჩაითვლება.

BGI

## ყოველ შაბათს: «არილი» ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»




### პრეზენტაცია

## ელჩი აცტეკების ქვეყანაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს ელჩმა თედო ჯაფარიძემ რწმუნებათა სიგელები გადასცა მექსიკის პრეზიდენტს ერნესტო ზადილიო პონსე დელ ლეონოს. თედო ჯაფარიძე შეხვდა, აგრეთვე, მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ხოსე ანხელე გურიეს. საუბარი შეეხო თანამშრომლობის საკითხებს და რეგიონულ პრობლემებს.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის შემდეგ, თედო ჯაფარიძემ პრესკონფერენცია გამართა.

BGI

### ახალი საზღვარგარეთი

## ჯაშუში დიპლომატი

...ტარ-ტასის ცნობით, შვეიცარიის ...ლისუფლებმა ბრალი დასდეს ...რუსეთის ფედერაციის საელჩოს ...ველ მდივანს დაზვერვით საქმიანობაში (მის გვარს არც პოლიცია ...რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები არ ასახელებენ). იგი დააკავეს ...რიხში ინფორმაციის მიღების მომენტში. შვეიცარიელებმა ...მუშობის კვალიფიკაცია მი... საელჩოს თანამშრომელს ...ილი დაადეს, მაგრამ როგორც ... გაირკვა, რომ იგი დიპლომატი ... მაშინვე გაათავისუფლეს.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალურმა დეპარტამენტმა რუსეთის ...ელჩოს ოფიციალურად განუცხადა ...პროტესტი და გამოთქვა იმედი, რომ ...ამოვნო ისტორიაში გახვეული ...დიპლომატი უახლოეს დღეებში დატოვებს ალპურ ქვეყანას.

## მეთაურთა შეკრება

...სკოვში გაიხსნა დსთ-ს სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომა გუშინ, „პრეზიდენტ-ოტელში", განიხილავდნენ 1996-1997 წლებისთვის თანამშრომლობის პროგრამას. საერთოდ, საბჭოს სამუშაო გეგმა ძალიან დატვირთულია. მხარეები იმსჯელებენ საერთო საჰაერო თავდაცვისა და საზღვრების ერთობლივი კონტროლის ...ის შექმნის, ერთიანი სავალუტო ...ის ჩამოყალიბების საკითხებზე. ამის გარდა, განიხილავენ ...ზებულ ...ლებებ ...ერთიანე...

### ნომერში

## თურქული უნივერსიტეტი — რუსეთის აგენტების გასაშიფრი ლაკმუსი?

სოზარ სუბელიანი

იხილეთ მე—3,4 გვ.

ფირმა «მარსი» გთავაზობთ სამუშაოს

Mars

იხ. მე—3 გვ.

### ვიზიტი

## ბრაზაუსკასი თბილისში

თბილისში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება ლიტვის პრეზიდენტი ალგირდას ბრაზაუსკასი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბალტიისპირეთის რესპუბ-

იხ. მე—2 გვ

## ჟვანია ბაქოში

11 აპრილს დაიწყო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განჯაში გვირგვინით შეამკო დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის

იხ. მე—2 გვ

### ნომერში

## დღეს, 1996 წლის 13 აპრილს ივანე ჯავახიშვილს 120 წელი უსრულდება



იხ. მე—3 გვ.

### SOS

## სასმელი წყალი —შენელებული მოქმედების ნაღმი

„საქართველოში სასმელი წყალი შენელებული მოქმედების ნაღმია", — განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელმა თამაზ ჩოლოყაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ წყლის რესურსების გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემის უფლება მხოლოდ აღნიშნულ სამმართველოს აქვს.

ფინანსურ პრობლემებზე საუბრისას, თამაზ ჩოლოყაშვილმა აღნიშნა, რომ სამინისტროს ფინანსები მხოლოდ ხელფასების გაცემისთვისაა საკმარისი. ასეთ პირობებში, კვლევითი სამუშაოების ჩატარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. „ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ იმიტომ, რომ დაფიქსირდეს, — საქართველოში არის ასეთი სტრუქტურა. ეს სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების შეცდომაა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ყველა რეგიონში აქვს თავისი ლაბორატორიები; ჩვენ კი რაიონში ერთი სპეციალისტის გაგზავნის საშუალებასაც მოკლებული ვართ", თქვა მან.

კატასტროფულ მდგომარეობაშია სასმელი წყალი. არაგვი და მტკვარი, პრაქტიკულად, არ იწმინდება. მართალია, არაგვს აქვს თვითგანმწენდის საშუალება, მაგრამ კატასტროფა მაინც ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოხდეს. მაშინ ბრძოლა ეპიდემიასთან გაცილებით მეტ თანხებს წაიღებს, ვიდრე გამწმენდი ნაგებობების აღდგენა.

BGI

ვიზიტი

# ბრაზაუსკასი თბილისში

პირველი გვერდიდან

ლიკებიდან უმაღლესი დონის წარმომადგენელი ეწვია საქართველოს. ორ ქვეყანას შორის დაიდო ურთიერთობის გაღრმავების, სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის, საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის, სპორტის, ტურიზმის, საპაერო მომსახურეობის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები.

„ლიტვა უკვე ჩაერთო ევროპის ინტეგრაციულ სისტემაში, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — ჩვენ გვაქვს საშუალება მათი გამოცდილების გაზიარებით დავაჩქაროთ ეს პროცესი. შევთანხმდით ჩვენი ურთიერთობის, საერთაშორისო და რეგიონულ ურთიერთობებში ჩვენი მონაწილეობის საკითხებზე".

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ გარდაუვალია ინტეგრაციის პროცესები მთელ ევროაზიის კონტინენტზე. ამ მხრივ ლიტვის მდგომარეობა ბევრად სტაბილურია. იგი ახლოსაა დასავლეთ ევროპასთან და ინტეგრაციულ პროცესებშიც უფრო აქტიურად არის ჩართული. საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ მეზობლებთან უნდა მოაგვაროს ურთიერთობა, თუმცა, აღინიშნა, რომ „ლიტვის რესპუბლიკა და საქართველო განიხილავენ ნატოს, როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის, სტაბილურობის და უშიშროების ერთ-ერთ გარანტს და გადაწყვეტილი აქვთ, აქტიურად ითანამშრომლონ პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის".

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ დსთ-ს საერთო თავდაცვის სისტემა ჩანაფიქრში კარგია, ხოლო როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომავალი გვიჩვენებს. ბელარუსს და რუსეთს შორის დამყარებული ურთიერთობებისგან განსხვავებით, საქართველოს და რუსეთს შორის პრინციპულად განსხვავებული ურთიერთობაა დამყარებული და საქართველო დსთ-ს სივრცეშიც სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს. რაც შეეხება ლიტვას, როგორც ბატონმა ალგირდას ბრაზაუსკასმა განაცხადა, მას კონსტიტუციით აქვს აკრძალული ნებისმიერი სახის პოსტსაბჭოთა გაერთიანებასთან კავშირში შესვლა.

სოზარ სუბელიანი

# ჟვანია ბაქოში

პირველი გვერდიდან

მემორიალი. საზოგადოების წარმომადგენლები თბილად მიესალმნენ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებს. ბევრი მათგანი ქართულად წარსდგა დამსწრეთა წინაშე. გუშინ საღამოს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ბაქოში გაფრინდა. ბაქოს აეროპორტში საქართველოს დელეგაციას დახვდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარე რასულ გულიევი, პარლამენტის სხვა ხელმძღვანელები, დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ზურაბ ჟვანიამ ყვავილებით შეამკო 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა საფლავები აზერბაიჯანის თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხეივანში, სადაც საქართველოს მოქალაქეები, ბოლნისელი აზერბაიჯანელებიც განისვენებენ.

გუშინ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში გაიმართა შეხვედრა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიასა და აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარეს რასულ გულიევს შორის. გუშინვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის წინაშე.

ვიზიტის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა. საღამოს გაიმართა ოფიციალური სადილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პატივსაცემად.

პარლამენტის პრესსამსახური

მსოფლიო

## სადამ ჰუსეინის ოჯახში

ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის უფროსი ქალიშვილის რაგდას თვითმკვლელობის მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. ერაყის ოპოზიციური წყაროს ცნობით, იგი სიკვდილისგან იხსნა ნათესავთა დროულმა ჩარევამ. ასეთი ქმედების საფუძვლად ოპოზიცია ერაყელი დიქტატორის ოჯახის შიგნით განხეთქილებას მიიჩნევს. რაგდა და მისი უმცროსი და რანა დაქვრივდნენ მათი ქმრების სიკვდილით დასჯის შემდეგ, რომლებიც ჯერ იორდანიაში გაიქცნენ, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდნენ. ოფიციალური ვერსიით, ჰუსეინის სიძეების სიკვდილი წარმოადგენდა „შურისძიების აქტს ეროვნული ღალატისთვის".

## ბრძოლები მთებში

თურქეთმა საჯარისო ნაწილები ქვეყნის აღმოსავლეთში, მთიან რეგიონში, გადაგზავნა, სადაც ქურთი მებრძოლები არიან გამაგრებულები. დროდადრო თურქეთის საჯარისო ნაწილებს ვერტმფრენებით მიეწოდება საკვები. ქურთთა 12-წლიანი სეპარატისტული კამპანია გრძელდება. PKK (ქურთთა სამხედრო ფორმირება) აცხადებს, რომ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შეწყვეტს ბრძოლას, თუმცა თურქეთის ახლადარჩეული მთავრობა ჯერჯერობით იგნორირებას უკეთებს მათ წინადადებას. მას შემდეგ, რაც ქურთებმა დაიწყეს კამპანია ავტონომიის, ფაქტობრივად კი, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, უკვე დაახლოებით 19 ათასი ადამიანი დაიღუპა.

## სერბთა პროტესტი

გუშინ ბრიუსელში გაიხსნა ბოსნია-ჰერცეგოვინის ეკონომიკური დახმარების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ბოსნიელი სერბების მხარემ უარი განაცხადა ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან მიაჩნია, რომ მოშლილი ეკონომიკის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. დონორი ქვეყნები აპირებენ მუსლიმანურ-ხორვატულ ფედერაციას 3,7 მილიარდი დოლარი გამოუყონ, ბოსნიელი სერბებისთვის კი მხოლოდ ნახევარი მილიარდია განსაზღვრული.

ჩეჩნეთი

# ომი ბრძოლის ველზე და მის მიღმა

ბოლო ორი დღის განმავლობაში შედარებითი სიმშვიდე სუფევდა ჩეჩნეთის იმ რაიონებში, სადაც მანამდე ბრძოლების ეპიცენტრი იყო. სამაგიეროდ, ძალიან დაიძაბა სიტუაცია ჩეჩნეთ-დაღესტანის საზღვარზე. ინტერფაქსის ცნობით, დაღესტნის საზღვრისპირა სოფელში გამაგრებულია ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი, რომლის წევრებსაც მთელი რიგი დივერსიების განხორციელება აქვთ დაგეგმილი. მათგან ნებისმიერ დროს მოსალოდნელია საზღვრის დარღვევა. ამასთან დაკავშირებით, დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა ყაზარმულ მდგომარეობაშია გადაყვანილი.





შუამავლები

საკუთრივ ჩეჩნეთში, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარის ეგორ სტროევის თქმით, 22 რაიონიდან საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ 3-ში ფიქსირდება. ინტერფაქსის ცნობით, გასულ დღე-ღამეში ფედერალური ძალების პოზიციები 15-ჯერ დაიცხრილა, დაიჭრა 8 სამხედრო, მსხვერპლი არ ყოფილა. ფედერალური ძალების ხელმძღვანელობა კი იუწყება, რომ ურუს-მარტანის რაიონის სოფელ გოესკოეში, სადაც რუსეთის ფორმირებებს 400-ზე მეტი „ბოევიკი" ჰყავთ ბლოკირებული, ორმხრივი სროლა მხოლოდ რამდენჯერმე აღინიშნა. ლოკალური ბრძოლები იყო სტარი აჩხოისა და ორეხოვოს ტერიტორიებზეც. ფედერალური ძალების შტაბის უფროსის, ანატოლი შკირკოს აზრით, რუსი სამხედროები ელცინის ბრძანების შესაბამისად მოქმედებენ და მათი საბრძოლო მანევრები „სპეცოპერაციების ხასიათს" ატარებს. სხვაგვარად ფიქრობს ჩეჩნეთში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. „ელცინმა გასცა ბრძანება ფართომასშტაბიანი ოპერაციების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ავია და სარაკეტო დაბომბვები ფართომასშტაბიანი ოპერაცია არ არის?" — კითხულობს იგი. მანვე აღნიშნა, რომ რუსების სამხედრო შენაერთები ძალიან ადვილად ეგებიან ჩეჩნების პროვოკაციებზე. მთლიანად კი, მშვიდობიანი გეგმის განხორციელების პერსპექტივა, მისი აზრით, საგანგაშოა.

ბევრი პოლიტიკოსისთვის წრის კვადრატად იქცა ჩეჩნურ-რუსული დიალოგის შუამავალთა საკითხიც. თათრეთის პრეზიდენტი მინტიმერ შაიმიევი, რომელმაც უკვე მიიღო შუამავლის ოფიციალური უფლებები, ვარაუდობენ, რომ უახლოეს ხანში შეხვდება დუდაევს. შეხვედრის მთავარი მიზანი იქნება კონფლიქტის დარეგულირების საზედამხედველო კომისიის ხელახალი შექმნა. თუმცა, ელცინის წარმომადგენელი შუამავლობის შესაფერის ნატურად ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს მიიჩნევს, რომელმაც უკვე მიიღო შუამავლის ოფიციალური სტატუსი და განაცხადა თანხმობა, ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ დროს შეხვდეს ჯოხარ დუდაევს. იტარ-ტასის ცნობით, ზოგიერთი პოლიტიკოსი საჭიროდ მიიჩნევს მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღონ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკათა ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სირიის, იორდანიისა და თურქეთის ჩეჩნური დიასპორის ლიდერებმაც. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს უკანასკნელნი საკუთარი შუამავლობის იდეას, დღემდე საკმაოდ გულგრილად უყურებენ.

კონფლიქტის დარეგულირების რუსული კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოწესრიგება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, მოინდომებს თუ არა ჩეჩნური მხარე მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას. „სახელმწიფო კომისიის ამოცანა და მიზანი არაა კონფლიქტი 16 ივნისამდე მოაგვაროს. მისი საქმიანობა არ უკავშირდება რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს", — განაცხადა ჩერნომირდინმა.

კონფლიქტები

# დაძაბულობის ახალი ესკალაცია



შიმონ პერესი

ურთიერთობა ისრაელსა და ლიბანს შორის დღითი დღე მწვავდება. ხუთშაბათს ისრაელის საჰაერო ძალებმა დაბომბეს ლიბანის რიგი რაიონები. თავდამსხმელები, როგორც თავად ამბობენ, „ჰესბოლახის" პოზიციებს იღებდნენ მიზანში. საჰაერო თავდასხმების შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა და 50 დაშავდა.

ერთ-ერთ სამიზნეს წარმოადგენდა ბეირუთის შემოგარენში მდებარე შიიტ მუსლიმანთა რაიონიც. ეს იყო ბოლო 14 წლის შემდეგ პირველი შეტევა ლიბანის დედაქალაქზე.

თუმცა, ისრაელი აცხადებს, რომ იგი მიზანში მხოლოდ იმ ადგილებს იღებდა, სადაც, მისი აზრით, „ჰესბოლახის" სამხედრო შტაბბინები იყო განლაგებული, ლიბანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ზიანი მხოლოდ მშვიდობიანმა მოქალაქეებმა განიცადეს.

ლიბანის პრემიერმინისტრი ისრაელს ძალადობაში სდებს ბრალს, თუმცა, ისრაელის პრემიერმინისტრი შიმონ პერესი პასუხად აცხადებს, რომ საომარი კამპანია მაინც გაგრძელდება: „თუ მათ „კატიუშები" აქვთ, ჩვენ უკეთესი რაკეტები გვაქვს; თუ ისინი გვიღებენ მიზანში, ჩვენ კიდევ უფრო მეტ სამიზნეს ვნახავთ; თუ მათ არ შეუძლიათ წყნარად ყოფნა, ჩვენ შეგვიძლია „მოსვენება" მოვანატროთ..."

„ჰესბოლახის" ლიდერი, პროირანული პარტიის თავმჯდომარე შეიხ ჰასან ნასრა-ალი იმუქრება, რომ ბეირუთზე თავდასხმისთვის განსაკუთრებულ სამაგიეროს გადაუხდის ისრაელს, არ დაინდობს ჩრდილოეთ ისრაელის ტერიტორიას, საპასუხოდ კიდევ უფრო ძლიერ დაბომბვებს მოაწყობს იქ.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ლიბანის მთავრობას მოუწოდა, იზრუნოს „ჰესბოლახის" განიარაღებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს გამწვავებული კონფლიქტის მოწესრიგება.

ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები საომარი მოქმედებების გაგრძელებას კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში აპირებენ, თუმცა, საჰაერო თავდასხმები იაფი არ უჯდება ისრაელს, მაგრამ ვიდრე „ჰესბოლახი" „ჭკუას არ ისწავლის", დაძაბულობა არ მოიხსნება.



შეიხ ჰასან ნასრა-ალი

ისრაელში პარლამენტის საყოველთაო არჩევნებამდე შვიდი კვირაღა დარჩა. ქვეყანაში მთავრობის მხრიდან მშვიდობის შენარჩუნებაში უძლურებით გამოწვეული წყრომა და რისხვა სულ უფრო იზრდება. ასე რომ, როგორც ჩანს, ისრაელის ამჟამინდელი მმართველი წრეები ნდობას კარგავენ.

ნათელია, რომ კონფლიქტი უნდა მოგვარდეს, მაგრამ როგორც დღევანდელი სიტუაცია ცხადყოფს, ჯერჯერობით, არც ერთ მხარეს, — არც ლიბანსა და არც ისრაელს, — არ შესწევს ძალა მდგომარეობის სტაბილიზაცია უზრუნველყოს.

აღნიშნული მოვლენების გამო, ლიბანმა გადაწყვიტა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, რათა ისრაელის ავიაციამ შეწყვიტოს ფრენა ლიბანის ტერიტორიაზე, რამაც, ლიბანის ხელისუფლების აზრით, რეგიონში საერთო პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება გამოიწვია და, ფაქტობრივად, ჩაშალა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი.

ახალი საზღვარგარეთი

## კატასტროფა, ავარია...

კამჩატკაზე თვითმფრინავ „ИЛ"-76 კატასტროფის რაიონში შეწყდა სამძებრო სამუშაოები. ამის მიზეზი გახდა დიდთოვლობა, რასაც, შესაძლოა, ზვავები მოჰყვეს. არ შედგება, აგრეთვე, პანაშვიდიც, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო დაგეგმილი. სპეციალისტთა აზრით, დაღუპულთა ახლობლების იქ გადაყვანა, მეტეოროლოგიური პირობების გამო, სახიფათოა.

* * *

ნიჟეგოროდის ოლქის ერთ-ერთ რაიონში აფეთქდა ნავთობსადენის ერთ-ერთი მონაკვეთი. ავარიის შედეგად დაიღვარა დაახლოებით 500 ტონა ნავთობი. ინტერფაქსის ცნობით, ნავთობსადენი გადაკეტილია, ხოლო ავარიის მიზეზები დგინდება.

## პრობლემა

# თურქული უნივერსიტეტი — რუსეთის აგენტების გასაშიფრი ლაკმუსი?

**საქართველოში თურქული უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის პრობლემას, რომელიც ბოლო დროს საზოგადოების ფართო განხილვის საგნად იქცა, კიდევ ერთი შეხვედრა მიეძღვნა. ამჯერად მისი ინიციატორი განათლების სამინისტრო იყო, რომელმაც, პრესასა თუ სხვადასხვა თავყრილობებზე გამართული სამთვიანი მსჯელობის შემდეგ, მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია.** „ლიცენზიას ვერავინ გასცემდა მინისტრთან შეთანხმების გარეშე", — **განაცხადა განათლების მინისტრმა, ბატონმა** თამაზ კვაჭანტირაძემ. — „ვერც ვერავინ მაიძულებდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიმეღო, ამიტომ მე პასუხისმგებლობას სრულად ვკისრულობ. ზოგიერთი პირი ზოგჯერ საკითხის ფორსირებას ცდილობდა, რის გამოც დაპირისპირება მქონდა ბატონ გურამ მამულიასთან და ფირმა „ჩალლარის" წარმომადგენლებთან. მითითება ამ საკითხის გადაწყვეტის შესახებ მოდიოდა უმაღლესი დონიდან და არა მხოლოდ პრემიერმინისტრიდან და ვიცეპრემიერებიდან", — **განაცხადა მან და ბაზალეთის უნივერსიტეტის ვიზირების საკითხი ქართულ-თურქული ურთიერთობის ქვაკუთხედად გამოაცხადა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ამ საკითხის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ამ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების შემდგომი ბედი, საბუთად კი ბატონ სულეიმან დემირელის მიერ ედუარდ შევარდნაძისადმი მოწერილი წერილი წამოაყენა, რომელშიც თურქეთის პრეზიდენტი რეკომენდაციას უწევს თურქულ ფირმა „მარსს", რომ ააშენოს ინგლისურენოვანი უნივერსიტეტი საქართველოში.** „საკითხი ასე იდგა, ან სამსახურიდან უნდა წავსულიყავით მე და ვიცეპრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი, ან უნდა შევთანხმებულიყავით უნივერსიტეტის აშენებას. ჩვენ არც ერთი გავაკეთეთ და არც მეორე, არამედ, ავირჩიეთ მესამე გზა — ჩვენთვის დასაშვებ კონდიციამდე მივიყვანეთ პროექტი", — **განაცხადა განათლების მინისტრმა.**

## რუსეთის აგენტები?

ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის საკითხი საქართველოში თურქი და რუსი სპეცსამსახურების მოღვაწეობის პრობლემას დაუკავშირა. ამის გაკეთება მან შეძლო იმ აზრის არაერთხელ განმეორებით, რომ თუ ზოგიერთები შიშობენ, უნივერსიტეტი თურქეთის რეზიდენტების ბუდედ იქცევა, სამაგიეროდ, აშენების მომხრეებიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ საწინააღმდეგო აზრი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის შემოგდებული. მინისტრი, მისივე განცხადებით, არ ეთანხმება საკითხის ასე დაყენებას, თუმცა, სიტყვა „რეზიდენტების" შემოგდებით საზოგადოების ყურადღება უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის განხილვიდან რუსეთის „კგბ"-ს ძლევამოსილი აჩრდილისკენ გადაიტანა. ამავე დროს, ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ არაორაზროვნად განაცხადა, რომ ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები და განსაკუთრებით, თურქოლოგები, თუ სუკის აგენტები არ იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, საგანგებო სამსახურებისგან იდეოლოგიური დამუშავების ისეთ წნეხს განიცდიდნენ, რომლის გავლენისგან დღემდე ვერ გათავისუფლებულან. „ერთხელ ჩამოყალიბებული მენტალიტეტი ასე ადვილად ვერ შეიცვლება", — განაცხადა მინისტრმა, რომელმაც ეჭვით შეხედა „სავლეების კოლექტიური გაპავლეების" პროცესს და თქვა, რომ „ძალიან შეხმატკბილებულად შეიძლება გამოჩნდნენ ჟურნალისტები სუკის რუსულ ფრთასთან".

„იდეოლოგიურ წნეხს", როგორც ჩანს, ვერც აღმოსავლეთმცოდნეობის სხვა დარგის სპეციალისტები გადაურჩნენ. „ამ ტიპის უნივერსიტეტი ჩვენ არ გვჭირდება", — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგემ, პროფესორმა **კონსტანტინე წერეთელმა**.

ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების გარდა, როგორც ჩანს, რუსული დაზვერვის რეზიდენტთა სიაში აღმოჩნდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებმაც უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე გამოხატეს თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ ახალი უნივერსიტეტის მიმართ. განზე, ეტყობა, ვერც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დავტოვებთ. „მე სათითაოდ გამოვკითხე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ყველა წევრის აზრი და ყველანი წინააღმდეგი არიან ამ უნივერსიტეტის აშენების", — განაცხადა მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე აკადემიკოსმა **ანდრია აფაქიძემ**. „არ უნდა დავუშვათ, ეს სისაძაგლე, ეს საქმე სასამართლოთი უნდა დამთავრდეს", — ასეთი იყო ქართული მათემატიკური სკოლის უხუცესი წარმომადგენლის, აკადემიკოს **გიორგი ჭოღოშვილის** მოთხოვნა. „ეს საქმე მთლიანად უნდა გამოიძიონ პროკურატურის და უშიშროების სამსახურებმა. გამოიყოს კომისია და შეისწავლოს განათლების სამინისტროს მოღვაწეობა, რომელიც არგანათლების სამინისტროდ იქცა. მანამდე კი უმაღლეს სასწავლებლებს რექტორთა საბჭომ უხელმძღვანელოს", — ეს სიტყვები ცნობილ მათემატიკოსს, აკადემიკოს **ლევან ჟიჟიაშვილს** ეკუთვნის.

„სუკის რეზიდენტების" იარლიყს ვერც ქართველი გეოგრაფები ასცდებიან. „უკანონო გარიგება გასაუქმებელია" — მოითხოვეს აკადემიკოსმა **ვახტანგ ჯაოშვილმა**, პროფესორებმა **ზურაბ ტატაშიძემ** და **დავით უკლებამ** გაზეთ „კავკასიონის" ფურცლებზე, მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე კი ბატონმა **ვახტანგ ჯაოშვილმა** განაცხადა: „ვეთანხმები იმათ, ვინც ამ უნივერსიტეტის გახსნაში დამნაშავე პირთა საქმის შესწავლას მოითხოვს, რომ მომავალში სხვებმა არ მიიღონ ასეთი უპასუხისმგებლო და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები".

ეჭვქვეშ დგება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტიც, რომლის უარყოფით დამოკიდებულება აღნიშნული უნივერსიტეტისადმი მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე გამოხატა საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელმა, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა **დანიელმა**.

„მავ სიას", როგორც ჩანს, ვერც მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **ივანე კიღურაძე** ასცდება, რომელმაც ისე დატოვა განათლების სამინისტროში გამართული შეხვედრა, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე — რა იხსნება ბოლოსდაბოლოს, რატომ დებენ თურქი ბიზნესმენები ფულს ამ წამგებიან საქმეში, რომელის ცნობილი თურქი თუ ქართველი მეცნიერები დგანან ამ წამოწყების უკან და ვისი იმედით აპირებენ შექმნან მაღალი დონის სასწავლო დაწესებულება — პასუხი ვერ მიიღო. იმისთვის, რომ ნუსხა მეტნაკლებად სრული იყოს, ალბათ, ქართველი მწერლებიც არ უნდა დავივიწყოთ. რეზიდენტების ასეთი ფართო და სახელოვანი ქსელი ნამდვილად შეშურდება ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურს.

## ვის სჭირდება იდუმალება?

„რაც გვჭირს, ხშირად გაუგებრობაზე და იდუმალებაზეა დამყარებული. არაფერი საჩუმათო და ზურგსუკან გასაკეთებელი არა აქვს არც ერთ სახელისუფლებო სტრუქტურას", — განაცხადა ბატონმა **თამაზ კვაჭანტირაძემ**. დასამალი ნამდვილად არაფერია, თუმცა, თუ რამე არ გაცხადდა თავის დროზე, ამაში ბრალს საზოგადოებას ნამდვილად ვერ დავდებთ. თავის დროზე თვითონ განათლების მინისტრი იყო წინააღმდეგი, რომ თურქული უნივერსიტეტის შესახებ აჟიოტაჟი დაწყებულიყო. „ძალიან დიდი ავალა და გასაქანი აქვს ჩვენში მითქმა-მოთქმას, — ამბობდა რამდენიმე თვის წინ ბატონი **თამაზ კვაჭანტირაძე**, — ალბათ, ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა, სენსაციური გახადოს ჩვენი მოსაწყენი ცხოვრება... ხომ გახსოვთ ის ცნობილი ლექსი, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია ერთ დროს: „ან დანა დამარტყი, ან ცოლი წამგვარე, ან რაღაც ამგვარი". ეტყობა, ცოტა უნდა გავახალისოთ ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ხშირად გახალისების არცთუ მთლად მისაღებ ფორმებს ვპოულობთ... ამერიკული უნივერსიტეტი რომ გახსნილიყო, ალბათ, ასეთ აჟიოტაჟს არ გამოიწვევდა".

არა მგონია, დღევანდელი ცხოვრება ისეთი მოსაწყენი იყოს, რომ მის გასახალისებლად რაღაც დამატებითი სენსაციების მოძებნა სჭირდებოდეს ქართველ საზოგადოებას. თითქოს არ გვყოფნიდეს საფიქრალი და თავში საცემი, რომ ახალ-ახალ გასართობებს ვიგონებდეთ, ვქმნიდეთ პრობლემებს და შემდეგ მთელი ქართველი მეცნიერები და ინტელიგენცია თავს ირთობდეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემების შესახებ მსჯელობით. თუმცა, თუკი ამ რამდენიმე თვის წინ ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ამ უნივერსიტეტს მხოლოდ დადებითად აფასებდა, დღეს აცხადებს — ეჭვებისგან არც მე ვარ მთლად თავისუფალიო, — ოღონდ ეჭვის საფუძველს არ აკონკრეტებს.

რაც შეეხება ინფორმაციის დამალვას და იდუმალების საფარველის შექმნას, ეს სწორედ ამ უნივერსიტეტის მესვეურებისგან მოდიოდა. ფირმა „ჩალლარის" პრეზიდენტმა, ბატონმა პაიათი ქუჩუქმა თავის დროზე უარი მითხრა რაიმე ინფორმაციის მოცემაზე და მის დაწესებულებაში მისვლაც ამიკრძალა. ფირმა „მარსის" კოორდინატორმა, ბატონმა მესუთ ბოსხირმა კი გამომიცხადა — ეს უნივერსიტეტი თქვენს მთავრობასთან ერთად გავაკეთეთ და მთავრობის საქმეებზე თქვენი დეტალური მუშაობა მე სწორად არ მიმაჩნიაო. როცა რაღაცის დამალვას ცდილობენ, ეტყობა, არის კიდეც რაღაცა დასამალი. ამიტომ ხდებოდა ასე დაჩქარებულად უნივერსიტეტის საბუთების გაფორმება, ამიტომ ცდილობდნენ, რომ მშენებლობა უკვე ნელხვე, მარტ-აპრილში დაწყებულიყო თანაც ისე, რომ სათანადო გეოლოგიური, არქეოლოგიური, ეკოლოგიური თუ სხვა საჭირო გამოკვლევები ჯერ ჩატარებული არ არის. ამიტომ მიიღეს სასწავლო წლის დასასრულს, მარტის თვეში თურქული უნივერსიტეტის პირველ კურსზე პირველი სტუდენტები, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაეყენებინათ ფაქტის წინაშე — რა დროს გაუქმებაზეა ლაპარაკი, სასწავლო პროცესი უკვე დაიწყო, თუ რამეში ეჭვი გეპარებოდათ, რატომ თავის დროზე არ განაცხადეთო.

## უნივერსიტეტი ამბიციებისთვის?

„მე ვერაფრით მოვისმინე ის არგუმენტი, რომელიც დამარწმუნებდა, რომ ეს უნივერსიტეტი არ არის საჭირო", — განაცხადა ბატონმა **თამაზ კვაჭანტირაძემ**. სამწუხაროდ, სამთვიანი პოლემიკის განმავლობაში ვერც განათლების სამინისტრომ შეძლო თავისი დასაბუთებული სიტყვა ეთქვა. როცა პირველად დაისვა საკითხი თურქული უნივერსიტეტის შესახებ, ბატონმა **თამაზ კვაჭანტირაძემ** განაცხადა: „ჩვენთან ყველას უნდა, რომ დაამთავროს კემბრიჯის, ოქსფორდისა თუ სორბონის უნივერსიტეტი. ეს სასწავლებელი მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ნიშანდობლივი, ზოგჯერ საფუძვლიანი და ზოგჯერ უსაფუძვლო ამბიციები დავაკმაყოფილოთ". საკითხავია, რამდენად შეძლებს ბაზალეთის ტბაზე მშენებარე უნივერსიტეტი კემბრიჯ-ოქსფორდ-სორბონის უნივერსიტეტების შეცვლას, მაგრამ „საზოგადოებისთვის ნიშანდობლივი საფუძვლიანი და უსაფუძვლო ამბიციების" დასაკმაყოფილებლად ოთხმოცდაცხრამეტი წლით მიწის გასხვისება და ისეთი საუნივერსიტეტო ქალაქის აშენება, რომელიც თვითონ მინისტრშიც გარკვეულ ეჭვებს ბადებს, უპრეცედენტო შემთხვევაა. როცა უნივერსიტეტის გახსნის მომხრეებს არანაირი არგუმენტი არ გააჩნიათ გარდა „ამბიციების დაკმაყოფილებისა" და იმაზე ქირქილისა, თუ „როგორ დააფეთა ერთმა მოლამ გაზეთი „კავკასიონი" და ტიტულოვანნი მავანნი" (**გურამ მამულია**, გაზეთი „კავკასიონი" 9.04.96), ვფიქრობთ, საზოგადოებას აქვს უფლება, რომ ეჭვი გამოთქვას ამ საქმის მიზანშეწონილობის შესახებ.

ზემოთაც ვთქვით, რომ უპასუხოდ დარჩა ბატონ **ივანე კიღურაძის** კითხვაც: უნივერსიტეტი არათუ მომგებიანი არ იქნება, არამედ ყოველწლიურ კაპიტალდაბანდებასაც მოითხოვს. მაშ რისი მონილეები გახდნენ განათლების სამინისტრო და დუშეთის რაიონი — ნაგების? ან რატომ არიან კერძო ფირმები დაინტერესებული, რომ ამდენი თანხა დააბანდონ წამგებიან საქმეში? ამოცანის ამოხსნა დუშეთის რაიონის გამგებელმა, ბატონმა **კობა ბუჩუკურმა** იტვირთა. მისი თქმით, თუ იმ მოგებასაც გამოვითვლით, რაც საუნივერსიტეტო კომპლექსის აშენების შემდეგ ბაზალეთის ტბაზე საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოჰყვება, აღმოჩნდება, რომ საკმაოდ მომგებიან კაპიტალდაბანდებასთან გვექნება საქმე. ძნელია, ბატონ **კობა ბუჩუკურის** „განმარტება" დასმული კითხვის პასუხად მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, მისივე თქმით, თავდაპირველად ამ კომპლექსის აშენება თბილისსა თუ სხვადასხვა რეგიონში იყო განზრახული და საეჭვოა, რომ მის დამფუძნებლებს აქაც ტურიზმიდან მოგების მიღების იმედი ჰქონოდათ. ამდენად, კითხვა — რატომ აბანდებენ კერძო ფირმები ათეულობით მილიონ დოლარს წამგებიან საქმეში, უპასუხოდ რჩება. ასევე საეჭვოა ბატონ **თამაზ კვაჭანტირაძის** იმედი — თურქები მოგებას მიიღებენ რესტორნებიდან, კაფეებისა და წარმოებისგან და ჩვენი წილი იქიდანაც უნდა შევინარჩუნოთო. საინტერესოა, როგორ უნდა გამოვაცხადოთ ბაზალეთის ტბის პირას წამოჭიმული რესტორანი ან მეფრინველეობის ფერმა უნივერსიტეტის ნაწილად, რომ სასწავლებლის მონილეებმა მათ მოგებაში წილი დაიდონ?

ცხადი, ჯერჯერობით, ერთადერთი რამ არის. მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი. ამ „ფერხულს" ვერც ბაზალეთის ტბის გარშემო არსებული ტურისტული ობიექტები გაექცევიან. მათი ახალი მფლობელებისთვის კი ბაზალეთთან დიდი საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა ნამდვილად ოქროს კვერცხის მდებელი ქათმის როლს ითამაშებს.

როცა სახელმწიფო მოხელე, რაიონის გამგებელი აცხადებს, თუ კარგად დავი-

გაგრძელება მე—4 გვ.

SNICKERS Mars

ფირმა „მარსი" სამუშაოდ იწვევს

ფირმა „მარსი" და მისი ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში ფირმა „მასტერ ტრეიდი" აცხადებს კონკურსს სავაჭრო წარმომადგენლის ადგილის დასაკავებლად.

ენერგიულ, კომუნიკაბელურ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ სავაჭრო წერტილებთან მუშაობის გამოცდილება, გთხოვთ მოგვაკითხოთ:

ქ.თბილისი, ნიკო ნიკოლაძის ქ.№7 (შესასვლელი ეზოდან).

ტელ: 98-73-99 (10-დან 17 საათამდე)

Twix BOUNTY

# თურქული უნივერსიტეტი — რუსეთის აგენტების გასაშიფრი ლაკმუსი?

(მესამე გვერდიდან)

თვლით, აღმოჩნდება, რომ მოგება იქნებაო, ეს არასერიოზული ნათქვამია. ასეთი განცხადების წინ მას ზუსტად უნდა ჰქონდეს დათვლილი, თუ რაზეა ლაპარაკი, კონკრეტულად რომელი ობიექტების ამუშავებას და რის აშენებას აპირებენ ინვესტორები, რამდენი იქნება მათი სავარაუდო კაპიტალბრუნვა, წლიური მოგება და მხოლოდ შემდეგ შეიძლება იმის თქმა, დაფარავს თუ ვერა ეს მოგება იმ ორმოცდათხუთმეტ მილიონ დოლარს, რომელიც ეს მშენებლობა ჯდება და იმ თანხას, რომელიც ყოველწლიურად დასჭირდება უნივერსიტეტის სერიოზულ ფუნქციონირებას.

ასევე გაუგებარია, რა გამოთვლებს ეყრდნობა ბატონი კობა ბუჩუკური, როცა აცხადებს, რომ უნივერსიტეტის მშენებლობაზე 3500 კაცი დასაქმდება და ამით რაიონის მოსახლეობას განაწყობს, რომ მხარი დაუჭირონ ამ მშენებლობას. მისი მეუღლის, პარლამენტარ მარინა მოლოდინის განცხადებაც — რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც მივაღწევ, რომ ეს უნივერსიტეტი აშენდეს და თანაც სწორედ ბაზალეთის ტბაზეო, — ისევ „ძლიერთა ამა სოფლისათა" განწყობას გამოხატავს, რომელთაც საზოგადოებრივი აზრის იგნორირება და საკუთარი სურვილების ასრულება ცხოვრების წესად დაუსახავთ. როცა სახელმწიფო მოხელეები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, ეს, უპირველეს ყოვლისა, მათსავე კომპეტენტურობას ხდის საეჭვოს.

## დამფუძნებელი - მესამე მხარე?

საინტერესოა, რომ ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ თავისი თავი „მესამე მხარედ" გამოაცხადა. თუ გავიხსენებთ, რომ განათლების სამინისტრო დამფუძნებელია, მაშინ ამოუხსნელია, თუ ვინ არის პირველი და მეორე მხარე. თუ მხარეებად უნივერსიტეტის გახსნის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს მიიჩნევს, მაშინ უნივერსიტეტის დაარსების ყველაზე აქტიურ მომხრედ, ბატონ გურამ მამულიასთან და ბატონ კობა ბუჩუკურთან ერთად, სწორედ ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე გვევლინება. თანაც, ლიცენზიაც მისი თანხმობით გაიცა და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმეც იტვირთა. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ განათლების მინისტრი მესამე მხარეა, ვინ არის პირველი და მეორე?

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ბაზალეთის ტბაზე ფუნდამენტალისტური შეფერილობის ორი კერძო ფირმის მიერ ახალი სასწავლებლის დაარსება ქართულ-თურქული კეთილმეზობლური ურთიერთობის კარდინალურ ხაზად გამოცხადებულიყო და ყველაფერი „დაბალანსების" პოლიტიკით ახსნილიყო. სიტყვა „დაბალანსება" ამ უნივერსიტეტთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირად ფიგურირებს, თუმცა, ვერავინ ამბობს, ვის და რას დააბალანსებს ეს უნივერსიტეტი. თუ რუსეთის გავლენის დაბალანსებაზეა ლაპარაკი, გაუგებარია, საქართველოში განლაგებული სამხედრო ბაზები როგორ უნდა დააბალანსოს ბაზალეთის კერძო უნივერსიტეტმა, რომელიც თვითონ განათლების მინისტრშიც ეჭვს იწვევს? ან სადამდე შევტოპავთ „დაბალანსების" ამგვარი გაუგებარი პოლიტიკით, რამდენ მეზობელს უნდა გავუხსნათ საქართველოში უნივერსიტეტი, ან რამდენი ქვეყნის სამხედრო ბაზები უნდა განვალაგოთ ჩვენს ტერიტორიაზე, რომ მსოფლიო დაბალანსების პოლიტიკის ჭიპად ვიქცეთ? ან კიდევ, როცა განათლების მინისტრი აცხადებს, საქართველოს და თურქეთს საერთო ინტერესებიც აქვთო და ამგვარი თანხვედრი ინტერესების მაგალითად ბაზალეთის უნივერსიტეტს მიიჩნევს, ნუთუ არ არის საჭირო, უკეთ ნარმოაჩინოს, რატომ იკვეთება ეს ინტერესები სწორედ ამ, მისთვისაც საეჭვო უნივერსიტეტში, მაშინ, როცა თვითონ განათლების სამინისტროს ორწელინადნახევარი დასჭირდება, სანამ აიძულებდა ამ ფირმებს, რომ მათი პროგრამები ქართული მხარისთვის მისაღებ კონდიციამდე მიეყვანა?

## რა ვუწოდოთ ბაზალეთის უნივერსიტეტს?

ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ძალიან მწვავედ რეაგირებდა, როცა ვინმე „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს" თურქულ უნივერსიტეტს უწოდებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა — ეს ქართული უნივერსიტეტია, რადგან ქართული განათლების სისტემის ნაწილიაო. ჯერ ერთი, თვითონ თურქეთში დემირელის კოლეჯსაც და ბაზალეთის უნივერსიტეტსაც ოფიციალური წრეებიც და ჟურნალისტებიც თურქულ კოლეჯად და უნივერსიტეტად მოიხსენიებენ. მეორე, საქართველოში არსებული ნებისმიერი სახის დაწესებულება სწორედ ქართულ კანონმდებლობას ემორჩილება, მაგრამ კუთვნილებით ისინი იმის საკუთრებას წარმოადგენენ, ვისაც აქციების საკონტროლო პაკეტი უჭირავს ხელში. თბილისში თურქის მიერ გახსნილი თურქული რესტორანი, რა პარიტეტიც არ უნდა იყოს დაცული დირექტორებისა თუ ოფიციანტებისა, მაინც თურქული რესტორანია და მისი ამ სახელით მოხსენიება არავითარ კატასტროფას არ იწვევს. თუ უნივერსიტეტის კუთვნილი აქციების 85 პროცენტი თურქული ფირმების ხელშია, თუ დემირელის კოლეჯის მფლობელები მთლიანად თურქები არიან, თუ ამ კოლეჯის ეზოში თურქული დროშა ფრიალებს, რატომ არის მათთვის „თურქულის" წოდება „შორსგამიზნული ეთნონიმური პოლიტიკა, რომელიც მომავალში სისხლისღვრას გამოიწვევს"? (ქალბატონი შუქია აფრიდონიძე). არც ერთმანეთისთვის ახე ხელაღებით რუსეთის, თუ რომელიმე სხვა ქვეყნის აგენტობის დაბრალება არ არის მთლად მიზანშეწონილი. „თურქული უნივერსიტეტის წინააღმდეგ ბრძოლას კამპანიის ხასიათი აქვს და შევარდნაძის თურქეთში წასვლის წინ გაჩაღდა", — განაცხადა ქალბატონმა შუქია აფრიდონიძემ და პარალელი გაავლო ამ „კამპანიისა" და საქართველოში ებრაელთა საფლავების შეურაცხყოფის ფაქტებს შორის, რაც შევარდნაძის ისრაელში გამგზავრების წინა პერიოდს დაემთხვა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ორივე მოვლენა გარედან იყო იმპორტირებული.

ყველას გვახსოვს, როგორ ხდებოდა საზოგადოების ტერორიზება ხუკის აგენტის იარლიყით, ცუდია, თუ იგივე შეცდომას თავიდან გავიმეორებთ.

„დღეს, პოზიციების განსხვავების შემთხვევაში, ძალიან ხშირად ნაუცდათ ენა და თურქული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეები რუსეთის აგენტებად მოიხსენიეს, — განაცხადა პარლამენტარმა რამაზ საყვარელიძემ. — ენას თავისი მოაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ნაცდენები რაიმე დავალებით ხდება. ჩვენ ხშირად ვეჯახებით პოლიტიკურ საკითხებს, ხშირად გვამოგვეპარება ხოლმე ისეთი რაღაცები, რაც მერე ცხვირწინ გვხვდება. თურქეთში პოლიტიკური ძალების ჭრელი სპექტრია, ამის გაუთვალისწინებლობა არავის ეპატიება. ისლამი არ არის მხოლოდ ისტორიული კატეგორია, იგი აწმყოში მოქმედი კატეგორიაა. აფხაზეთის მოვლენებში ისეთივე როლი ითამაშა თურქეთმა, როგორიც რუსეთმა. თურქოლოგები კარგად იცნობენ თურქეთში მიმდინარე მოვლენებს, საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას და მათი რჩევები უნდა გავითვალისწინოთ. საჭიროა კვლავ განახლდეს ამ საკითხის განხილვა. სანამ კითხვის ნიშნები არ მოიხსნება, მანამ შფოთის განცდაც რჩება".

ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემაც და ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმაც განაცხადეს, რომ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" მხოლოდ სახელწოდებაა და მისი მინიჭების უფლება ყველას აქვს, რომ ეს შეიძლება ავტორიტეტის შექმნის ტრიუკად ჩაითვალოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამას სხვა სარჩული მოვუძებნოთ. ცხადია, შავი ზღვისა თუ წყნარი ოკეანის სახელის მინიჭების უფლებას ვერავინ დააპატენტებს, მაგრამ პრობლემა ცოტა სხვანაირად დგას. ყოფილი პრემიერმინისტრი, ბატონი ოთარ ფაცაცია 1995 წლის 9 იანვრის განკარგულებაში ლაპარაკობს „შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტის ასაგებად" მიწის გამოყოფის შესახებ, ბატონი ჰაიათი ქუჩუქი კი თავის წერილში თბილისში „ბისეკის"(!) საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ არსებული გადაწყვეტილებით მანიპულირებს. ეს ყველაფერი საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანის მცდელობაა და მას შეგნებული აფიორის სახე აქვს. როცა ამ საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ მკაფიოდ დასვა კითხვა, ასეთივე მკაფიო პასუხის ნაცვლად მოვისმინეთ ზოგადი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შავი ზღვის სახელი არავის დაუპატენტებია და ყველას აქვს მისი გამოყენების უფლება.

## დასკვნის მაგიერ

განათლების სამინისტროში გამართულმა შეხვედრამ მრავალი უპასუხო კითხვა დატოვა, კვლავ დატოვა ეჭვი და ფორიაქი ქართულ საზოგადოებაში, თუმცა ერთი შედეგი მაინც უნდა აღინიშნოს. ისევე, როგორც მწერალთა კავშირში, უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში და სხვაგან გამართულ შეხვედრებზე, აქაც ითქვა, რომ საჭიროა შეიქმნას სერიოზული კომისია, რომელიც დეტალურად გამოიკვლევს ამ უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის საკითხს. ითქვა, რომ სასურველია, ეს ფუნქცია თავის თავზე პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა აიღოს, მასში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი ყველა კითხვას, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით გაჩნდა ქართულ საზოგადოებაში.

სოზარ სუბელიანი



## მეგობრის გახსენება

გია გუგუშვილს 56 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მეგობრები უმისოდ აღვნიშნავთ. არისთ გამრიგემ ასე ინება — წუთისოფლისგან განრიდებულ უახლოეს ადამიანთა რიცხვს არცთუ დიდი ხნის წინ გია გუგუშვილიც შეუერთდა.

თითქოს გუშინ იყო 58 წლის სექტემბერი: ფილოლოგიის ფაკულტეტის მაშინდელ ახალ შენობაში ერთი ბალახივით სიფრიფანა ბიჭი გამოირჩა. ახლადგაცნობილ პირველკურსელთა წრეში სხივჩამდგარი თვალები შემოანათა და რაღაც იხუმრა (დღეს ველარ ვიხსენებ, რა თქვა მაშინ; მხოლოდ მისი რეპლიკის განუმეორებელი კრიალა ინტონაცია ჩამესმის). ატყდა სიცილი, ხარხარი. ხალისის შემომტანი ბიჭი უცებ გაწითლდა და გაჩუმდა. შეამჩნია, რომ მისდა უნებურად, ყურადღების ცენტრში მოექცა და ამან შეაკრთო.

ასეთი დარჩა ბოლომდე: გონიერი, ენამოსწრებული და მორიდებული.

გია გუგუშვილი ადამიანებთან გულის სასმენელით ურთიერთობდა. საინტერესო თანამოსაუბრის აღმოჩენის უტყუარი ალღო ჰქონდა. ასაკით უფროს ადამიანებთან გულღია საუბარი განსაკუთრებით უყვარდა. მშობლების მეგობრები მასაც ხალისით ემეგობრებოდნენ. რამდენიმე ხანშიშესული მეზობელი გამორჩეულად უყვარდა. მთელი დღე შეეძლო მათთვის ესმინა. მათი არსებობით ხარობდა, მეგობრებსაც გვიწაწილებდა ამ სიხარულს. ბატონები საშა მიქელაძე, სანდრო მირიანაშვილი, კოწო ბადრიძე, მისი ზეპირი მოთხრობების წყალობით, „დაუსწრებლად" ბევრი ჩვენგანისთვისაც ძალზე ახლობელი პიროვნებები გახდნენ.

ყველას სამზერად თავის გამოფენა, ხელოვნური შუქით გაჩახჩახებულ ავანსცენაზე დგომა გია გუგუშვილის სტიქია არ გახლდათ.

ჩუმად ენთო, თავისთვის. დამნახავი შორიდანვე დაინახავდა. საბედნიეროდ, ასეთები მის გარშემო საკმაოდ ბევრნი იყვნენ.

რაიმე კარიერის გაკეთებაზე ზრუნვით თავი არ შეუწუხებია. ერთი დისერტაცია დაიცვა. მერე ჩვეული იუმორით ჰყვებოდა, როგორ შეაგროვა მასალა საძიებელი ხარისხის მოსაპოვებლად. ცნობილი ენათმეცნიერის, ბატონი კონსტანტინე გუგუშვილის ღირსეულ ვაჟს მეცნიერული კეთილსინდისიერების აუცილებლობის შეხსენება არავისგან არ სჭირდებოდა. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის ღირსებები სადავო არ გამხდარა და სათანადოდაც შეფასდა, მაგრამ თვითონ გიამ მეგობრების სახალისოდ ასეთი რამ მოიგონა: აფხაზური ენის ფონეტიკის საკითხების კვლევისას სოხუმში ერთი სომეხი დიქტორის აფხაზური მეტყველება ფირზე ჩავიწერე და ფონს იმით გავედიო. წესად ჰქონდა: მოხდენილი იუმორის ობიექტად, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა გაეხადა. ის ხუმრობა-მისტიფიკაციაც ამიტომ მოიგონა.

ამგვარი სასხვათაშორისო გამოვლინებების მიღმა სინამდვილეში სრულიად სხვა რამ იმალებოდა — გია გუგუშვილი ბუნებით ტკივილიანი კაცი იყო, ყველაფრის ღრმად განმცდელი და გულში დამტევი. ხუმრობითა და სიცილით სხვებს უადვილებდა ცხოვრებას ამ აწეწილ წუთისოფელში, თორემ თვითონ მას, გამოულეველი სატკივრით დამძიმებულს, გასახარი ბევრი არაფერი ჰქონდა. მავანთა და მავანთა მიერ მის მიმართ გამოჩენილმა დაუნდობლობამ, დედის, მამის, მეუღლის, საიმედო ძმად მოვლენილი ბიძაშვილის სიკვდილმა, ეტყობა, ისე გამოაწრთო, რომ არც თავისი აღსასრულის მოახლოება მოეჩვენა დიდ საშინელებად. მშვიდად ჰყვებოდა სიკვდილის სიახლოვეს განცდილი არაამქვეყნიური ხილვების ამბავს.

მშვიდად აუჩქარა ნაბიჯს და წავიდა, გაგვშორდა.

ახლა, კარს მომდგარი აღდგომის მეორე დღეს, ღირსეული შვილები მოინახულებენ მამის ამწვანებულ საფლავს.

გია გუგუშვილის უბადლო ზეპირი მინიატურების გმირებს, მისდა სასიხარულოდ, დღეს შეხვდებით უნივერსიტეტსა თუ თბილისის ქუჩებში. თავის დროზე გიას მიერ გამორჩეულთ, ასე მგონია, მისი სითბოსა და სიყვარულის მადლი ახლაც თან დაჰყვება.

ვახტანგ როდონაია

შენ კოკა-კოლა მოგიტანს ხალისს

## რადიო 106 - პირველი რადიო

## "Coca-Cola Planet Live"

Jimmy Somerville - რადიო 106-ის ეთერში

ჯიმიმ მისი პირველი წარმატება 1984 წელს მოიპოვა მის ჯგუფ Bronski Beat-თან ერთად. „Smalltown Boy" იყო სწორედ ის სიმღერა, რომელმაც ბრიტანეთის პირველ ათეულში შეიყვანა ეს ჯგუფი და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჰიტთაგანი გახდა. სიმღერამ მართლაც რომ განუზომელი პოპულარობა მოუტანა ჯიმს.

Bronski-ის შემდეგი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო სადებიუტო ალბომი „Age of Consent", რომელიც 80-იანი წლების მუსიკაში ახლადშემოჭრილი ჰომოსექსუალისტთა უფლებების თემას შეეხებოდა.

1986 წელს ჯიმიმ დატოვა მისი ჯგუფი. მალე მან ძალები მოიკრიბა და ახალი ჯგუფი შექმნა: The Communards, რაშიც მას ძველი მეგობარი რიჩარდ კოულზიც დაეხმარა. ჯგუფმა სამ წელიწადს იარსება, მაგრამ მისი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა 1986-87 წლების ალბომებმა „Communards" და „Red", ასევე ნომერ პირველ ჰიტად ქცეულმა სიმღერამ „Dont Leave Me This Way" საშუალება მისცა მსმენელს — კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო ჯიმის სიძლიერეში.

1988 წელს ჯგუფი დაიშალა, რიჩარდი რელიგიურ კომენტატორად იწყებს მუშაობას, ჯიმი კი სოლო კარიერაზე გადადის. იგი ქმნის ახალ ალბომებს: „Read My Lips", „The Singles Collection", შიდსის თემისადმი მიძღვნილ „Red, Hot and Blue".

1991 წლიდან Jimmy Somerville თითქმის გაუჩინარდა სცენიდან, როგორც იგი ამბობს, მას სურს ბოლომდე დატკბეს ცხოვრებით და იმოქმედოს სწორედ ისე, როგორც თავისუფალ ჰომოსექსუალისტს შეეფერება. უკანასკნელი ალბომი „Dare To Love" სწორედ მის პერსონალურ გამოცდილებას, ცხოვრებისეულ თავგადასავლებს შეეხება. ალბომის ძირითადი თემაა ერთი მამაკაცის ამბავი, რომელსაც მასზე უმცროსი ბიჭი უყვარს და ამის გამო ციხე და სასჯელი ემუქრება.

ჯიმის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური თვისებათაგანია ის, რომ იგი არასოდეს ხმარობს საპონს. „საპონსა და წყალს ერთნაირად შეუძლიათ ჰუჭყის ჩამორეცხვა", — აცხადებს ჯიმი, — „საპონი მხოლოდ ზოგიერთთა გამდიდრების საშუალებაა".

ჯიმიმ ერთ-ერთ ინტერვიუში დასმულ კითხვაზე: „თქვენ ძალიან გახსნილად ამჟღავნებთ თქვენს ჰომოსექსუალისტურ გრძნობებს, როგორ ეხამება ეს მუსიკალურ ინდუსტრიას?" — ასე უპასუხა: „ახლა ყოველ ადამიანს საკუთარი ბიოგრაფია გააჩნია. დღევანდელ დღეს აზრის გამოთქმა გაცილებით უფრო იოლია და უპრობლემო, ვიდრე ადრე. ლონდონში ამჟამად ჰომოსექსუალისტთა სცენები გაცილებით უფრო ხშირად შეგიძლიათ დაინახოთ. მათში უკვე აღარაფერი უჩვეულო აღარ აღიქმება, ყველაფერი გამარტივდა."

კონცერტში, რომელსაც „Coca-Cola Planet Live" რადიო 106-ის საშუალებით მოგაწვდით, წარმოდგენილი იქნება Jimmy Somerville შემდეგი სიმღერები:

To Love Somebody, Safe In These Arms, You Are My World, Dare To Love, By Your Side, Dont Leave Me This Way, Hurts So Good, Alright, So Cold The Night, For A Friend, Small Town Boy, Someday, Because Of Him, Heartbeat.

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

13 აპრილი, 1996 წ.

საფიქრალი



## რატომაა მართლმადიდებელთა აღდგომა ასე გვიან?

II

საუბარი მწერალთან



## ხორხე ლუის ბორხესი 1899-1986

VI VII

ფრაგმენტები 1978 — 1985 წლებში მწერლის მიერ პრესისათვის მიცემული ინტერვიუებიდან.

ახალი თარგმანები

## უახლესი ირლანდიური პოეზიიდან

VII

პოეზია

## გოჩა ჟორჟოლიანი

* * *

ლურჯი
და მწვანე,
გაწებილ ხელებს
უჭირავთ შენი უხეში
მკლავი,
არა ვარ მკვდარი,
ვერ განუგეშე,
რა ვქნა ვერ მოვკვდი ესე ადვილად,
ლურჯი
და მწვანე...

მე არ მღლის ფიქრი,
იმედს ვაწვალებ
და მახსოვს, როცა შენ არ იყავი,
გაურიყავი,
ლურჯი
და მწვანე...

წითლად თენდება,
ღამდება წითლად,
მთებზე ფიქრობენ ეხლა ყველანი,
მეტი სინათლე მინდა
ცისგან,
მეტი-სინათლე...
ლურჯი და მწვანე...

13 აპრილი, 1995



* * *

ფანჯრებში მთვარე იხედება,
მზები ფანჯრებში.
ჯერ არ ნამღერი სიმღერასავით
გამოღვიძება.

პირველად მთები,
მერე ველებს,
მერე ქალაქებს,
მზე ყველას,
ყველგან
დაუვიწყარი მომავალივით.

როგორ არ მახსოვს;
მე შენ მახსოვხარ,
მე ეხლა ვიცი;
რას უნდა ნიშნავდეს შენში
ზღვები
მოულოდნელი,
შენ არა მარტო ხარ,
შენ იყავი
და შენ იქნები.

20 სექტემბერი, 1994



III

პროზა

## ბექა ქურხული

## მოთხრობები

IV V

ბექა ქურხული დაიბადა 1974 წლის 6 ოქტომბერს. დაამთავრა პირველი ექსპერიმენტული სკოლა. სწავლობს თეატრალური ინსტიტუტის V კურსზე დრამის ხელოვნების ფაკულტეტზე.



საკვირაო საკითხავი

## პერ ლაგერკვისტი 1891-1974



## ლიფტი, რომელიც ჯოჯოხეთში ჩაეშვა

ბანკის მმართველის მოადგილემ, იენსონმა სასტუმროს ელეგანტური ლიფტის კარი გააღო და სიყვარულით შეუძღვა მოხდენილ ქალს, რომელიც ქვირფასი ბეწვისა და ნელსაცხებლის სურნელებას აფრქევდა. ორივენი რბილ სკამზე მოკალათდნენ და ლიფტი ქვევით დაიძრა. პატარა ქალბატონმა ღვინით გაჟღენთილი ბაგეები მიუშვირა იენსონს და ერთმანეთს აკოცეს. მათ სასტუმროს ტერასაზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ევახშმათ და ახლა ქალაქში გადიოდნენ დროის სატარებლად.

— საყვარელო, რა დიდებული იყო მაღლა, ღია ცის ქვეშ, — წაიჩურჩულა ქალმა, — რა პოეტურია შენ გვერდით ჯდომა, ვარსკვლავებს შორის მეგონა თავი. ასეთ დროს ხვდები, რას ნიშნავს სიყვარული. მართლა გიყვარვარ?

მმრათველის მოადგილემ კიდევ უფრო ხანგრძლივი კოცნით უპასუხა; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.



— რა კარგია, რომ მოხვედი, ჩემო პატარავ, — უთხრა იენსონმა, — რომ არ მოსულიყავი, ნამდვილად ჭკუიდან შევიშლებოდი.

— იცი, რა საშინლად მომექცა? ჩაცმა დავიწყე თუ არა, მაშინვე მკითხა, სად მიდიხარო. მე ვუთხარი, სადაც მომეპრიანება, იქ წავალ, პატიმარი კი არა ვარ-მეთქი. მერე დაჯდა და სანამ მე ვიცვამდი, თვალს არ მაცილებდა. ჩალისფერი კაბა ჩავიცვი. როგორ ფიქრობ, მიხდება? ყველაზე ძალიან რა მიხდება, ვარდისფერი?

— ყველაფერი გიხდება, ჩემო საყვარელო, — უთხრა მმართველის მოადგილემ, — მაგრამ ასე ლამაზი, ამ საღამოს რომ ხარ, ჯერ არ მინახიხარ.

ქალმა მადლიერი ღიმილით შეიხსნა ქურქი და დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.

— მერე, ჩაცმას რომ მოვრჩი და გარეთ გამოსვლას ვაპირებდი, მკლავზე მტაცა ხელი და ისე მომიჭირა, ახლაც მტკივა. თან ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ვერ წარმოიდგენ, რა უხეშია! ნახვამდის-მეთქი, ვუთხარი. ცხადია, კრინტიც არ დაუძრავს. ისეთი ჯიუტია, ისე უსაშველოდ ჯიუტია, ატანა გაგიჭირდება.

— საბრალო გოგო, — თქვა მმართველის მოადგილე იენსონმა.

— თითქოს უფლება არა მქონდეს, ცოტა ხნით ქალაქში გავიდე და გავერთო. ასე აუტანლად სერიოზული ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დადის. მარტივად და ბუნებრივად მოქცევა საერთოდ არ შეუძლია! გეგონება, სულ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებაო.

— საწყალო, რამდენი რამ გადაგიტანია.

— პო, საშინლად ვიტანჯე, საშინლად. ჩემსავით არავინ გატანჯულა. სანამ შენ არ შეგხვდი, არც კი ვიცოდი, რაა სიყვარული.

— ჩემო საყვარელო! — თქვა იენსონმა და ქალი მკლავებში მოიმწყვდია; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.

— წარმოიდგინე, — უთხრა ქალმა, როცა ცნობა დაუბრუნდა, — წარმოიდგინე, რას ნიშნავს ჩემთვის შენთან მაღლა,



VIII

# ალდგომა ქრისტიანთა რწმენის სული და გულია

პირველ რიგში ეს მოციქულებმა და სამოციქულო კაცებმა გააცნობიერეს და შეიმუშავეს მისი ჯეროვნად აღსრულების წესი: 50 50 დღიანი ციკლი მორწმუნეთა მოსამზადებლად და, შემდგომ, განცხრომით დღესასწაულობისათვის. პირველს ეწოდება დიდი ანუ მძიმე მარხვა, მეორეს ზატიკი ანუ აღვსება. მათი მიჯნა არის უფლისა და მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის დღე, რამაც ისტორიის ახალი ერა დაასაძირკვლა.

აღდგომა შვებისა და სიხარულის დღესასწაულია. იგი ასხივოსნებს ჩვენს იმედს ჯოჯოხეთის ძლევისა და სიკვდილზე გარდაუვალი გამარჯვების შესახებ. ესაა იდეალი, რომლის ხორცშესხმას მორწმუნე ყოველდღე უნდა ელოდებოდეს: საკუთარ არსებაში ზრდიდეს და ავითარებდეს მადლს, „მას ჟამსა შინა“ რომ მოეფინა ქვეყნიერებას.

ეს „ჟამი“ კი ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო წელს, ებრაული პასექის მესამე თუ მეოთხე დღეს აღესრულა, ცისკარზე, რასაც, ცხადია, წინაგანგებულობის ბეჭედი აზის.

AUX 4 COINS DE L'EGLISE

## Pourquoi une fête de Pâques orthodoxe si tardive ?

*C'est le 8 mai prochain seulement que l'Eglise orthodoxe célèbrera Pâques cette année, cinq semaines après les autres chrétiens*

„პასექი“ ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან, რჩეული ერის აღთქმულ ქვეყანაში გადასვლას აღნიშნავს. ამ დღეს იკვლება კრავი. სისხლი ტაძარს ესხურება. ხორცი კი წესისა და რიგის დაცვით იჭმევა. ეს ხდება გაზაფხულზე, დღელამტოლობიდან ანუ ბუნიობიდან მთვარის პირველად აღვსების დღეს. მთვარე სხვადასხვა წელს სხვადასხვა დროს ივსება. ამის გამო პასექის კალენდარული თარიღი მოძრავია. აღდგომა პასექის შემდეგ აღესრულა, ერთშაბათს, რომელსაც სახელად „უფლისა“ ეწოდა — კვირა. ამიტომაც აღდგომა ყოველთვის კვირადღეს იდღესასწაულება, — ებრაული პასექის ანუ ასტრონომიული გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის მომდევნო კვირადღეს. აქედან გამომდინარე, მოძრავია მისი თარიღიც: დღე და ღამე 21 მარტს თანაბრდება და აღდგომა, რა თქმა უნდა, ამ თარიღის შემდეგ იდღესასწაულება . 22 მარტსა და 25 აპრილს შორის რაც უდრის შუალედს ახალი სტილის 4 აპრილიდან 8 მაისამდე.

ებრაული პასექი ბრწყინვალე აღდგომას მისტიურად წინასწარმეტყველებდა და მოასწავებდა ჭეშმარიტ შვებასა და სიხარულს, რასაც წელიწადის ვერც ერთი დღე ისე სრულყოფილად ვერ ასახიერებს, როგორც გაზაფხული, სავსე მთვარე და ცისკარი. ესაა მარადიული სიცოცხლისა და ვსების დღესასწაული და, ცხადია, აღდგომის შინაარსის შეძლებისამებრ სრულყოფილად გააზრებისათვის მნიშვნელობა აქვს მისი კალენდარული ადგილის სწორად გამოთვლას ანუ იმ ტრადიციის გათვალისწინებას, რაც ეკლესიის მაგისტრალური გზაა.

ვფიქრობთ, მკითხველებს დააინტერესებს ქვემოწარმოდგენილი ფრანგული გაზეთიდან გადმობეჭდილი სტატია, რომელიც ჩვენს რედაქციას მოაწოდა ცნობილმა ქართველოლოგმა **ბერნარ უტიემ**.



# რატომაა მართლმადიდებელთა ალდგომა ასე გვიან?

**რატომაა განსხვავება? როგორია ეკლესიის ტრადიცია ამ თვალსაზრისით? ხომ არ უნდა დამკვიდრდეს ყველა ქრისტიანისთვის საერთო თარიღი და თუ ასეა, როგორ? ამ პრობლემებზე თავის თვალსაზრისს გვიზიარებს ერთი მართლმადიდებელი საერო ქრისტიანი, რომელსაც ამგვარი კითხვები გაუჩნდა.**

**ავტორი — პიერ სოლოგუბი, 34 წლის, ცოლიანი, ოთხი შვილის მამა, ინჟინერი. სწავლობდა აერონავტიკისა და საჰაერო სივრცის უმაღლეს ეროვნულ სასწავლებელში და მუშაობდა პარიზის ობსერვატორიაში. იგი პარიზის ერთერთი მართლმადიდებლური სამრევლოს წევრი, საფრანგეთის მართლმადიდებლური საძმოს ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი და ხაზინადარია.**

325 წლის ნიკეის I ეკუმენიური კრება, რომელიც, ძირითადად, არიანელობის შესახებ დადგენილების გამოსატანად შეიკრიბა, აღდომის თარიღსაც შეეხო, რადგან იმჟამად უკვე თანაარსებობდა ორი განსხვავებული წესი. რადგან კრების არავითარ მნიშვნელოვან ავთენტურ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია, ამ საკითხზე კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ყველა ქრისტიანმა აღდგომა ერთსა და იმავე დღეს, გაზაფხულის დღელამტოლობიდან მთვარის პირველი აღვსების შემდგომ კვირადღეს უნდა იდღესასწაულოს.

ამ დეფინიციასთან დაკავშირებული სიმბოლიკის სიღრმეს თუ თავს დავანებებთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ეს პირველი მთვარე შეესაბამება ძველი აღთქმის პასექს და რეალურად უკავშირდება ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის ისტორიულ მომენტს.

საფუძვლად უნდა ავიღოთ ის ფაქტი, რომ ეს დეფინიცია ემყარება ასტრონომიულ მონაცემებს, რომლებიც, აპრიორულად, ნებისმიერი კალენდრისგან დამოუკიდებელნი არიან და რომელთა ამოცანაც ბუნების მოვლენების განსაზღვრასა და გათვალისწინებაში მდგომარეობს.

აღდგომის თარიღის სარწმუნოდ განსაზღვრა იმთავითვე მოეთხოვებოდა ასტრონომებს, რომლებმაც იმჟამად დაგროვილი ცოდნისა და კალენდრის შესაბამისად დაადგინეს ცხრილები (პასქალიები). კერძოდ, ცხრილები ეყრდნობოდა მეტონის (ძვ.წ. V ს-ის ათენელი ასტრონომის) ციკლს, რომელმაც დაადგინა, რომ მზის 19 წელი უდრის მთვარის 235 წელს; დროის ამ მონაკვეთის შემდეგ მთვარის ფაზები კვლავ იმავე თარიღს უბრუნდება.

ეს პრინციპი, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში დღესაც ძალაშია, შეცდომის ორ მიზეზს შეიცავს:

პირველი უკავშირდება იულიუსის კალენდრის გამოყენებას, რომელიც საუკუნეში დაახლოებით ერთი დღით გადაიწევს და არ მისდევს ათვლის წერტილად აღებულ ასტრონომიულ მოვლენებს: კერძოდ, თარიღი, რომელიც გათვალისწინებულია გაზაფხულის დღელამტოლობის აღსანიშნავად (21 მარტი) ახლა 13 დღით გადაწეულია და რეალობას აღარ შეესაბამება.



მეორე მიზეზი თვით მეტონის ციკლის უზუსტობას უკავშირდება. დეტალებს თუ თავს დავანებებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, პასქალიებში მითითებული მთვარის აღვსების თარიღი 4-5 დღით ჩამორჩება რეალურ თარიღს.

ამ ყველასთვის აშკარა შეცდომის შესასწორებლად რომაულმა ეკლესიამ XVI ს-ში ჩაატარა კალენდარული რეფორმა (გრიგორიუსის რეფორმა), რაც მდგომარეობს პასქალიური გამოთვლის მოდიფიკაციაში მეტონის ციკლის გამოყენებით.

ახლა შეიძლება აიხსნას განსხვავებები აღდგომის თარიღებს შორის.

გამოიყოფა ოთხი შემთხვევა:

თუ მთვარის აღვსება მოდის 2 აპრილის (დღელამტოლობის თარიღი იულიუსის კალენდარში) შემდეგ, იგი ორივე გამოთვლის მიხედვით გაზაფხულისად ჩაითვლება. აღდგომაც იმავე დღეს შეიძლება დაემთხვეს. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეტონის ციკლის ზემოთხსენიებული უზუსტობის გამო მართლმადიდებლური დღესასწაულის თარიღი ერთი კვირით უკან გადაიწევს. თუ პირიქით, მთვარის აღვსება 2 აპრილამდე მოხდება, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამჟამად მიღებული გამოთვლის თანახმად, საჭიროა, დაელოდო მთვარის მომავალ აღვსებას, ე.ი. ოთხი კვირით გადაიწევს, რასაც ზემომოყვანილი მიზეზების გამო კიდევ ერთი კვირა დაემატება.

ამ საკითხის ილუსტრირება შეიძლება 1983 წლის მაგალითით (რაც შეიძლება ნებისმიერი კალენდრით შემოწმდეს). გაზაფხულის მთვარის აღვსება მოხდა ორშაბათს, 28 მარტს. შემდგომ კვირას, 3 აპრილს, მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ, ჩვენს გარდა, აღდგომა იდღესასწაულა, მაგრამ იულიუსის კალენდარში 28 მარტი ჯერ კიდევ არაა გაზაფხული, საჭირო იყო დაველოდებოდით აღვსებას, რომელიც 27 აპრილს მოხდა. ჩვეულებრივ, აღდგომა კვირას, 1 მაისს უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ იჩენს თავს მხედველობაში მისაღები მეორე მიზეზი. ჩვენი არასწორი ცხრილების მიხედვით მთვარის აღვსება თითქოს 1 მაისს მოხდა, რამაც აღდგომა კიდევ ერთი კვირით წასწია წინ და 8 მაისს ვიდღესასწაულეთ. (მხედველობაშია 1995 წელი. რედ. შენიშვნა).

ზოგიერთვის ერთკვირიანი გადაწევა იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ სახარებათა თანახმად აღდგომა მხოლოდ იუდაური პასექის შემდეგ უნდა მოხდეს. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განისაზღვრება იუდაური პასექი, დავინახავთ, რომ ამ ფაქტს საფუძველი არ გააჩნია: იუდაველებისთვის პასექი განისაზღვრება მათი მთვარის კალენდრით და იდღესასწაულება გაზაფხულის მთვარის აღვსების დღეს, ე.ი. აღნიშნული დეფინიციის თანახმად — ჩვენს აღდგომამდე.

წარმოდგენილი თვალსაზრისები ფართოდ იქნა განხილული 1977 წ. შამბეზიუენევაში გამართულ ინტერორთოდოქსულ კოლოკვიუმზე და მისი მიზანი გახლდათ „განეხილათ საკითხი, რომ აღდგომა ყველა ქრისტიანმა ერთსა და იმავე კვირადღეს იდღესასწაულოს“ (იხ. Sop. n. 20 და დანართი n.20 A; კოლოკვიუმის აქტები გამოქვეყნდა Sonodica n. 5-ში). მართლმადიდებელთა დიდ ნაწილს ესმის პრობლემა და გულგრილად ვერ ეკიდება მას, რადგან საქმე ქრისტიანულ დღესასწაულს, კერძოდ, ქრისტეს აღდგომას ეხება. არაა დასამალი, რომ ამ საკითხზე რეაქცია არაერთგვაროვანია, რადგან ზოგს ემოციები და ტრადიციის სიმძიმე უფრო ამოძრავებს, ვიდრე პრობლემის რეალური ცოდნა. ამ თვალსაზრისით, 1982 წ. 3-12 სექტემბერს, შამბეზიში გამართული კრებისწინა თათბირის შედეგები იმედის გამაცრუებელია, რადგან აღიარებენ რა ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული და ასტრონომიული მონაცემების სარწმუნოობას, კონფერენციის მონაწილეებმა მაინც შემოგვთავაზეს, ყოველგვარი sine die ცვლილება სამოძღვრო მიზეზით გადაგვედო, ძირითადად იმისთვის, რომ მორწმუნენი სათანადოდ არ არიან შემზადებულნი (Sop.n.71; დამატებითი საბუთები იხ. დანართი n.71.A-ში).

ჩვენ, ვინც დასავლეთ ევროპაში ვცხოვრობთ და შესაძლოა, განსაკუთრებულად განვიცდით იმ ფაქტს, რომ აღდგომას ერთობლივად არ ვდღესასწაულობთ, კრებისწინა II თათბირის თხოვნის შესაბამისად, უფრო აქტიური მოქმედება გვმართებს, რათა ამ საკითხის ირგვლივ ინფორმაციის სისტემატური მიწოდებით მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შესძლოს სხვა ქრისტიანებთან ერთად, თავის დროზე, ნიკეის კრების მონაწილე მამების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გაზაფხულის I აღვსების მომდევნო კვირადღეს იდღესასწაულოს აღდგომა.

**პიერ სოლოგუბი**

Le Christianisme № 494

23-29 აპრილი 1995

თარგმნა

ციცანა ბიბილეიშვილმა

13 აპრილი, 1996 წ.

# გოჩა ჟორჟოლიანი



დავიბადე 1972-ში, 22 ივნისს.
დავამთავრე 57-ე საშუალო სკოლა.
ვსწავლობდი უნივერსიტეტში — გეოლოგიის ფაკულტეტზე. მივატოვე.
ვაპირებდი სასულიერო სემინარიაში ჩაბარებას. არ ჩავაბარე.
ვმუშაობდი ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიაში, ვიდეო-სტუდიაში,
საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრში. ამჟამად არ ვმუშაობ.
მყავს მეუღლე და ერთი შვილი.
ვიბეჭდები პირველად.



* * *

ჩემი სიტყვებიც
იზმორებიან,
ამთქნარებენ
და ეზარებათ,
ნაზიარები
სახეებს,
ფორმებს,
მშვიდობას,
ომებს...
მინდოდა
ტკივილს,
სიყვარულს,
სითბოს
ჰქონოდა მაინც
თავის ადგილი.



ის კი არ არის
ეხლა მთავარი,
რომ გარეთ ცივა,
ყველგანაც ცივა,
მათ უნდა იხსნან,
მათ მისხალ-მისხალ,
მათ სითამამით...
ის კი არ არის
ეხლა მთავარი.

სიტყვები შენთვის
თოვლივით თეთრი,
მიუწვდომელი,
დაუნდობელი,
მთებივით დაბლა,
ცასავით დაბლა,
დიდი მინდვრების
გაშლილი ტაბლა
და ლოგინები
დიადი თოვლის
ვერ გაუსწორეს
სიტყვებმა თვალი;

ისინიც ეხლა
იზმორებიან,
ზოზინით,
ზლაზვნით,
მძიმედ და
მდორედ
ნაზიარები
სახეებს,
ფორმებს...



18 დეკემბერი, 1994

* * *

მე დრო არა მაქვს აღმოჩენების,
მე დრო მაქვს ფიქრის,
და ეხლა ვფიქრობ;
რა ჰქვია ქალაქს,
რომელშიც ვცხოვრობ?!
რიცხობრიობა გვყოფს —
ქალაქებად,
სოფელ-დაბებად,
საზღვრები — ქვეყნებად,
დრო — თაობებად.
რა ჰქვია ქალაქს?

დიდი აბრებით,
ხანამშრალი
და მოწყურებული,
ქალაქი შუქნიშნებით,
ფინებებით
და მდინარეთი,
მე აქ სიმშვიდეს არ ვეძებ არსად,
მაგრამ სიმშვიდეს ვპოულობ მაინც.
მე დრო არა მაქვს აღმოჩენების.

3 ივნისი, 1995

## მეგობრები

ისინი ორნი იყვნენ; მეგობრები.
გზაც ერთი ჰქონდათ, და საგზალიც,
როცა მინდვრები აჭრელდებოდნენ,
მთები ეძახდნენ მათ
და იქით მიდიოდნენ
საითაც იყურებოდნენ.

სიტყვა არ ბეზრდებოდათ
იმედი ჰქონდათ: იქნებოდნენ,
სინათლე არ ღებავდა ქალაქებს ისე,
როგორც მზე რუჯავდა მათ სახეებს;
ისინი კი მიდიოდნენ.

ისინი სამნი იყვნენ; მეგობრები.
ოთხი. ხუთი. შეიძლება ათასი.
მათ უსაშველოდ უყვარდათ მიწა,
რომელზეც დადიოდნენ,
ტკეპნიდნენ ჭაობებსა და სტეპებს,
ნახულობდნენ ქვის ქალაქებსა და
საფლავებს,
და თითოეულს ჰქონდა სახლი,
სადაც ბრუნდებოდა.

ისინი ორნი იყვნენ.

29 აპრილი, 1995

## ლოდი ლოდინი

მე მაქვს სახელი. მე მქვია ლოდი, ლოდი
ლოდინი,
ვცხოვრობ ზღვის პირას დიდ აგარაკზე,
ჩემი საუფლოს საძირკველი ღრმაა და მყარი,
და იმედი მაქვს დრო და მიწისძვრა
ძვრასაც ვერ უზამს ჩემს სიდიადეს.
მე მარტივი ვარ ჩემს არჩევანში,
და მახსოვს, როცა გელოდებოდი;
ლოდი — მეძახდნენ ქარები შენი,
ლოდინი — ქარებს მე ვპასუხობდი.

6 მაისი, 1995

* * *

მე არაერთხელ დავღლილვარ გზაზე,
დაღლილი გზაში,
დაღლილი გზისგან,
მე მოშვებული,
ისევ გზისკენ
მიწევდა გული.

სიტყვებში ბევრჯერ ვეძებდი ნუგეშს,
მაგრამ ყოველთვის მეტს ვპოულობდი,
ჭეშმარიტებებს
ვარჩევდი მუდამ;
გადარეცხილი სამყაროს ფერებს.

ეხლა მე თვითონ აღარც კი ვიტყვი,
თქმასაც ადგილი, უნდა
განწყობა;
ათასი გარე რაც არ იგრძენი,
და ვერც ტკივილად ველარ აქციე.

მაგრამ შენ ვისაც მე გიმღეროდი,
მე ვწერდი ლექსებს,
ვწერდი უაზროდ;
ტკივილებისგან ვთავისუფლდები,
ისევ ვივსები
როგორც არასდროს.

ეხლა ბავშვები
მიზნებს,
ოცნებებს,
ამართლებენ და ამარტივებენ;
ეძებენ წარსულს,
ეძებენ აწმყოს,
და მომავლისაც არ ეშინიათ.

21 აგვისტო, 1994

* * *

სარკეთა.
ხედებს.
იზრდები ატყობ.
ახეთქებს.
გემებს.
უაზრო მარტი.

ფართო.
მდინარე.
ხიდები ფართო.
მე აღარ მახსოვს.
რაც იყო ადრე.

თუ მოწყენაა.
ზეგნები მართობს.
მე ვიცი.
გემებს. უაზრო მარტი.
ახეთქებს.
ხედებს.
იზრდები ატყობ.



8 მარტი, 1995

## მონადირე

იქნებ ფიქრობდი მეტს ვერ შეძლებდი,
შემყურე მთების. ეხლა არავინ არ
გახსენდება, თუმცა ახსოვხარ ბევრს,
შენ მარტო კი არ ხარ ამ ხეობებში,
მარტოა ის, ვინც სიჩუმეს ერთხელ
მაინც გადააბიჯა. შენი დაღლილი სახე
კი არა, შენი თითები, შენი მუხლები,
შენი მკლავები გრძნობენ სივრცეებს,
ბილიკებს მთებზე, დათვის ნაკვალევს.
შენ კიდეც უთხარი იმათ უარი, უარი იმათ
— ვისაც უყვარდი, ალბათ უყვარდი,
მსხვერპლივით განა შეეწირება,
სისხლივით განა გალებავს ხელებს, აქ
არაფერი აღარ დარჩება, თუ არ იქნები.
სიმშვიდე, არა, არც მოლოდინი, რაღაცა
ალბათ არსებობს შენში დაუღალავი,
მოუსვენარი, დაუზოგავი,
შეუმჩნეველი; შენ, ნადირს როდი
დაედევნები, ის უფრო ახლოა, ვიდრე
მიზანი და მიზანივით ალბათ ნაცნობი.
მიზეზს ეძებდი, რათა გენახა, ეს ცრემლი
არაა, მტვერია მთების, შენ ვერასოდეს
ვერ აპატიებ იმას, არ ყოფნას; არ
შეიძლება ცას არ უყურო, არ შეიძლება
მზეს ვერ ხედავდე, ღრუბლებს,
იმედებს, მომავალს, წარსულს, შენ,
მონადირე, რომელსაც გქვია.
შენ, სახლი გინდა, რათა გეძინოს, სახლიც
არ გინდა, გინდა ლოგინი, ლოგინიც არა,
გინდა კუნჭული, სადაც მიაგდებ შენ
დაღლილ სხეულს. გინდა ფანჯარა,
გინდა სარკმელი, რათა პირველმა გაიგო
დილა.
ოღონდაც ცოტა თვალი გიჭრიდეს,
უსმენდე ბალახს. შენ, ბევრს არა თხოვ
ძალას, ბუნებას და გამარჯვება არ
გათამამებს.
თითქოს ბრუნდები ნაცნობი გზებით,
ნანადირევი და დამშეული, არავის
არაფერი არ უხარია, ყველას რაღაცა
წყინს და აწუხებს; შენი ძილიც კი,
ღვიძილია.
მონადირეებს...

31 აგვისტო, 1994

## იქ

ვიწრო ნაკვალევს ტოვებ მიწაზე და
დროზე ადრე გტკივა ტკივილი, უფრო
მაღალი, ვიდრე მიზანი; ხარ უსაშველო
მატარებელი.
მე არ მეძინა, დიდიხანია არ ვიცი როგორ
გამოვიძინო; არ მინდა დილით
ხედავდნენ სხვები მზე როგორ ღებავს
ქუჩებს, ქალაქებს... თურმე არაფერს ისე
არ ამბობ, როგორც ქალაქებს უთქვიათ
ადრე; ეხლა სავსეა ჩემით მინდვრები და
პირდაპირი ვარ მომავალთან; გქონდეს
იმედთან დარჩენის სევდა და მოსაწყენი
გეჩვენებოდეს მაგისტრალების უაზრო
რიტმი; იყო უხეში საკუთარ ძვლებთან,
და მოშვებული დარჩენილებთან,
ვიწრო ნაკვალევს ტოვებდე უნდა და
თითებს გრძნობდე ქალაქლდთან ერთად.
მეტი რა უნდათ თვალებს, მოეშვი, განა
იმიტომ აშენეს გზები; ყოველ ქალაქში
ტოვებდე სევდას და რაღაც მეტი
გენატრებოდეს. ეხლა ეს არის; აქ,
მანქანების და ხალხის მეტი, ყველა ქუჩა
და სახლი ნაცნობი; მჯერა, შენ რჩები
დიდი სურვილით, რომ იყო ჩემთან.

3 მარტი, 1995

* * *

მოსული მარტო მინდვრებთან ერთად მე
მოვდიოდი მაღალ სახლებთან
შეუვარებული ლექსების წერა
მასწავლა ამინდმა მოწყურებულმა
ვნებამ და გატაცებამ ამდენ ხანს
იმიტომ დაგტოვე მარტო რომ
შემემოწმე მართლა გიყვარდა ჩემში ის
რაც მე მიყვარს თუ მხოლოდ სახელს
ელოდი.ჩემგან ჩემო ლამაზო უცნაურია
არავინ დარჩა შეუმჩნეველი შენი
თვალისთვის და უჩვეულო სანახაობა
შერჩა მომავალს გასახსენებლად შენი
სიშიშვლე არაფერია უფრო მწარე
ვიდრე ტუჩილებთან ერთად იცოცხლო
და გჯეროდეს გამოუძინებელი
ადამიანებისა ცა აქ განაგებს წვიმას და
ამინდს ქმნის მიწა გარუჯული უხეში
მზისგან ჩვენი ტანების სიმსუბუქითა და
ჩვენი ჭუჭყით დამძიმებული მაინც რას
ვტოვებთ მანდარინისა და ვაშლის
ქუთების გარდა არაფერს მადლობა
ყველას ვისაც ვახსოვარ

1996 10 01



13 აპრილი, 1996 წ.

# ბექა ქურხული

# ჩაშლილი ბილიკი

ბადრი ჭოხონელიძის ხსოვნას

მთის ფერდაზე გაკიდებულ, ჩახრამული გზიდან გადავიდნენ და პირიქით დაღესტანისკენ მიმავალ ბილიკს ჩაუყვნენ.

ქვევით ლეკის საფლავი მოჩანდა. საფლავის თავთან ჯოხი იყო დარჭობილი, ჯოხზე წითელი, თეთრი და ყვითელი ჩითის ნაჭრები ეკიდა, — ახლომახლო ადგილებში გადაჩეხილი ლეკების სულები.

ცხენები გამოზომილად ადგამდნენ ფეხს, კისრები წინ წაეგდოთ, საფრთხე რომ არაფერი გამოჰპარვოდათ.

გიო წინ მიდიოდა და ნებაძნება ირწეოდა თავდაღმა მიმავალ ცხენზე. დანარჩენებიც უკან მოჰყვებოდნენ. ისინიც მოყანყალებდნენ ცხენებზე გადამჯდარები. ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მთელი ხმით გაჰკიოდნენ, მაგრამ ფიქრებში წასულ გიოს არ ესმოდა.

უცებ ცხვირზე წვიმის მსხვილი წვეთი დაეცა. ერთს მეორე მოჰყვა. გიოს გააკანკალა და წვიმის მოლოდინში წინასწარ აიბუზა. ის იყო ლეკის საფლავს გაუსწორდა, რომ ზევიდან დაგორებული ,,კანისტრის" ხრიალი მოესმა. ცხენი გვერდულად გაჩერა. პირველს მეორე მოჰყვა. ის მეორე ქვამ დაიჭირა. მესამე თასმებში გაიხედა გარდიგარდმო. მეორე მხარეს დარჩენილმა ,,კანისტრებმა" უნაგირი გადახძალეს. შაქრომ ძლივს გამოაძრო უნაგირიდან ფეხი და გინებ-გინებით გამოეკიდა ,,კანისტრას" გიო გადმოიხარა. ცხენის წინა ფეხთან გაჩერებულ ,,კანისტრას" ხელი წაატანა და შაქროს მიაწოდა. შაქროს ზედაც არ შეუხედავს, ისე გამოართვა და ისევ ზევით გავარდა ჩორთით. პირთაქვე გადმოკიდებულმა გიომ კენჭები მოხვეტა და ლეკების საფლავებს გადააყარა. ვინც ამ გზაზე მშვიდობით ავლა-ჩავლას აპირებდა, კენჭები აუცილებლად უნდა გადაეყარა ლეკების საფლავებზე. გიოს ახლა აქ მშვიდობით ავლა-ჩავლაზე მეტად ცხენიდან ასე გადმოკიდება სიამოვნებდა. — მიდი, შაქრო, შენც გადააყარე, ხომ ხედავ თარსათა ხარ დღეს, — უთხრა ლევანმა შაქროს.

მესამემ, — უცნობმა, რომლის სახელიც ჯერ არ იცოდა გიომ, უხმოდ ჩაიცინა. — კენჭები არა, დედიხამათისამ, ახლა კენჭები აყარე კიდევ ამათა...

ჩამოდით, მოეშველეთ, რატო ეგრე ზიხართ, კაცო! — ისეთი იყვირა შაქრომ, გიოს ცხენი დაუფრთხა. გიომ ჩამოსვლა დააპირა.

— შენ არა, შენ იჯექ, აბა, შენ რა იცი ამის შეკვრისა — უთხრა ლევანმა. გიომ უხმოდ მიაბრუნა ცხენი და თავქვე დაუყვა.

— არყნარს რო გასცდები, ცოტაზე ფინთი გადასასვლელია, ხო იცი, ჩამო და იგრე გადადი, არ გადმოვარდე, — მიაძახა შაქრომაც.

გიომ უკან მოიხედა და თავი დაუქნია.

—"ჩამოვიდე არა, ისა" — გაიფიქრა და იმ წუთში მიხვდა, არ ჩამოვიდოდა.

გიო არყნარში შევიდა. იქ უკვე ნაშალი ხიპის მაგივრად ოდნავ ამზვლეული აყალო მიწა დახვდა. წვიმამ უმატა. ფოთლებს ტყაპა-ტყუპი აუყენა. ხშირი ფოთლებიდან დროდადრო გიომდეც აღწევდა წვეთები. შაქროს ყვირილი მოესმა. თავქვედან ამოიხედა. ნაწილ-ნაწილ ჩანდნენ ცხენთან მოტრიალე კაცები. ,,ჩამოვალ არა, ისა", ისევ გაიმეორა და გაიცინა. მერე ის ,,ფინთი" ადგილი გაიხსენა და ტანში ცივად გაუარა შიშმა.

ბილიკი თითქმის ქრება, თითქოს კლდეში შედის და ქრება. ქვევით მდინარე მოჩანს. უზარმაზარი ლოდები ყრია მდინარის პირას. იმ ლოდებში ორი ჯვარი და სამი ნაჭრებშემოხვეული ჯოხი არჭვია.

ამ გაზაფხულზე ხელით გადმოიყვანა ცხენი. მუხლების კანკალით გადმოვიდა. მაშინ მშრალი იყო. ახლა წვიმს. მაშინაც კინაღამ გადაუვარდა. უკანა მარჯვენა ფეხი ჩაუსხლტა. თან მაშინ მშრალი იყო, არ წვიმდა. ,,მაინც გადავალ", — გაიფიქრა ისევ.

დროდადრო ემართებოდა გიოს ასე. წერაატანილივით იზიდავდა საფრთხე, თანაც ყველაზე ხშირად მაშინ, როცა კარგ გუნებაზე იყო.

აქ ბილიკი უკვე მარცხნივ უხვევდა. ცხენი თავისით მიჰყვა ბილიკს.

ცხენს უკვე ორთქლი ასდიოდა. გიოსაც ასდიოდა ორთქლი. ათ მეტრში არყნარი თავდებოდა. ბოლო ხეებთან გიომ სამი ცხენი დაინახა. სამი შეკაზმული ცხენი, ოღონდ ალვირი სამივეს წაყრილი ჰქონდა, ძოვაში ხელი რომ არ შეშლოდათ.

სამივენი ძოვდნენ. ერთი თეთრი იყო, გამხდარი, მენჯებამოყრილი, უნაგირზე ლეკური დაჭრელებული ხურჯინი ჰქონდა დაკრული და ერთთავად მარცხენა ყურს აპარტყუნებდა. ძოვისთვის თავი არ დაუნებებია. თავიც არ აუწევია. მეორემ მწითურმა მაღლა აიღო თავი და დაიხვიხვინა. უნაგირზე მასაც ხურჯინი ეკიდა და უკან ნაბადი ჰქონდა დაკრული. თვალს არ აცილებდა შუაში მდგარ ჩალისფერ ფაშატს. ფაშატმა ერთი ამოიხედა და ძოვა განაგრძო. გიომ მწითურს მიუახლოვდა. მწითურს მკერდზე სისხლმიმხმარი იარა ჰქონდა და ბორების გუნდი ეხვეოდა. ცხენი ლონდებოდა და იმიტომ იყო ასეთი მფრთხალი.

ცხენები გზას ულობავდნენ, გიომ გადმოიხარა და ხელი აუქნია. ცხენები ერთმანეთს ეცნენ და გზა უფრო ჩახერგეს, მარტო ის თეთრი გამხდარი არ განძრეულა. ხან იქიდან ეჯახებოდნენ, ხან აქედან, ის კი ბალახს პირს არ უშვებდა. ,,ჰაიტ"! — დაიღრიალა გიომ და ტოტი მოატეხა კუნელს. როგორც იქნა გაიკვლია გზა, გასცდა ცხენებსაც და არყნარსაც. ,,აქედან სულ ახლოსაა" —გაიფიქრა.

ბილიკს ქვემოთ ტაფობში სამი ლეკი იჯდა. ერთი, შუახნის ფაფახიანი ლეკი ეძახდა, მეორე ილიმებოდა თეთრ მაგარ კბილებს აჩენდა. მესამეს, ქერას კი თავი რაღაც ბოღჩაში ჩაეყო, ფათურობდა.

გიომ ხელი გაუქნია —არაო. ლეკები ერთხმად აყვირდნენ.

გიომ მაშინ ცხენიდან ჩამოხტა. ალვირით გამხმარ მორზე გამოაბა. ბილიკიდან გადავიდა და ფეხს აყოლილი ხრეშის ხრიალით თავქვე დაეშვა.

ცხენზე დიდხანს ჯდომისგან ფეხები სტკიოდა. და გან-გან მიაბიჯებდა. ქერამ რაღაც უჩურჩულა ფაფახიანს. ფაფახიანმა ძლივ შესამჩნევად მოხაზა ღიმილი. მესამე ისედაც ილიმებოდა.

ლეკებს ცელოფანის პარკზე ლეკური ლავაშები, ყველი, მოხარშული ცხვრის ხორცი და ირმის ყელი, — გრძელ თხელ ნაჭრებად დათლილი მზეზე გამოყვანილი უმი ხორცი ეწყოთ. ვაშლები პირდაპირ მწვანეზე ეყარა. ერთ-ერთი ვაშლი ამოეღღრუტნათ და ჭიქის მაგივრად ხმარობდნენ.

— გამარჯობათ! — თქვა გიომ ქართულად. აქ ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველამ იცის, ლეკებმა უხმოდ დაუქნიეს თავი და ჩაიწ-ჩამოიწივნენ. გიო ჩაჯდა.

მთაში საერთოდ, თუ შენ თვითონ არ იტყვი, არავინ გეკითხება, ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარ, რა გინდა. თუ რაიმე გინდა მოგისმენენ, თუ შველა გჭირდება, გიშველიან, თუ გზა აგებნა, მიგასწავლიან. რაც შენ გიჭირს, ხვალ შეიძლება იმას გაუჭირდეს. შენც იმასავით მგზავრი ხარ, მთის კალთას შეკედლებული.

ფაფახიანმა ლეკმა ვაშლის სასმისი აიღო და გაგვიმარჯოსო, — თქვა ქართულად.

წვიმამ კიდევ უფრო უმატა. მაგრად ყივდებოდნენ. წვიმის ღვარმა გიოს სიფათზე ერთ ადგილზე გაიკვლია გზა. ფაფახიანს ქუდის ბეწვებში უგროვდებოდა და ნელ-ნელა მოიწევდნენ, მერე ზედ თვალებთან ერთ დიდ წვეთად ერთიანდებოდა და პირდაპირ ვაშლში ჩასხმულ არაყში უტყაპუნებდა. სუფრაზე დაყრილი ვაშლის ყუნწებში წყალი იდგა.



— ბირჭელ! — ახლა ლეკურად თქვა სადღეგრძელო გიომ. ღიმილით დაუქნია თავი ფაფახიანმა. გამოაჩინა თავისი თეთრი, მაგარი კბილები, მეორემ ქერამ წამწამები დააფახულა.

— Откуда знаешъ?

— Научили, - გაუღიმა გიომ და გადაჰკრა. მთელს სხეულში გაეშალა სითბო. გარშემო ყველაფერი გალიბრდა და დაირწა. გრძნობდა, რომ თვრებოდა. თავი გამეტებით გაიქნია და წვიმის წვეთები გაიყრევინა. მერე უკან აიხედა. ცხენს ახედა. ცხენი ბილიკის პირს მოსდგომოდა, კისერი აღერა და ზევიდან დაჰყურებდა. წვიმას ფაფარი შუბლზე მიეწებებინა და გაფართოებული ნესტოებიდან დროდადრო გამომავალ ორთქლზე ეტყობოდა, რომ ჩუმად ფრთხვინავდა. ერთხანს ასე უყურა, მერე კისერი მოწყვეტით ჩაიქნია და ძოვა განაგრძო.

— Ты один? — ჰკითხა ქერამ.

გიო დაჟინებით ჩააჩერდა ლეკის ჭროლა თვალებს. მერე გაეცინა ამ სუფთა ლეკურ კითხვაზე. დიდ მწვანე ვაშლს დახწვდა; ჩაკბიჩა.

ვაშლის სასმისი ნახევრად წვიმას გაევსო. ,,თუ წყალი არ გადაღვარა და ისე დამისხა, ეგრევე დავაკრავ ცხვირპირში",- გაიფიქრა გიომ. ფაფახიანმა თითქოს რაღაც იგრძნო, ჩაკიდებული თავი მაღლა ასწია, თვალი ჩაუკრა და ისე კეთილად გაუღიმა, გიოს შერცხვა და მოეშვა.

ფაფახიანმა ხელუკულმა გადაღვარა წყალი, დაუსხა და მიაწოდა.

— За женщин! — თქვა გიომ. ჯერ თქვა და მერე მიხვდა, რაც თქვა ვიღაცამ თქვა. ,,მე არ მითქვამს ეს За женнщин, თავშიც არ მომსვლია" — გაიფიქრა.

— за красивых женщин! - თქვა ფაფახიანმა.

— Все женщини красивы, - დაიჩემა გიომ.

— Это в твоем возрасте все женщини красивы.

თქვა ისევ ფაფახიანმა თითქოს გულდაწყვეტით.

— Мой возраст самый красивый возраст!-თქვა გიომ და ცას ახედა. ერთმანეთს დადევნებულ, ზემოდან ზუილით მომავალ, მსხვილ, ხშირ წვიმის წვეთებს, რომლებიც მკვეთრად ჩანდნენ შემგლისფერებულ, ტყვიასავით ჩამომძიმებულ ცაზე. დაბლა დაშვებული ირიბი წვეთები საოცრად გავდნენ ფერდობზე დაშვებულ ხმალამოღებულ მოლაშქრეებს.

ფაფახიანს ისევ აეტმასნა ღიმილი სახეზე, გიო უყურებდა და გრძნობდა მაგარი მთვრალი იყო.

ცოტა ხანში აიშალნენ. მარტო არაყი ჩააგდეს უკან, დანარჩენი ყველაფერი დატოვეს. გიო შემობრუნდა და თავის ნაფეხურებისაგან გაკეთებულ საფეხურებს აუყვა სირბილით. ბოლომდე სირბილით ავარდა. ცხენთან მივარდა და საყბეურებზე სტაცა ხელი, რომ არ დავარდნილიყო, ბილიკის პირს გადმოდგა. ლეკებიც ამოდიოდნენ, გიოს გამალებით უცემდა გული და გულთან ერთად მთელი სხეულიც უფეთქავდა. გასასვლელ გზას გახედა. იქით აღარ წვიმდა. კედელივით იყო ჩაჭრილი მეშვიდე მოსახვევის იქით წვიმისა და მზის საზღვარი.

გიო ცხენზე არ ჯდებოდა. ლეკებს უცდიდა. ცოტა ხანში ისინიც ამოჩნდნენ. თავ-თავის ცხენებს დაუტრიალდნენ. პირველი ფაფახიანი შეჯდა. მაშინ გიომაც ახსნა თავის ცხენი და შეჯდა. გაჟიებულ უნაგირზე დაჯდომისას უსიამოდ გააჟრჟოლა. მერე ლეკებისაკენ შამოაბრუნა.

— До свидания, спасибо!- თქვა გიომ.

— В добрый путь! — თქვა ქერამ.

— Иди с Богом! — უთხრა ფაფახიანმა.

მესამეს არც ახლა უთქვამს რაიმე. —გაუღიმა და ხელი აუწია. მერე ყველა თავისთავის გზას მიუბრუნდა. გიომ მათრახი გადაჰკრა ცხენს. ცხენი მოწყვეტილი ჩორთით დაიძრა ადგილიდან. გიომ ისე გადაიქნია წელი, კინაღამ ყირამალა წამოვიდა. ,,ჰაა"! დაჰკივლა ცხენს და ჯოხი ისევ გადაარტყა. ცხენი დაოთხდა. ქვევით მდინარე უხვევდა და ისეთ მუქ მწვანე ფერს დაიკრავდა გიოს გადახტომა მოუნდა. შიში უკვალოდ გამქრალიყო. კარგად მიაყურადა. არა, შიშის ნამცეციც აღარ დარჩენილიყო. გიოს გულიც კი დასწყდა.

ცოტა ხანში პირველი ნაჭრებიანი ჯოხი დაინახა, მერე ჯვარი, მერე ისევ ნაჭრებიანი ჯოხი და ბოლოს ის ადგილიც გამოჩნდა.

ჩორთზე გადასული ცხენი ისევ დააოთხა და ჩაქცეულ ბილიკზე შეაგდო. აღარ ეშინოდა, მაგრამ გრძნობდა როგორ გაჰფართოვებოდა თვალები.

ცხენმა უცებ უკანა ტანი ჩაიქნია და თავქვე რიახით დაეშვა ფლოქვისაგან მოგლეჯილი ქვა-ღორღი გიომ ინსტიქტურად უნაგირზე აიწია. ალვირს უცებ მოქაჩა, უცებვე მიუშვა, წინ წახრილმა ყურში მთელი ხმით ჩაჰკივლა ,,აჰააა, მიდიი"!! და ჯოხიც გადაჰკრა. ადამიანის ხმით გამხნევებული ცხენი ფლოქვებს დაეყრდნო, ძალა მოიკრიბა და ტანი ამოიქნია. ამოვიდა, გაივაკა. თავის გან-განზე ქნევა ფრთხვინვა დაიწყო. ალვირი მოზიდა, გააჩერა. გაჩერებულზე უფრო ადვილი შესამჩნევი იყო როგორ კანკალებდა. გიო უკან გადაწვა, ცხენის გავას იდაყვით დაეყრდნო და ძირს ჩაიხედა. ძირს ისევ მოჩანდა მუქ-მწვანე მდინარე. და მდინარის პირას დაყრილი ლოდები. გიო თავისხდა გასაკვირად ვერაფერს გრძნობდა. გადმოვიდა, გადმოვიდა და მორჩა. ერთი ეს იყო კლდეზე გაკრულ ბილიკზე ოთხი ქვა იდო, რომელზეც ცხენ-კაცი ასე თუ ისე ფეხს მოიკიდებდა და ახლა ისიც დაეზვავებინა ცხენს:

# ხათუნა

ვარანცოვის ხიდთან იდგა. ხიდის მოაჯირს მიყუდებულს თავი შემოებრუნებინა და ... კისერმოღრეცილი, გვერდულად, ცა- ... თვალით ჩაჰყურებდა მდინარეს. უცებ ... გამობერილ ჯიბეზე მოუხვდა და გა- ... ხსენდა ვაშლი რომ ჰქონდა. გაუხარდა. ... პირთან მიიტანა. აღარ მოუნდა. დაბნეული ... დააჩერდა და პირდაპირ მტკვარში გადაუ- ... შვა. თვალი გააყოლა. ვაშლმა ჯერ ჩაყვინთა, ... კარგა ხანს არ ჩანდა, მერე ცოტა მოშორე- ... ბით ამოყვინთა და ნება-ნება წატივტივდა.

... ციოდა. უცებ დაბინდდა. ბევრი ყვავე- ... ბი დაფრინავდნენ. სახლში წასვლა არ უნ- ... დოდა... სულ უფრო ციოდა. „ხათუნასთან ... ვალ" — გაიფიქრა და მოწყვეტით დაიძრა. ... ყელო აიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

... მიდიოდა, მიაბოლებდა. უკვე ყველაფე- ... რიგზე იყო. ხათუნაც თუ დახვდებოდა...

ხათუნას სახლს მიუახლოვდა. ბნელ ... სადარბაზოში შეუხვია. აქ, ამ ადგილას სა- ... შიშრად იძაბებოდა. და მესამე სართულამ- ... დე რაღაცნაირი დადარაჯებული ადიოდა. ... რატომ, ვერაფრით ვერ გაეგო, მერე ხათუ- ... ნას მყუდრო, ოთახში გადარჩენილივით ... გრძნობდა თავს.

... იდა. რკინის კარზე დააკაკუნა. სახლ- ... ში შუქი არ ენთო. „არ არის სახლში, ტყუ- ... ილად ვიარე" — გული დაწყდა.

უცებ კარს იქით ახმაურდნენ. შუქიც ... აინთო. რკინის კარი ნელა გაიღო. სიბნელეს ... მოშტერებულმა ხათუნამ მხოლოდ კარ- ... ხნის შემდეგ იცნო ბიჭი. და თვალები ... გაახულა. ისე ფრთხილად შეაბიჯა, თით- ... ქოს მინისა იყო და ჩაუტყდებოდა. ... ხათუნამ კარი მიხურა და ქვევიდან ამოხე- ... დულ თვალებს აღარ აფახულებდა.

„უცნაური გარეგნობა აქვს", — გაი- ... ფიქრა — ლამაზიც არის და ულამაზოც ... ერთდროულად. თან ისე კი არა, აი, მაგალი- ... თად, ანფასში ლამაზი და პროფილში უშნო ... არის, არამედ. ყოველი მხრიდან ერთნაირად ... ლამაზი და ულამაზოა".

... ბიჭს მოკლედ შეჭრილი და წინ შუბ- ... ლზე დაშლილი თმაც უხდებოდა. აკოცა. ... ქურთუკი გაიხადა და ჩამოკიდა. ჩამოკი- ... დებული ყველაფერი დაბლა ჩამოყარა. ახა- ... ლი გადაიხარა. — შედი, შედი ოთახში, — ... გახურებ — თქვა ხათუნამ.

ოთახში შევიდა. სავარძელში ჩაჯდა და ... კედლის ნახატები შეათვალიერა. პირდა- ... პირ კედელზე მისი პორტრეტი ეკიდა. „ცი- ... სფერი მამანწყალა" ასე ერქვა ნახატს.

ხათუნა შემოვიდა და პირდაპირ იატა- ... კზე, მის წინ მოირთხა ფეხი. თვითონაც ... დაეშვა ძირს და თვითონაც იატაკზე მოიკე- ... ცა. შეტრიალებული ელექტროღუმელზე ითბობ- ... და ხელებს.

— როგორა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა ხა-

— რატომ იჯექი სიბნელეში? — უპასუხა. — არ ვიცი, ანთება დამეზარა. სად დაიკარგე? არა გშია, მოდი გაჭმევ... „რატომ უყვართ ქალებს, როცა რამეს გაჭმევენ" — გაიფიქრა. და ჰკითხა.

— როგორა ხარ ხათო?

— კარგად. სად იყავი, რატომ არ ჩანდი? — ჰკითხა ისევ ხათუნამ.

— სახლში. უპასუხა.

— მართლა, არ გინდა ჭამა?



ყოველთვის როცა ხათოსთან მოდიოდა დიდი ხნის მივლინებიდან დაბრუნებულ ოჯახის უფროსივით გრძნობდა თავს და ეს ძალიან ართობდა. ხათუნა სამზარეულოში გავიდა. თვითონ ადგა და ფანჯარასთან მივიდა. თითო-ოროლა მანქანაღა თუ დაგორავდა.

ხათუნამ შემწვარი კარტოფილი შემოიტანა. საჭმელის დანახვაზე გაახსენდა როგორ შიოდა და სულმოუთქმელად ეცა. ხათო ცხვირწინ დაუჯდა. თვალს არ აცილებდა.

— რას მეპრანჭები? — ჰკითხა.

— მე ყველას ვეპრანჭები — უპასუხა ხათუნამ.

— ეპრანჭე რა — მადიანად ილუკმებოდა. არ ექვიანობდა და პირველ რიგში ამით ხვდებოდა, რომ ხათუნა არ უყვარდა. ძალიან საყვარელი კი იყო. არა, უყვარდა, როგორ. არ უყვარდა, მაგრამ არ ექვიანობდა.

— ხათო, იცი, როგორ მომენატრე? — უთხრა პირგამოტენილმა.

ხათუნა უყურებდა მის გაბერილ ლოყებს და სიცილით კვდებოდა, — ღორმუცელავ!

— აჰა! — თავის ქნევით დაუდასტურა. სწრაფად გადასანსლა ყველაფერი. ხათუნამ ჭურჭელი აიღო და სამზარეულოში გაიტანა.

ისევ ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ახლა ის თითო-ოროლა მანქანაც აღარა ჩანდა. მხოლოდ ერთმა, კუდწაწვეტებულმა მაწანწალა ძაღლმა გადაჭრა ირიბად ქუჩა. ხათუნა შემობრუნდა და ისევ ელექტროღუმელთან ჩაჯდა. თვითონაც ჩაიმუხლა. ელექტროღუმელზე მოუკიდა სიგარეტს.

— ხათო, მოიწი ყურში რაღაცას გეტყვი.

— ხო, ბიჭო, არავინ გაიგოს, — დასცინა ხათომ.

— მრცხვენია და...

— ხათუნა გადაიხარა.

— კარგია მერე, რა გინდა, ბედნიერი ხარ...

— არა ცუდადაა საქმე.

— რატომ ბიჭო, არ უყვარხარ?

თავი გააქნია — არა. მერე ხათუნას შეხედა. ხათუნა გულიანად იღიმებოდა. მსხვილი ლამაზი ტუჩები და ლამაზი კბილები ჰქონდა. ძალიან უხდებოდა ღიმილი, მაგრამ ყველაზე მეტად ღიმილის დროს თვალები ულამაზდებოდა. მის გალამაზებულ, აციმციმებულ თვალებს რომ შეხედა, თვითონაც ცალყბად გაეღიმა.

— რა პატარა ხარ, ბიჭო, რა გეშველება, როდის გაიზრდები. — უთხრა ხათუნამ.

— შენ გიყვარვარ, ხათო? — ხათუნა გაჩუმდა.

— არა, არ მიყვარხარ.

არ გაკვირვებია. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, ჩუმად უყურებდნენ ერთმანეთს.

* * *

ფანჯარაში იყურებოდა. ღამის სიბნელე უკვე თეთრად იცრიცებოდა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა „საბანში ცხვირამდე ჩამძვრალმა ხათუნამ.

— სახლში.

— გაგიჟდი? ამ შუაღამისას? გათენდება და წადი.

— გათენდა და ეგ არის. — კურტკა გადაიცვა, ქუდი ჩამოიფხატა. დაიხარა და ხათუნას აკოცა.

— ჭკუით იყავი. დამირეკე იცოდე.

— ნახვამდის.

კარი ფრთხილად გამოიხურა და კიბეზე ფეხაკრეფით დაეშვა. მერე სადარბაზოდან გამოვიდა და გრძელი ნაბიჯებით გაუტია სახლისკენ.

მართლა ძალიან ციოდა. ყინავდა. სიცივისაგან მოხრილი, ცხვირპირმოყინული მიდიოდა. აქა-იქ მანქანებიც გამოჩნდნენ, მაგრამ არც უკვიმ... ა მათი გაჩერება. იცოდა მაინც არ გ...ებ...ენ. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა ყოველთვის კარგ გუნებაზე დგებოდა, როცა ასეთ სიგიჟეებს აკეთებდა. ყველაზე მეტად ეს წუთები უყვარდა. როცა მარტო იყო. ჩიტივით თავისუფალი, ჩიტის ბუმბულივით საითაც თავში ქარი წამოუქროლებდა, იქით მიფრიალებდა.

ქუჩის გასწვრივ ნაგვის დიდი ყუთები ეწყო. ვახის ფეხის ხმაზე მაწანწალა ძაღლები პანტა-პუნტით ცვიოდნენ ნაგვის ყუთებიდან, გარბოდნენ. ცოტაზე გაიქცეოდნენ, მიიმალებოდნენ და როგორც კი გამვლელი ჩაივლიდა, ისევ ნაგვის ყუთებში ჩაეყუდებოდნენ. ეს ყველაფერი სრულ სიჩუმეში ხდებოდა. აბსოლუტურ სიჩუმეში. არცერთი არ იყეფებოდა.

ფრთხილად მიჩვენებებივით მოძრაობდნენ. უკვე ად...ანებიც ილანდებოდნენ, ისინიც ამ მაწანწალა ძაღლებივით ჩუმად, უხმაუროდ აჩრდილებივით დადიოდნენ.

ცა შემტრეცასფერდა. დაამთქნარა და ახლაღა მიხვდა როგორ ეძინებოდა. თითქოს წყალქვეშა ნავი ამოდისო ზღვის სიღრმიდან წყლის ზედაპირზე, ისე უცებ და თანდათან ამოჩნდა ღამის სიბნელიდან მისი ქუჩა.

სახანძროსთან ფანტანზე წყალს დაეწაფა. ცხენივით ფლოხანს და გრძელი ყლუპებით სვამდა. ცხვირ-პირზე შერჩენილი წყლის წვეთები მაჯით მოიწმინდა. გზა გააგრძელა. ცოტა ხანში უკვე სახლში იყო.

სახლი ცივი, ცარიელი, მაგრამ მაინც ძალიან ახლობელი იყო. შუქი აანთო და წიგნების კარადასთან მივიდა. დიდხანს არჩია. „დონკიხოტი" გადმოიღო და საწოლისკენ წავიდა. საწოლთან სკამის მიტანა დაავიწყდა. უკვე საწოლზე ჩამომჯდარს ადგომა დაეზარა. საწოლიდან დაიწყო კარადასთან მიდგმულ სკამზე ტანსაცმლის სროლა. მარტო პერანგი შერჩა სკამს, დანარჩენი ყველაფერი გარშემო შემოეფინა.

წიგნი სადაც გადაშალა იმ ადგილიდან დაიწყო კითხვა. ეს ის ადგილი იყო აი, სანჩო ჯამაგირს რომ სთხოვს დონ-კიხოტს და მთელი ფულის დაცინცვლა უნდა. მერე ნავში რომ ჩასხდებიან და სანჩოს ტილებით რომ იგებენ, უკვე გადალახეს ეკვატორი თუ არა.

ტელეფონმა დარეკა. ადგომა დაეზარა. კარგა ხანს ისმოდა ზარის ხმა. მერე გაახსენდა, ხათუნა იქნებაო და წამოხტა. მაგრამ სანამ მივიდოდა ზარი შეწყდა. ხელი ჩაიქნია და მობრუნდა. „ვირი ვარ ბატონო ნამდვილი ვირი, ერთი კუდიღა მაკლია და ღირსი ვარ თქვენმა უმაღლესობამ კუდიც შემაბასო" ნანობდა თავის უმადურობას და სიბრიყვეს სანჩო პანსა.

1995

# ციკლიდან: როცა არ ვიცი, რა დავწერო



* * *

თუ წერაა, უნდა დაწერო რაღაც ძალიან მაგარი და დაამთავრო. კარგ რამეს რომ დაწერ და მერე რაღაც ბითურობას, ის კარგი და მაგარიც ცოდოვდება.

## ჭადრაკი კახეთში

მერაბა და მიშა ჭადრაკს თამაშობენ. მიშა უგებს. მერაბა საყვედურებით იკლებს: ეს რა მიქენ, შე სახეძაღლო, როგო დამაქცია, როგო დამანელა, ახლა ფიგურა მომიკლაო! და ა.შ. გაბრაზდა მიშაც: რა გამიჭირე საქმე კაკალ, მაი ჩემებ ხო არ დავხოცავ...

* * *

მიწაზე იწვა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კვდებოდა. თავი გახეთქილი ჰქონდა. ხელით მოისინჯა კიდეები ერთმანეთს იყო მოცილებული. ადგომა შეეძლო, მაგრამ არ ამდგარა. თითქოს კვდებოდა. არ ეშინოდა, მშვიდად ელოდებოდა, ოღონდ გული სწყდებოდა. პირველად გრძნობდა საიქიოს ასე ცხადად და ახლოს. თითქოს აივნიდან უყურებდა, მარტო კიბესლა ჩაივლიდა და იქ იყო. ამას ერთვოდა უცნაური გრძნობა რაღაც განუცდელთან, მიუწვდომელთან მიახლოვებისა, დაახლოებით ისეთი, ქალთან პირველად მისვლისას რომ აქვს კაცს.

ადგომა შეეძლო. ადგა და სახლისკენ წამოვიდა. არ ბარბაცებდა. კიდევ დააპირა გატეხილი ადგილის ხელით მოსინჯვა, მაგრამ ველარ გაბედა, თითქოს ხელით შეხებისას შეიძლებოდა სწორედ იმ გატეხილი ადგილიდან ამოფრენილიყო სული.

ცოტაც გაიარა და მიხვდა, რომ არ მოკვდებოდა. კიდევ უარესი: დარჩებოდა ისეთივე, როგორიც იყო: მოკლედ თმაშეჭრილი, წვერგასაპარსი და უსიმპატიო, — გატეხილი თავით.

* * *

ხანდახან ისე მენატრება, მინდა გამოვიტანო ორლულიანი თოფი, გავტენო ჟაკანით და ზედიზედ, ერთი მეორის მიყოლებით დავახალო მონატრებას, რომ ჰაერში გავფანტო. მერე დავჯდე ჩემს ნახევრად ჩანგრეულ კიბეზე და გიჟივით ვიხარხარო. თან თოფის ხელმეორედ გატენაც არ უნდა დამავიწყდეს. ვიცი, ის გაფანტული მონატრება იქით, შორს ისევ შეიკვრება, შეერთდება და წამოვა შხუილით, ტაიფუნივით.

* * *

... მიში, მზის გულზე თოხნისას გა- ... ფიქრდა: რა კარგი იქნება ეგრე თო- ... ხნას ქუდმოშვლეპილი და ჩოხის ... ჩაცმული აქლოშინებული გლეხი ... ... და სულმოუთქმელად იყ- ... ... ხალხო, ლეკი დაგვეცა, ხალ- ... ... იქვე. თივის ზვინში ყოველ ... ... თვის ჩამალულ ხმალს, გამოა- ... თივის ზვინიდან, მერე ჭარჭაში- ... ... ზე და თოხზე გაბრაზებუ- ... ლეკზე: ჰაი, ეხლა პატრონი ... მეორე დღეს სხვა რომ გააგრ- ... დაწყებულ კვალს, სწორედ ... შენ შეწყვიტე...

ა, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ბედნიერი მგელი, ბედნიერი არწივი, ბედნიერი კრაზანა. წარმოუდგენელია, არა? — ბედნიერი მგელი, ჰმ... მთვარის კვალს ადევნებული, შიმშილისაგან მუცელგალახტული, მუდამ მიუწვდომელსა და ნათელზე მოყმუვლე, დაბლა, ბნელ ტყეში ჩარჩენილი მწვანე თვალება მგელი. ახლა იმას ხელში რაც უყვარდეთ, შეგარჩენს რამეს? არ შეგარჩენს. დაჯდებიან ხოლმე, მიიღებენ სოლომონ ბრძენის იერს... ჭკვიანები, დინჯები, ... ამწონდამწონები, შეიჭმუხნებენ შუბლზე ხელს და დაიწყებენ სიბრძნეების გადმოლაგებას. ჰკითხეთ აბა ამ მგელს უნდა თქვენი ბრძნული მსჯელობა, როცა მთვარემ ისევ დატოვა თავისი ანარეკლი მაღლიდან მოყინულ თოვლზე და ხვალაც აუცილებლად დატოვებს..

# ხორხე ლუის ბორხესი 1899-1986



# არ მსურს, სიკვდილის შემდეგ მიხსენიებდნენ



## ფრაგმენტები 1978 - 1985 წლებში მწერლის მიერ პრესისათვის მიცემული ინტერვიუებიდან.

— სინიორ ბორხეს, [illegible] იყავით ბავშვობაში. — [illegible] ცოცხალი?

— **არა, რას ამბობთ. მკითხველი ვიყავი. გარკვეული გაგებით — მწერალიც, თუმცა ჯერ არ ვწერდი. მეჩვენება, რომ მას მერე აღარც შევცვლილვარ, ისევ ისეთი მგონია თავი. დღესაც იმავე ავტორების წიგნებს ვკითხულობ, რომლებსაც მაშინ ვკითხულობდი. საკუთარ თავს მუდამ ისე ვუყურებ, როგორც მკითხველს. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრება ლიტერატურასთან იქნებოდა დაკავშირებული. რაღა თქმა უნდა, აჯობებდა, მხოლოდ მკითხველი ვყოფილიყავი და არა მწერალი, მაგრამ... (ეღიმება) ზოგჯერ გარემოებები აიძულებენ ადამიანს გახდეს მწერალი.**

— საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვი იყავით?

— **დიახ, საკმაოდ. ერთი თუ ორი ნაცნობი მყავდა, ეს იყო და ეს. მარტოსული ვიყავი მუდამ. ეს, ალბათ, ჩემი თანდაყოლილი მორცხვობის გამოც ხდებოდა. ხალხმრავლობაში მოხვედრილი, თავს ყოველთვის უბედურად ვგრძნობ.**

— 15 წლის იყავით, თქვენი ოჯახი ევროპაში რომ გადასახლდა. რატომ?

— **ეს მამაჩემის სურვილი იყო — ეცხოვრა ქალაქში, სადაც არავინ იცნობდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, მას ხელში ჩაუვარდა ფოტოსურათი, რომელზეც, თუ არ ვცდები, რაღაც ხედი იყო აღბეჭდილი: ძველებური ქალაქი, ალპები... „აი, ქალაქი, სადაც მე მოვილხენ", თქვა მამამ და ჩვენ შვეიცარიაში გამგზავრება გადავწყვიტეთ. როგორც იტყვიან, გამიმართლა. მე, მართალია, პორტენიო ვარ, მაგრამ ისეთივე ჟენეველი ვარ, როგორც პორტენიო. ისევე ვარ მონტევიდეოს მოქალაქე, როგორც პორტენიო. სამშობლო ბევრი მაქვს და მე ყოველი მათგანი მიყვარს.**

— ჟენევაში გატარებულმა წლებმა, ალბათ, კვალი დაამჩნიეს თქვენს ცხოვრებას. მეთანხმებით?

— **ეს სიყმაწვილის წლები იყო, ლამაზი წლები. იყო მეგობრობაც, სწავლაც... ჟენევაში დავამთავრე საშუალო სკოლა, რომელსაც ფრანგული ენის შესწავლას უნდა ვუმადლოდე. ესე იგი — შევიძინე ჰიუგო, ვერლენი... და მონტენიც, რაღა თქმა უნდა. შევისწავლე ლათინური, მივიწყებული ლათინური, — ეს ხომ ნამდვილი საოცრებაა! მეჩვენება, რომ ლათინურის ნოსტალგიას ყველანი განვიცდით. შევისწავლე გერმანულიც.**

— მაშ ასე, თქვენს პირად ცხოვრებაზე ვისაუბროთ.

— **ვერ გეტყვით, საერთოდ მაქვს თუ არა პირადი ცხოვრება. მაქვს, ალბათ, მიუხედავად ყველაფრისა. მაგრამ ჩემი ცხოვრება ლიტერატურის სამსახურში დგას. ასე რომ არ იყოს, ვიღას დააინტერესებდა იგი? მას მხოლოდ ჩემთვის ექნებოდა მნიშვნელობა, ხომ ასეა? არც მისი საჯაროზე გამოტანა იქნებოდა ხელსაყრელი. მაგრამ, როცა საქმე ეხება მწერალს, მაშინ ყველაფერი, რაც მის თავს ხდება, შეიძლება შემოქმედებით სტიმულად იქცეს... თუნდაც თვითონ ვერ ხვდებოდეს, ვერ აცნობიერებდეს ამას... როგორც მალარმე იტყოდა: „ყველაფერი მოხვდება წიგნში". ამასთან, ოღონდ უფრო ხატოვნად, ამბობს ჰომეროსი (ან ის ბერძნები, რომლებსაც ჰომეროსს ვუწოდებთ): „ღმერთნი განსაცდელს კაცთ უგზავნიან, რათა მომდევნო თაობები მღეროდნენ ამაზე". გამოდის, რომ, მისი აზრით, ცხოვრების მიზანი წმინდა ესთეტიკური ხასიათისაა, ცხოვრება მუშაობს პოეზიისათვის...**

— ღმერთის თუ გწამთ?

— **ვცდილობდი, მორწმუნე გავმხდარიყავი. არაფერი გამომივიდა. ადამიანის მსგავსი ღმერთი [illegible] ვირწმუნე. არ შემიძლია. დედაჩემი მორწმუნე იყო. საერთოდ კი, ჩვენს ოჯახში ყველაფერი უცნაურად აეწყო ამ მხრივ: ერთი ბებია ამერიკელი იყო, პასტორ-მეთოდისტების ქალიშვილი. ბიბლია ზეპირად იცოდა. ნებისმიერი ფრაგმენტის დეკლამირება შეეძლო. მეორე ბებია კათოლიკე იყო, მაგრამ ზედაპირული კათოლიკე. დედაჩემი, როგორც გითხარით, ღრმადმორწმუნე ქალი იყო, მამა კი — აგნოსტიკოსი. მე მათ შორის გავიზარდე.**

— როგორ ჩაიარა თქვენთვის სამხედრო ხუნტის უკანასკნელმა წლებმა?

— **მე ვსარგებლობდი გარკვეული დაუსჯელობით. ალბათ ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი ვარ, და ნებას მაძლევდნენ მეთქვა ის, რაც მსურდა. და მეც ვსარგებლობდი ამ უფლებით, როგორც ჭეშმარიტი არგენტინელი.**

— მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ თქვენ უფრო სდუმდით, ვიდრე პროტესტს გამოთქვამდით.

— **რაც უნდათ, ის თქვან. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლიტერატურასთანაა დაკავშირებული, თუმცა კი ბოლომდე არც ლიტერატურა მომწონს. მე მთლიანად ვეთანხმები იმათ, ვინც მაკრიტიკებს, მაგრამ მე ხომ არასოდეს დამიმალავს, რომ ჩემი ქვეყნის თავზე დატეხილი უბედურებების — წამების, გატაცებების, მკვლელობების — გამომწვევ მიზეზად სამხედროები მიმაჩნია. საერთოდ, მე თავისუფალი ანარქისტ-ინდივიდუალისტი ვარ და ნებისმიერი ძალადობა მიუღებელია ჩემთვის, — კაენის ქვით იქნება იგი განხორციელებული თუ ბირთვული იარაღით.**

— ცოტა უხერხულ კითხვას დაგისვამთ. ერთხელ, თურმე, პინოჩეტისგან მიგიღიათ ჯილდო, და ყველა ბრალს გდებთ, უარი რომ არ განაცხადეთ მის მიღებაზე. ამის თაობაზე თუ მეტყვით რამეს?

— **არა, ეს ჯილდო არ ყოფილა. სანტიაგო-დე-ჩილეს უნივერსიტეტში დოქტორ ჰონორის კაუზას წოდება მომანიჭეს, პინოჩეტმა კი შინ მიმიწვია. იქ მყოფს, მის მიწვევაზე უარის თქმა არ შემეძლო.**

— ბევრი დანაშაულად გითვლით ამას.

— **რა თქმა უნდა, სწორად არ მოვიქეცი. ხომ ვიცოდი, ამ ვიზიტით ნობელის პრემიას რომ ვდებდი სასწორზე, მაგრამ მე ერთადერთი მოსაზრებიდან გამოვედი: იმსჯელო მწერალზე, გამომდინარე მისი პოლიტიკური შეხედულებებიდან — აბსურდია. ამას გარდა, ვაღიარებ, რომ ვცდებოდი: საქმე ეხებოდა არა პოლიტიკურ, არამედ ეთიკურ მოტივებს, მაგრამ მე ეს ვერ გავაცნობიერე. ამ ცოტა ხნის წინ, მაგალითად, პარაგვაიდან მივიღე მიწვევა და უარი შევუთვალე: თუკი არგენტინელ სამხედროებს არ ვემხრობი, რატომ მივემხრო პარაგვაელებს? ამასთან, ადამიანებს ერთი რამის გაგება უჭირთ — სამხედრო პირს არც ცოდნა აქვს და არც უნარი ქვეყნის მართვისა. ეს ხომ აბსურდია. ეს იგივეა, რომ ქვეყანა დანტისტების ხელში ჩავაგდოთ, ან მყვინთავების, თუნდაც — მწერლების, მწერალი ვალდებული არაა, იცოდეს, თუ როგორ იმართება ქვეყანა, ეს პოლიტიკოსების საქმეა, მათი, ვინც მთელი ცხოვრება ამისთვის ემზადება.**

— სინიორ ბორხეს, რას უპასუხებთ იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ თქვენს მოთხრობებში მხოლოდ ერუდიცია ჩანს და მეტი არაფერი?

— **ისინი, შესაძლოა, მართლებიც არიან, — ამას ვუპასუხებ. მაგრამ ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩემს მოთხრობებში იყო კიდევ რაღაც, სხვა — მჯეროდა, რომ იყვნენ ამ წიგნებში ადამიანები, ქუჩები, აჩრდილები...**

— რატომ არ წერთ რომანებს? რა განასხვავებს რომანს მოთხრობისაგან?

— **როგორც ეტყობა, ამ ჟანრში მუშაობა არ მიწერია. ესაა მიზეზი. რომანის არსი, ძირითადად, პერსონაჟების, ადამიანთა ხასიათების შექმნაშია, მოთხრობისა კი — ამბის, მოვლენის გადმოცემაში, და მიმაჩნია, რომ ამბების შეთხზვა უკეთ გამომდის, ვიდრე ადამიანთა სახეების შექმნა.**

— თქვენ არაერთხელ იდექით ნობელის პრემიის ზღურბლზე, რომელსაც, ჯერჯერობით, ვერა და ვერ გადააბიჯეთ. თუ გაღელვებთ ეს ამბავი?

— **როგორ გითხრათ, ამ მიზეზით უძილობას არ ვუჩივი. თუ პრემიას, გადმომცემენ, სიამოვნებით მივიღებ, მხოლოდ სიამოვნებით, არა უმეტეს. მათ უნდა იცოდნენ, რატომ მტოვებდნენ ყოველთვის განზე.**

— რატომ?

— **ვფიქრობ, იმიტომ, რომ შვედები საკმაოდ გონიერი ხალხია და ესმით, რომ ამ პრემიის ღირსი არა ვარ. სასაცილოც იქნებოდა, პრემია რომ მიმეღო. სხვები ამას, უეჭველად, ჩემზე მეტად იმსახურებენ. თანაც, პრემიები და ტიტულები არ მაკლია: დოქტორ ჰონორის კაუზა მსოფლიოს თითქმის ყველა უნივერსიტეტში, ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის გარდა — რა თქმა უნდა, რომლის ყურადღების ღირსიც ჯერჯერობით ვერ შევიქენი.**

— თავად ნობელის პრემიაზე რა აზრის ხართ?

— **ბატონები შვედეთის აკადემიიდან, ჩემი აზრით, ახალ, ძველისაგან მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებენ. ადრე ისინი აღიარებულს ემხრობოდნენ, ახლა კი ცდილობენ, თავად აღმოაჩინონ ახალი. ვფიქრობ, ასე სჯობს.**

— თქვენ რომ შვედეთის მეცნიერებათა აკადემია იყოთ, ვის მიანიჭებდით ნობელის პრემიას?

— **არა ბორხესს, რაღა თქმა უნდა! მივანიჭებდი იმ ადამიანს, რომლის მთავარი დამსახურება იქნებოდა ის, რომ იგი არ არის ხორხე ლუის ბორხესი. მაგრამ არ მივანიჭებდი ამ პრემიას არც რაბინდრანატ თაგორს ან... გაბრიელა მისტრალს.**

— თანამედროვე მწერლებიდან ვის დააჯილდოვებდით?

— **მე ცნობილი ნაციონალისტი ვარ, ხომ ასეა? მივანიჭებდი... ადოლფო ბიოი კასარესს , სილვია ოკამპოს ,- მანუელო მუხიკე ლეინესს ...**

— ნობელის პრემიის ჩამორთმევის უფლება რომ გქონდეთ, ვის ჩამოართმევდით?

— **აი ეს კი ძნელი კითხვაა. საკმარისია იმ მეორეს ადგილას ჩემი თავი წარმოვიდგინო, არაფერიც აღარ გამოვა.**

— დაასახელეთ ამ პრემიის უდიდესი ლაურეატები.

— **მათი რიცხვი ძალზე დიდია, ბევრნი არიან! ბერნარდ შო, უილიამ ფოლკნერი, ბერტრან რასელი, ანდრე**

## საუბარი მწერალთან

**ჟიდი... თუ მას არც მიუღია?**

— არ მახსოვს. სამაგიეროდ, მახსოვს, რომ არ მიუღია პრემია მაჩადოს, პოლ ვალერის.

— **ისე, მაჩადო ვალერიზე ბევრად მაღლა დგას. ვალერი, ჩემი აზრით, ფრანგული ცთომილებაა, ისევე, როგორც გაბრიელა მისტრალია ჩილეური**

— ტოლსტოი?

— **უდიდესი მწერალია, ეჭვი არ არის. დოსტოევსკიზე მაღლა მდგომი, ჩემი აზრით.**

— იბსენი? არც ჯოისს მიუღია პრემია, არც პრუსტს.

— **მე არ გახლავართ პრუსტის დიდი დამფასებელი. ვიცი, ამის თქმით საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ვიგდებ თავს, ვაღიარებ ამას, მაგრამ... თუ წიგნი მკითხველისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს, რომანი არ უნდა ითხოვდეს ძალისხმევას.**

— ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო რომანისტად?

— **ჟოზეფ კონრადი, უეჭველად ჟოზეფ კონრადი!**

— პოეტი?

— **პოეტი? კარგით, რადგან პირდაპირ... მე შევყოყმანდებოდი [illegible] ვერგილიუსს... შექსპირსა და... ვერ[illegible] შორის... დიახ, ვერლენი, რატომ [illegible] არა? მისი მთელი არსი ხომ პოეზია[illegible] სხვა საქმეა ვერგილიუსი, სულ [illegible] საქმეა: მან გრძელი ეპიკური რომ[illegible] შექმნა. შექსპირი? თავად შექსპ[illegible] ნაკლებად არის შექსპირი, ვიდრე [illegible] ბეტი, ან პარკი, ან ლედი მაკბ[illegible] ვიდრე ჰამლეტი... ვერლენი კი [illegible] უბრალოდ პოეტია. უბრალოდ... ემშ[illegible] დალახვროს! განა ეს ცოტაა?**

— ინგლისელი კრიტიკოსი [illegible] წერდა, რომ თანამედროვე ლიტ[illegible]რას სამი გიგანტი ჰყავს: [illegible] ნაბოკოვი და ბეკეტი. ამაზე რას [illegible]ვით?

— **ნაბოკოვზე ვერაფერს გეტყ[illegible] თითქმის არა მაქვს წაკითხული, [illegible]რამ, სამწუხაროდ, ბეკეტის ნაწ[illegible] ვიცნობ, წამიკითხავს...**

— მოდით, ესპანურ-ამერ[illegible] ტერატურაზე ვისაუბროთ. [illegible] ლეულების წაწძილზე ადგილ[illegible] იმას, რასაც „ბუმს" უწოდე[illegible]

— **არავითარ შემთხვევაში [illegible] ყოველგვარ აზრს არის მოკლებუ[illegible] ლიტერატურას საკმაოდ ცუდად [illegible]ნობ. თუ არ ჩავთვლით ალ[illegible]რეიესს, გარსია მარკესს, მარ[illegible] ბომბალს... ან ჩემი ქვეყნის ლი[illegible]ტურას. ჩვენ გვყავდა დიდებული [illegible]რლები, მაგალითად — ეზეკიელ [illegible]ტინეს ესტრადა, უსამართლოდ მ[illegible]ბული.**

— გამიკვირდა, მარკესი [illegible] დაასახელეთ.

— **რატომ?**

— ყოველთვის მეგონა, [illegible] და [illegible]კესი, როგორც იტყვიან, თქვენ[illegible] ენებას არ ესადაგებოდა.

— **გააჩნია... თუმცა, ყოვე[illegible] თხზევაში, პირველი ორმოცდაათ[illegible] „მარტოობის ასი წლიდან" გვა[illegible]რდება, არა?**

— კი, ბოშა, რომელსაც [illegible] მოაქვს...

— **ეს ყოველივე უაღრესად [illegible] მაყოფილებელია.**

— ალბათ, ლამაზიც.

— **არსობრივად, ეს ფანტასტ[illegible] რომანია. ამას ახლა რომელიღ[illegible] ლიზმს უწოდებენ, მაგრამ რეა[illegible] ხომ ფანტასტიკური ლიტერ[illegible] ერთ-ერთი ნაირსახეობაა.**

— ხულიო კორტასარზე [illegible] ტყვით?

— **მიმაჩნია, რომ იგი [illegible] მწერალია. მქონდა პატივი, [illegible] ველი პუბლიკატორი ვყოფილ[illegible] დროს ერთ თითქმის იატაკქვე[illegible]ნალს ვუძღვებოდი, რომელსაც [illegible] დე ბუენოს-აირეს" ერქვა. კორ[illegible] მოთხრობა მომიტანა და მკით[illegible] ვუქვეყნებდით თუ არა. ვთხ[illegible] დღის შემდეგ გამოევლო. მან [illegible] დამიტოვა — ბრწყინვალე [illegible] რაღაც ჰენრი ჯეიმსის სტილ[illegible] ყრობილი სახლის" სახელწოდ[illegible] და ათი დღის ნაცვლად, ერ[illegible] მომაკითხა. ვუთხარი: „[illegible] უნდა გამცნოთ. ჯერ ერთ[illegible]**

# რაკურსი

როცა 50-ს გადავაბიჯე· უეცრად გამომარჩიეს, და მე შევწყვიტე არსებობა იმ შეუმჩნეველ კაცად, როგორიც მანამდე ვიყავი. პოპულარობას ნელ-ნელა ვეჩვევი, დიდი ძალისხმევის ფასად. მე მაკვირვებს საყოველთაო დიდსულოვნება; ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემში სახიერდება გარკვეული, საკმაოდ გავრცელებული ცრუ რწმენის ნაირსახეობა, რომ ნებისმიერ წუთში შეიძლება ფარდა აეხადოს ყოველივეს და გაირკვეს, რომ თითმარქვია ვარ, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მე უნებლიე თვითმარქვია გამოვდივარ.

— დაგვისახელეთ ჟანრი, რომელიც გიზიდავთ, რომელიც მუშაობის სურვილს გიჩენთ.

— ეს ის ჟანრია, რომელშიც ისედაც ვმუშაობ. მე ვწერ პატარა ლექსებს და მოთხრობებს. ეს საქმე მომწონს. მათი წერის შინაგან მოთხოვნილებასაც ვგრძნობ. დაუწერლობის შემთხვევაში, ისინი კვალში ჩამიდგებიან, არ მომასვენებენ. თუ ძველი სამუშაო არ დავასრულე, ახალს ვერ ვიწყებ.

— თქვენ ყოველთვის გიზიდავდათ მცირე ფორმები.

— ედგარ პოს უთქვამს: გრძელი ლექსი საერთოდ არ არსებობს.

— მაგრამ ხომ არის რაღაც — გრძელი ისტორია — რომელსაც ჩვენ რომანს ვუწოდებთ.

— როგორც წესი, მე ვერ ვუძლებდი ამ ჟანრთან ჭიდილს, „დონ კიხოტი", კონრადი და დიკენსი გამონაკლისებს წარმოადგენენ. ისე კი, ყველაზე ცნობილი რომანების — იქნებოდა ეს ფლობერის თუ თეკერეის — გაძლებაც კი ვერ მოვახერხე. სანყენი კია...

— მწერლების უმრავლესობა წერასთან დაკავშირებულ სირთულეებს უჩივის.

— არა, არა. რომ არ ვწერო — ეს კი მართლა აუტანელი იქნებოდა. ჩემს შემთხვევაში, ეს თითქმის შეუძლებელია.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ შეგეძლოთ გამხდარიყავით ისეთი მწერალი, როგორიც იყო ემილი დიკინსონი, სიცოცხლეში რომ არაფერი გამოუქვეყნებია?

— დიახ, მაგრამ უგუნური ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ერთხელ ალფონსო რეიესს ვკითხე, რატომ ვქვეყნდებით-მეთქი, მან კი მიპასუხა: „ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენს ნაწერებს იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ხელნაწერების დაუსრულებელ ჩასწორებას არ მოვანდომოთ". მეც ასე ვფიქრობ, არასდროს, როცა ჩემი წიგნი გამოდის, მე არ ვცდილობ მისი ბედის გარკვევას, არ ვკითხულობ არაფერს, რაც მასზე იწერება, არ ვინტერესდები — სარგებლობს თუ არა იგი წარმატებით. ვცდილობ, უბრალოდ ვიოცნებო ახალ წიგნზე, ვცდილობ მის დაწერას, იგი ყოველთვის სრულიად განსხვავებულად მესახება, მაგრამ, როგორც წესი, ყოველი ახალი წიგნი ძალიან ჰგავს მის წინ გამოცემულს.

— ერთხელ პოლ ვალერის ჰკითხეს, როგორ ხვდებით, რომ ლექსი დასრულებულიაო, და მან უპასუხა: „როცა გამომცემელი მოდის და მიაქვს იგი".

— ყოველთვის მიკვირდა, როცა ლაპარაკი დასრულებულ რედაქციაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. როგორ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ავტორს ოდესმე ზედმეტად არ მოეჩვენება რომელიმე ფრაზა, წერტილი, ეპითეტი? ეს ხომ აბსურდია. ხშირად მიჩნდება სურვილი, გავანადგურო ყველაფერი, რაც შემიქმნია.

— რას ფიქრობს ბორხესი პროზასა და პოეზიას შორის არსებულ სხვაობაზე?

— ვფიქრობ, რომ ძირითადი სხვაობა მომდინარეობს მკითხველიდან და არა ტექსტიდან. პროზის გვერდიდან მკითხველი ახალი ამბების შეტყობას მოელის, ელოდება ინფორმაციას, განსჯას, ლექსის მკითხველმა კი, თავის მხრივ, იცის, რომ წაკითხულმა მის გრძნობებზე უნდა იმოქმედოს, თავად ტექსტში განსხვავება არ არსებობს. განსხვავება, როგორც გითხარით, მკითხველშია, — კითხვის საწყის მდგომარეობაში. ვფიქრობ, რომ ყველა დიდი ნაწარმოები, თუნდაც კლასიკა, — ეს არის არა განსაკუთრებულად დაწერილი, არამედ განსაკუთრებულად წაკითხული წიგნები.

— ესე იგი, თქვენ მართლა გჯერათ, რომ მკითხველთა სხვადასხვა ტიპები არსებობენ?

— რამდენი მკითხველიც არსებობს, მკითხველთა ტიპიც იმდენივეა. და კიდევ, მჯერა, რომ პროზისა და პოეზიის ყოველი გვერდი — განუმეორებელია.

— მაშინ, მოდით, ხელი შევუწყოთ მკითხველთა რიგების გაფართოებას.

— თანახმა ვარ. ადამიანთა ამ კატეგორიას გაქრობა ემუქრება. აი, მწერლები მრავლად გვყავს, მკითხველი

## საუბარი მწერალთან



კი — თითქმის არც ერთი. მოდით, მკითხველთა სექტა ან მკითხველთა საიდუმლო საზოგადოება ჩამოვაყალიბოთ.

— რამეს ხომ არ დაამატებდით?

— რომ მითხრან, ამაღამ მოკვდებიო, ამ ამბავს სიხარულით მივიღებ, სიხარულით და გარკვეული ცნობისწადილით, რადგან, თუმცა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ საიქიოში ცხოვრება არ არსებობს, მაინც რჩება მინიმალური ალბათობა იმის, რომ ვცდები. და თუ ასეა, რატომ არ უნდა გავრისკო? თანაც, რას ვიზამთ, თუ ეს ჩვენზე არც არის დამოკიდებული... არ მსურს, სიკვდილის შემდეგ მიხსენებდნენ. მინდა, რამოდენიმე წლის მერე იკითხონ: „ბორხესი?.. ვინ არის ბორხესი?.. ეშმაკმა დალახვროს, სადღაც მსმენია ეს სახელი... გენერალ ფრანსისკო ბორხესთან ხომ არ აქვს რაიმე საერთო? შვილიშვილია? ხორხე ლუის ბორხესი... პო, კარგი..."

მოამზადა

**ნინო რატიანმა**

პორტენო — ბუენოს-აირესის მოქალაქე (ჟარგ).

ა.ბ.კასარესი — არგენტინელი მწერალი, ბორხესის მეგობარი და თანაავტორი.

ს.ოკამპო (1909) — არგენტინელი პოეტესა და მწერალი.

მ.მ.ლეინესი (1910-1984) — არგენტინელი მწერალი და ჟურნალისტი.

ანდრე ჟიდმა ნობელის პრემია მიიღო 1947 წელს.

ა.რეიესი (1889-1959) მექსიკელი მწერალი. ესეისტი, პოლიტიკური მოღვაწე.

მ.ლ.ბომბალი (1910) — ჩილელი მწერალი.

ე.მ.ესტრადა — ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არგენტინელი მწერალი მე-19 საუკუნეში.



# «მცირე სკოლა»

## უახლესი ირლანდიური პოეზიიდან

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ინგლისურენოვანი ლიტერატურა დიდადაა დავალებული ირლანდიელი მწერლებისაგან. სწორედ ირლანდიელი უილიამ ბატლერ იეიტსი იდგა მოდერნისტული პოეზიის სათავეებთან, ხოლო მეორე ირლანდიელმა, ჯეიმზ ჯოისმა, ფაქტიურად, ახალი პროზა აღმოაჩინა.

ამ და სხვა არანაკლებ სერიოზულ მიზეზთა გამო, ირლანდიური ლიტერატურისადმი ინტერესი არასოდეს განელებულა. ბოლო დროს, უფრო ზუსტად კი — მას მერე, რაც 1995 წლის ნობელის პრემია ირლანდიელ პოეტსა და დრამატურგს, შეიმას ჰინის მიენიჭა, ამ ინტერესმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი: ევროპისა და ამერიკის ლიტერატურულ გამოცემებში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა თანამედროვე ირლანდიელი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს.

წარმოგიდგენთ უახლესი ირლანდიური პოეზიის სამი ლიდერის — ჯონ სპარტაკ კლიმსის, ლაიზა სკოტისა და მენ პალ ოშერის ლექსებს. ისინი დაახლოებით ერთდროულად, 80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე და საკმაოდ ადვილად მოიპოვეს პოპულარობა მკითხველთა შორის. 1986 წელს მათი თაოსნობით ჩამოყალიბდა პოეტურ-ფილოსოფიური ამხანაგობა (Company), რომელიც „მცირე სკოლის" სახელითაა ცნობილი. პალ ოშერმა, ჯგუფის ფაქტიურმა ლიდერმა და თეორეტიკოსმა, „მცირე სკოლაში" გაერთიანებულ პოეტთა საერთო მხატვრული პოზიცია ამგვარად ახსნა: „უარვყოფთ ყველაფერს, რაც ჩვენამდე გაკეთებულა პოეზიაში, მაგრამ უარვყოფთ იმით, რომ არაფერსაც არ უარვყოფთ. ამაზე მეტი უარყოფა ჯგუფის წევრებისთვის წარმოუდგენელია".

### ლაიზა სკოტი

**მოფარიკავე**

მე ამ მოხუცთან საკამათოდ კი არ
მოვდივარ,
ლუდის ფარდულთან ყოველ დილით
რიგს რომ იკავებს,
მე მის ნაოჭებს ვაქცევ ბგერად, ბგერას —
მოტივად,
და ვშობ ხიმლერას, სადაც თეთრი
მოფარიკავე
ბადე-ნიღბიდან უმზერს მეტოქეს,
უმზერს არბიტრებს,
უმზერს ტრიბუნებს,
ხედავს — ყველანი ერთად შეტოკდნენ,
ერთად აზვირთდნენ
და დაიბრუნეს
მოხუცის სახე, ყოველ დილით ლუდის
ფარდულთან
რიგს რომ იკავებს, რომელთანაც მე არ
ვკამათობ,
რადგან ცხოვრება ისეც გართულდა,
რაღა მოხუცმა, — ბავშვმა გამართოს,

რომელიც არ მყავს.

### მენ პალ ოშერი

**სანაპირო**

ქალაქის მდინარე, მშვიდი.
მოაჯირზე თოლიები სხედან.
მოხუცები სეირნობენ მდინარის პირას
მიმავალ გზაზე.
შეყვარებულები სეირნობენ მდინარის
პირას მიმავალ გზაზე.
პოეტები სეირნობენ მდინარის პირას
მიმავალ გზაზე.
აქ სიარული ეკრძალებათ
ავტომობილებს.
ქალაქის მდინარე, მშვიდი.
აქ ყველაფერი [illegible]ვას ადგილზეა.
[illegible]აფერი, ყველაფერი
თავის ადგილ[illegible]

საუბრებიც.

ბოდიშს გი[illegible]თ, სერ, ჭამბაზი რომ თოკზე
ვალის, ხომ არ გაიცნობთ?
დიახ, სერ, მაიცნობს. რატომ მეკითხებით?
და მდინარის ზედაპირზე მცურავ თევზს
რომ თოლია იჭერს?
და რა, რომ იჭერს?
ხომ არ გაიცნობთ?
არ დავკვირვებივარ.
მე ვგულისხმობ პოეზიას...
არ დავკვირვებივარ.

თარგმნა

**რატი მიქელაძემ**

# პერ ლაგერკვისტი



# ლიფტი, რომელიც ჯოჯოხეთში ჩაეშვა

ღია ცის ქვეშ ჯდომა ...ვარსკვლავების ცქერა და ოცნება. ო, ... არასოდეს დავივიწყებ. არვიდთან ... კანცდა შეუძლებელია. ყოველთვის! სერიოზულია, პოეზიის ნატამალი არა აცხია. პოეზია საერთოდ არ ესმის.

— აუტანელია, ძვირფასო.

— პო, პო, აუტანელი... კი, მაგრამ, — განაგრძო ქალმა და ღიმილით გაუწოდა ხელი, — რას ჩამოვმსხდარვართ აქ და რა ტვინს ვიჭყლეტთ. ჩვენ ხომ ქალაქში უნდა გავიდეთ და დრო გავატაროთ! მართლა გიყვარვარ?

— ცხადია! — თქვა მმართველის მოადგილემ და ისე მიიხუტა მკერდზე, ქალს სუნთქვა შეეკრა; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.

კაცი აეკრო და მიეფერა, ქალი განითლდა.

— ამაღამ შევიყვაროთ ერთმანეთი?.. ისე, როგორც არასოდეს?.. — ნასჩურჩულა იენსონმა.

ქალი ჩაეხუტა და თვალები მილულა; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.

ლიფტი ქვევით და ქვევით ეშვებოდა.

ბოლოსდაბოლოს სახენამოჭარხლებული იენსონი ფეხზე წამოხტა.

— ამ ლიფტს რაღა დაემართა! — წამოიძახა მან. — რატომ არ ჩერდება? ჩვენ ხომ უკვე კარგა ხანია აქა ვსხედვართ და ვსაუბრობთ, არა?

— პო, ძვირფასო, დიდი ხანია, დრო ხომ ძალიან სწრაფად გარბის.

— დასწყევლოს ეშმაკმა, მეტისმეტად დიდი ხანია, რაც აქა ვსხედვართ! რა ხდება?!

იენსონმა ლიფტის ცხაურში გაიხედა. გარეთ კუნაპეტი სიბნელე იდგა. ლიფტი თანაბარი, სწრაფი სვლით განაგრძობდა გზას და უფრო ქვევით ეშვებოდა.

— ღმერთო ჩემო, რა ხდება! გეგონება ცარიელ ხვრელში მივექანებითო. უსასრულოდ დიდი ხანია, ქვევით მივექანებით.

მათ ქვევით ჩახედვა სცადეს. იქაც კუნაპეტი სიბნელე იდგა. ლიფტი ქვევით, ამ სიბნელეში ეშვებოდა.

სად ჯანდაბაში და ჯოჯოხეთში მიდის, — თქვა იენსონმა.

— ოპ, ძვირფასო, მეშინია, — დაიკვნესა ქალბატონმა და კაცს მკლავზე აეკრო, — მუხრუჭი ჩამოწიე!

იენსონმა ყველაფერი ჩამოწია, რისი ჩამოწევაც შეიძლებოდა, მაგრამ ამაოდ. ლიფტი ქვევით, უსასრულობაში მიექანებოდა.

— რა შემზარავია, — შეჰკივლა ქალმა, — რა ვქნათ, რა უნდა ვილონოთ?!

— აბა რა ჯანდაბა უნდა ვილონოთ, — თქვა იენსონმა, — ეს ხომ სიგიჟეა.

პატარა ქალბატონს სახე ნარევკვეთა და ცრემლები წასკდა.

— ნუ, ნუ ტირი, ძვირფასო. მაინც ხომ ვერაფერს გავაწყობთ. ასე რომ, ცოტა გონივრულად მოვიქცეთ. აბა, დაჯექი! შეხედე, ორივენი მშვიდად ვსხედვართ, ერთმანეთის გვერდით. დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება. როდესმე ხომ უნდა გაჩერდეს, ეშმაკმა დალახვროს.

ისხდნენ და ელოდნენ.

— რას ვიფიქრებდი, ასეთი რამ თუ მოხდებოდა, — თქვა ქალბატონმა, — არადა დროის სატარებლად მივდიოდით.

— პო, დასწყევლოს ეშმაკმა, რა უაზრობაა, — თქვა იენსონმა.

— მართლა გიყვარვარ?

— ჩემო ძვირფასო, ჩემო პატარავ, — უთხრა იენსონმა და ... მკერდზე მიიკრა; ლიფტი ქვევით ეშვებოდა.

ბოლოს ლიფტი ერთბაშად გაჩერდა. ირგვლივ ისეთი შუქი კაშკაშებდა, თვალი გეტკინებოდა. ისინი ჯოჯოხეთში იყვნენ. ეშმაკმა თავაზიანად გააღო ცხაური.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა იგი და თავი დაუკრა.

ეშმაკს მოხდენილი ფრაკი ეცვა, რომელიც ხერხემლის ზედა, ბანჯგვლიან მალაზე ისე ეკიდა, როგორც ჟანგიან ლურსმანზე. იენსონი და ქალბატონი თავბრუდახვეულებივით გამოვიდნენ ლიფტიდან.

— ღმერთო დიდებულო, სადა ვართ?! — აღმოხდათ ამ შემზარავი ხილვით შეძრწუნებულებს.

ეშმაკმა ცოტა დარცხვენილმა განუმარტა, სადაც იყვნენ.

— მაგრამ არც ისე სახიფათოა, თქვენ რომ გგონიათ, — სასწრაფოდ დაამატა მან, — იმედია, ჭეშმარიტ სიამოვნებას მოგანიჭებთ. მხოლოდ ერთი ღამით გაჩერდებით, არა?

— დიახ, დიახ! — შესძახა საჩქაროდ იენსონმა, — მხოლოდ ერთი ღამით.

— ჩვენ დარჩენას არ ვაპირებთ, არა! — პატარა ქალბატონი აცახცახებული ეკვროდა მის მკლავს.

მოყვითალო-მომწვანო შუქი ისე ძალუმად კაშკაშებდა, ერთმანეთს ძლივს ხედავდნენ. როცა სინათლეს ცოტა თვალი შეაჩვიეს, აღმოაჩინეს, რომ მოედანზე იდგნენ. მოედნის გარშემო, სიბნელეში წამომართული სახლების სადარბაზოები სიმხურვალისგან ვარვარებდა. ფანჯრები დარაბებით იყო დაგმანული, მაგრამ ღრიჭოებიდან ჩანდა, რომ შიგნით ცეცხლი ბრიალებდა.

— თქვენ ერთმანეთი გიყვართ, არა? — ჩაეკითხა ეშმაკი.

— დიახ, უსაზღვროდ, — მიუგო ქალბატონმა და ლამაზი თვალები მიაპყრო.

— მაშინ აქეთ წავიდეთ, — თქვა ეშმაკმა და სთხოვა, თუ შეიძლება გამომყევითო.

მოედნიდან ვიწრო, ბნელ შუკაში გადაუხვიეს. ჭუჭყიან, გაჭვარტლულ სადარბაზოსთან ძველისძველი, დამტვრეული ფარანი ეკიდა.

აქეთ მობრძანდით, — ეშმაკმა კარი შეაღო და მორიდებით გადგა განზე.

ისინი სახლში შევიდნენ. სადარბაზოში შემოეგებათ მსუქანი, ცბიერი, დიდმკერდა ეშმაკი, რომელსაც ტუჩების გარშემო წვერზე იისფერი პუდრი ეყარა. ალქახჯი ქშენით, მეგობრულად ულიმოდათ. შუბლზე, რქის ირგვლივ დახვეული თმა პატარ-პატარა, ლურჯი აბრეშუმის ბაფთებით ჰქონდა შეკრული.

— აა, ბატონი იენსონი და პატარა ქალბატონი მოსულან, — თქვა ალქაჯმა, — თქვენ მერვე ნომერში უნდა მიბრძანდეთ, — და დიდი გასაღები გაუწოდა.

ისინი ბნელ, გაქონილ კიბეს აუყვნენ. გაზეპილ საფეხურებზე ფეხი უსხლტებოდათ. ოთახი მესამე სართულზე აღმოჩნდა. იენსონმა მერვე ნომერს მიაგნო და ორივენი შევიდნენ. ოთახი საკმაოდ მოზრდილი იყო, თუმცა შმორის სუნი ტრიალებდა. შუაგულ ოთახში ჭუჭყიანი მაგიდა იდგა, კედელთან — ზეწარგადაფარებული საწოლი. იქაურობა ორივეს მოეწონა. ქურქები გაიხადეს და დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.

ამასობაში მეორე კარიდან შეუმჩნევლად შემოვიდა ვიღაც კაცი, რომელსაც ოფიციანტივით კი ეცვა, მაგრამ სმოკინგი კარგად ადგა ტანზე, ხოლო პერანგი ისე უქათქათებდა, რომ ბინდბუნდში მოჩვენებასავით ანათებდა. უხმაუროდ დადიოდა, ნაბიჯების ხმა საერთოდ არ ისმოდა, ხოლო მისი მოძრაობები მექანიკური, გაუცნობიერებელი იყო. ნაკვთები მკაცრი ჰქონდა, გახევებული თვალები კი მხოლოდ პირდაპირ იმზირებოდნენ. კაცი მიცვალებულივით გაფითრებული იყო, საფეთქელზე ნატყვიარი აჩნდა. მან ოთახი დაალაგა, ტუალეტის მაგიდა გადაწმინდა, ღამის ქოთანი და სათლი დადგა.

იენსონსა და ქალს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ კაცი გასვლას რომ აპირებდა, იენსონმა უთხრა:

— ცოტა ღვინოს კი დავლევდით, ნახევარი ბოთლი მადეირა შემოგვიტანეთ!

კაცმა თავი დაუკრა და გაუჩინარდა.

იენსონმა პერანგი გაიხადა. ქალბატონი ცოტა შეყოყმანდა.

— ხომ შემოვა უკან, — თქვა ქალმა.

— ეე, აბა ამისთანა ადგილას მორცხვობა ვის გაუგია, გაიხადე, ჩემო გოგონი.

ქალმა კაბა გადაიძრო, შარვალი კეკლუცად აიფარა და მუხლებზე ჩამოუჯდა.

— რა დიდებულია, წარმოიდგინე, — ნასჩურჩულა ქალმა, — ერთად ვსხედვართ, მე და შენ, მარტონი, ამ უცნაურ, რომანტიკულ ადგილას. რა პოეტურია, არასოდეს დამავიწყდება...

— ჩემო პატარა ცხვირპაჭუავ, — მიეფერა იენსონი; ისინი დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.

კაცი ისევ დაბრუნდა ოთახში, უხმაუროდ, მშვიდად, მექანიკურად დადგა მაგიდაზე ჭიქა, ღვინო დაასხა. მაგიდის ნათურის შუქი სახეზე მოხვდა. განსაკუთრებული არაფერი ეტყობოდა, გარდა იმისა, რომ შიცვალებულივით გაფითრებული იყო და საფეთქელზე ნატყვიარი აჩნდა.

ქალი კივილით წამოიჭრა ფეხზე.

— ღმერთო დიდებულო! არვიდ! შენა ხარ?! შენა ხარ?! ღმერთო ჩემო, მკვდარია! თავი მოუკლავს!

კაცი გაუნძრევლად იდგა, გახევებული მზერა წინ მიეპყრო. მისი სახე ტანჯვას არ გამოხატავდა, მხოლოდ მძაფრი, ღრმა სერიოზულობა აღბეჭდვოდა.

— კი მაგრამ, არვიდ, ეს რა ჩაგიდენია! ეს რა ჩაგიდენია! რატომ ქენი! ოპ, ძვირფასო, ეს რომ მცოდნოდა, ხომ შინ დავრჩებოდი. მაგრამ შენ არაფერზე არ მელაპარაკები. ამაზეც არაფერი გითქვამს, ერთი სიტყვაც კი არ დაგცდენია! აბა მე საიდან უნდა მცოდნოდა, როცა შენ არაფერს მეუბნებოდი! ოპ, ღმერთო ჩემო!..

ქალს მთელი სხეული უცახცახებდა. კაცი ისე უცქერდა, თითქოს უცნობს უყურებსო, ყინულოვანი, მოყამული მზერა ყველაფერს სჭოლავდა. მოყვითალო-მოთეთრო სახე უბზინავდა, ჭრილობიდან სისხლი არ სდიოდა, მხოლოდ ნახვრეტი მოჩანდა.

— ოპ, რა საშინელებაა, რა საშინელებაა! — კიოდა ქალი. — არ მინდა აქ დარჩენა! ახლავე წავიდეთ აქედან! ველარ ვუძლებ!

მან ხელი დააველო კაბას, ქუდს და ქურქს და გარეთ გავარდა, იენსონიც უკან მიჰყვა. ქალს კიბეზე ფეხი დაუსხლტა, უნებურად ჩაჯდა და უკანალზე ფურთხი და სიგარის ფერფლი აეკრო.

კიბის ქვევით ალქაჯი ... მეგობრულად აკანტურებდა ... შებში იღიმებოდა.

გარეთ გამოსულები ცოტა ... შეიდდნენ. ქალმა ტანსაცმელი ... მოწესრიგდა, ცხვირი გაი... სონმა მფარველურად მოხვია ... ხელი და ცრემლები, რომლებიც ... უნდა წასკდომოდა, კოცნით ... ბოლოს მოედანზე გამოვიდნენ ...

ეშმაკთუხუცესი იქვე ... დასეირნობდა და ხელახლა შე...

— აა, უკვე ყველაფერი ... ვრებიათ, — თქვა მან, — ... ისიამოვნეთ.

— ოპ, რა შემზარავი ... უთხრა ქალბატონმა.

— არა, რას ამბობთ, ა... განსაჯოთ. წინათ რომ გენახა... სხვა იყო. ახლა ჯოჯოხეთს ... არაფერი სჭირს. ჩვენ ყოვ... ვცდილობთ, რათა არაფერმა ... კაცი, უფრო მეტიც, როგორ... ვასიამოვნოთ.

— დიახ, — თქვა ბატონ... ნმა, — უნდა ითქვას, რომ ბ... ბად ჰუმანურია, რაც მართა... თალია.

— ო, აქაურობა მოდერნ... — თქვა ეშმაკმა, — მთლიან... კეთდა, ყველაფერმა ბუნებრ... მიიღო.

— დიახ, ზოგადსაკაცობრ... გრესს, ცხადია, ანგარიში უნ... ოს.

— პო, ჩვენს დროში ... სულის ტანჯვაღა დარჩა.

— მადლობა ღმერთს, ... ქალბატონმა.

ეშმაკმა თავაზიანად მია... ფტამდე.

— ღამე მშვიდობისა, — ... თავი დაუკრა, — კიდევ შემ...

მან კარი დახურა; ლიფ... დაიძრა.

— როგორც იქნა, ... დამთავრდა, — შვებით ა... ორთავემ და სკამზე მოკალა...

— შენ რომ არ ყოფილ... ვერ გადავიტანდი, — ნა... ქალმა.

იენსონმა იგი თავისკენ ... და დიდხანს კოცნიდნენ ერთ...

— რას წარმოვიდგენდი, ... ჩაიდენდა, — უთხრა ქალ... იენსონის მკლავებს თავი და... ისე, ყოველთვის უცნაური ა... ჰქონდა. მარტივად და ბ... მოქცევა საერთოდ არ შეეძ... ნება სულ სიკვდილ-სიცოცხ... თხი წყდებაო.

— რა უგუნურებაა, ... იენსონმა.

— ეთქვა მაინც! მაშინ ... ჩებოდი. ჩვენ ხომ შეგვეძლო ... გავსულიყავით.

— რა თქმა უნდა, — ... იენსონმა, — რასაკვირველი... ლო.

— კი, მაგრამ, საყვარ... ტვინს ვიჭყლეტთ ამაზე, — ... ლა ქალმა და კისერზე ... შემოაჭდო, — ყველაფერი ხ... ვრდა.

— პო, ჩემო გოგონი, ... — იგი ქალს მოეხვია; ლიფ... მიდიოდა.

იბეჭდება ქურ...

თარგმანების ...

შვედურიდან თ...

ბაჩურ სულა...



13 აპრილი, 1996 წ.




სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბ...
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახ...

# ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს დამფუძნებელი კრება



[...] წლის 26 იანვარს ასრულდა ქა[...] დიდი ხნის ნატვრა და ოცნება — ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. [...] ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის [...]ებამ, როგორც კეთილმა მა[...], უწინარეს საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. უნივერსიტეტში [...] სახელოვან სწავლულთა [...]ებამ, რომელიც იმთავითვე [...] მხოლოდ ქართული მეცნიერების [...]ანთლების სამსახურში, არამედ [...] ჩვება ახლადფეხადგმული [...] სახელმწიფოს მშენებლობაში [...] სხვათაგან გამორჩეული როლი [...] უნივერსიტეტის მესაძირკვლეს [...] მეცნიერსა და მამულიშვილს, [...]ხიშვილს ეკუთვნის. სამწუხაროდ [...] საზოგადოებისთვის ჩვენი [...] მოღვაწეობის ეს მხარე [...] ცნობილი. წინამდებარე წერილი [...]ბლემის ერთ კონკრეტულ საკითხს [...]თხრობს.

[...] მეტი ხნის კოლონიური [...]ობის შემდგომ, 1918 წლის [...] საქართველომ აღიდგინა თავისი სა[...]ებრივი დამოუკიდებლობა. ტრა[...] ხელისუფლების ნა[...]ში დამკვიდრდა წარმომადგენ[...] [...]ართველო — პარლამენტარი[...] საკანონმდებლო ორგანოს [...] საქართველოს პარლამე[...]ობდა. შემდგომში მან ადგილი [...] კრებას დაუთმო.

[...] კრება საქართველოს [...] რესპუბლიკის ისტორიის [...] მონაკვეთია. მან ახალი [...] სახელმწიფოებრივ წეს-წყობილე[...] სამართლებრივი საფუძველი შე[...] დროს შეიმუშავა და მიიღო [...] კანონი — კონსტიტუცია. [...] დამფუძნებელი კრების [...]ებულება 1918 წლის ნოემბერ[...]. მომავალი საკანონმდებლო [...] არჩევნები მომდევნო წლის 14 — [...] დაინიშნა. იგი ყოველმ[...]ტიური — საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი გზით, პროპორციული სისტემით ტარდებოდა. [...] დეპუტატთა რაოდენობა 130-ს [...] საარჩევნო უფლებით სარგებ[...] რესპუბლიკის ორივე სქესის მო[...] არჩევნების დღისთვის [...].

[...] კამპანია სამ თვემდე გაგრძელდა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა [...] პოლიტიკური ორგანიზაციების, [...] დიდი ინტერესი და ენ[...]. მხოლოდ ბოლშევი[...] ბოიკოტით მისი ჩაშლა, მაგრამ [...]

[...] საქართველოში ოთხი პოლი[...] გამოირჩეოდა: სოციალ-[...], სოციალისტ-ფედერალი[...], ეროვნულ-დემოკრატიული და სო[...]-რევოლუციონერთა. დამფუძნე[...] მანდატების მოპოვების მიზნით არჩევნებისთვის რამდენიმე [...] კავშირი თუ ჯგუფი შეიქმნა. [...] საარჩევნო კომისიამ არჩე[...] უფლება მისცა 15 [...] ორგანიზაციას. ყოველ მათგანს თავისი საარჩევნო ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული. კანდიდატთა საერთო რაოდენობა 550-ს აღემატებოდა.

ყურადღებას იპყრობს დეპუტატობის კანდიდატთა ნომერ მე-11 სია სახელწოდებით: დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი. სწორედ ამ სიით იყრიდა კენჭს დამფუძნებელ კრებაში ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ, ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავარკვიოთ მეცნიერის იდეურ-პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული კუთვნილების საკითხი.

არსებობს მეფის მთავრობის საპოლიციო სამსახურის ერთი საარქივო საბუთი, რომელიც 1910 წელს განეკუთვნება. ამ წყაროს თანახმად, ივ.ჯავახიშვილი დასახელებულია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივ საპატიო წევრად აკაკი წერეთელთან, ნიკო მართან და ეპისკოპოს ლეონიდესთან ერთად. ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. ქართველი ისტორიკოსი არათუ 1910 წელს, საერთოდ არ ყოფილა ფედერალისტური პარტიის წევრი. იგი, მართალია, თანაუგრძნობდა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ეროვნულ მისწრაფებებს, მაგრამ ვერ გაიზიარებდა და არც გაუზიარებია ფედერალისტთა სოციალისტური შეხედულებანი.

ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად, ერის დიდი წინამძღოლის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება ჩვენს საუკუნეში. ამდენად, მისი იდეური პროფილი და მსოფლმხედველობა კამათს არ იწვევს, — იგი ეროვნულია და დემოკრატიული. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატთა იდეოლოგიას ბოლომდე იზიარებდა, დიდი ისტორიკოსი არ გამხდარა ამ პარტიის წევრი. მეტიც, ივ.ჯავახიშვილი არასოდეს შესულა არც სხვა რომელიმე პარტიის შემადგენლობაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა უპარტიო ერისკაცად. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ დამოუკიდებელთა კავშირს.

აღნიშნული კავშირი ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში ჩამოყალიბდა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" გვამცნობს: „დაარსდა პარტიათა გარეშე მყოფი ქართველების დამოუკიდებელთა პოლიტიკური კავშირი. მიზნად კავშირი ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს შემუშავებული მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია: საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება. საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე, შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. დასახელებულ მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვადასხვა საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე; კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფ.ივ.ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი, დავით კარიჭაშვილი. წევრთა შორის ბევრი საზოგადო მოღვაწენი არიან— ეროვნულ საბჭოში დამოუკიდებელთა წარმომადგენლებია კაფხაზი და კმაყაშვილი".

უპარტიოთა კავშირი, როგორც ვხედავთ, ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს აერთიანებდა. მათი პოლიტიკური მრწამსი, ისე როგორც ივანე ჯავახიშვილისა, არსებითად ეროვნულ-დემოკრატთა იდეოლოგიას შეესაბამებოდა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის მიერ წამოყენებული დეპუტატობის 10 კანდიდატიდან 7 თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში იყო შეყვანილი. მეტი სიცხადისთვის მოვიტანთ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ასარჩევად წარდგენილ უპარტიოთა კავშირის კანდიდატების სიას, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში:

1. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე — პროფესორი სახელმწიფო უფლებისა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავდაპირველ სიაში დასახელებული იყო მეშვიდე ნომრად);

2. ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე — პროფესორი (ედპ-ს სიაში მე-18 ნომერი);

3. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — პარლამენტის წევრი (ედპ-ს სიაში მე-19 ნომერი);

4. მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარიას ძე — პარლამენტის წევრი (27-ე ნომერი);

5, მღვდლიშვილი მიხეილ მოსეს ძე — სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე (35-ე ნომერი);

6. ამირეჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე — აგრონომი-ქიმიკოსი (28-ე ნომერი);

7. ლამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე — ექიმი (50-ე ნომერი);

8. გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე — საქართველოს ჯარის სარდალი;

9. დარახველიძე-კრინიცკი ალექსანდრე მიხეილის ძე — მთავარი ბუღალტერი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი;

10. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე — ნაფიცი ვექილი.

უშუალოდ არჩევნების წინა პერიოდში უპარტიოთა კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს არა ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად, არამედ დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში და წარადგინეს კიდეც ზემოთ მოტანილი თავიანთი სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

არჩევნებმა სრული გამარჯვება მოუტანა სოციალ-დემოკრატებს. მათ ამომრჩეველთა ხმების 84 პროცენტი მოაგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამი პარტიის — ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლებმა გაიყვეს. არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირმა, ისე როგორც დანარჩენმა ათმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა. დამოუკიდებელთა კავშირის № 11 სიას თბილისში ხმა მისცა 480-მა, ქუთაისში 24-მა, ფოთში 41-მა, ჭიათურაში 10-მა ამომრჩეველმა. საერთო ჯამში უპარტიოთა კავშირმა მხოლოდ ათასამდე ამომრჩევლის ხმა მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ აღმოჩნდა.

არჩევნების ამგვარი შედეგი მოსალოდნელიც იყო. წარმატებას მიაღწიეს შედარებით მრავალრიცხოვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც აგიტაცია-პროპაგანდის გაშლისთვის ფართო საშუალება და შესაძლებლობა ჰქონდათ. ამასთან, ამ პარტიებს საარჩევნო ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდათ (ეს ნაკლებად ითქმის ეროვნულ-დემოკრატებზე). და ბუნებრივია, რომ არჩევნების პროპორციული სისტემაც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. თანამოაზრე ინტელიგენტთა ისეთმა მცირერიცხოვანმა გაერთიანებამ, რომელშიც ივანე ჯავახიშვილი შედიოდა, მძაფრ საარჩევნო ჭიდილში ვერ შეძლო გავლენიან პოლიტიკურ პარტიებთან გამკლავება.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულთა შორის იყვნენ სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერები: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ისიდორე და ნოე რამიშვილები, აკაკი ჩხენკელი და სხვ; ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატები); შალვა ნუცუბიძე, შალვა ალექსი-მესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტები); ლეო ქიაჩელი (შენგელაია), გრიგოლ ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისაგან) და სხვ. „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი", — ასე უწოდებდა დამფუძნებელ კრებას შალვა ნუცუბიძე. მაგრამ ამ გვირგვინს აკლდა ერთი ძვირფასი თვალი — ივანე ჯავახიშვილი, რომელიც უპირველესი ეროვნული საკრებულოს მიღმა დარჩა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მარცხს ივ.ჯავახიშვილისთვის გული არ აუცრუებია ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას უთქვამს უარი არჩევნებში დამარცხებულ პოლიტიკურ ძალებთან, მით უფრო, ცალკეულ ავტორიტეტულ პიროვნებებთან საქმიან ურთიერთობებზე. ყოველი მნიშვნელოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტის წინ ხელისუფლების წარმომადგენლები ეთათბირებოდნენ „საქმის მცოდნე" ადამიანთა ჯგუფებს. მათი აზრის გათვალისწინება, მართალია, არ იყო სავალდებულო, იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, მაგრამ არასოდეს რჩებოდა ანგარიშგაუწეველი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე „საქმის მცოდნეთა" შორის ივანე ჯავახიშვილს მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობას 1919 წლის 12 მარტს შეუდგა. მან აირჩია რამდენიმე მუდმივი და დროებითი კომისია. მათ შორის ერთ-ერთ უველაზე მნიშვნელოვანს საკონსტიტუციო კომისია წარმოადგენდა, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის პროექტი უნდა შეემუშავებინა. საკონსტიტუციო კომისიამ თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 7 ივნისს, კომისიაში სამუშაოდ მიიწვია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები, ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი და სამართალმცოდნე ზურაბ ავალიშვილი.

მუშაობა ერთ წელიწადს გაგრძელდა. კომისიის წევრებმა გულდასმით შეისწავლეს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის რიგი დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა, გაეცნენ ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებს და მოამზადეს იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო და სრულყოფილი კონსტიტუციის პროექტი. ივანე ჯავახიშვილმა, როგორც სწავლულმა ისტორიკოსმა და მრავალმხრივ განათლებულმა მეცნიერმა, ცხოველი მონაწილეობა მიიღო ამ დოკუმენტის მომზადებაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ იმ სამადლობელ წერილს, რომელიც დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძემ 1920 წლის 5 ივნისს გაუგზავნა ივანე ჯავახიშვილს. წერილში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ბატონო ივანე, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სახელით და პირადად ჩემგანაც მოგიძღვნით უგულითადეს მადლობას იმ მნიშვნელოვან მონაწილეობისთვის, რომელიც მიიღეთ თქვენ, სხვა მცოდნე პირებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში.

კომისია განსაკუთრებულის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს დიადი საკანონმდებლო აქტი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა — სრული და შედარებით უნაკლო იქნება".

მართლაც, პირველი ქართული კონსტიტუცია იყო უაღრესად დემოკრატიული კანონი, რომელიც სრულად ასახავდა და წინაც უსწრებდა იმდროინდელი მსოფლიო დემოკრატიზმის მიღწევებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ ეწერა დიდი. დღე. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოჭრილმა წითელმა არმიამ დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საბჭოთა რევკომის დეკრეტით იმავე წლის 24 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრებაც დათხოვნილ იქნა.

დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად უცხოეთში გაიხიზნა, ხოლო თავისუფლებაწართმეულ საქართველოში დარჩენილთაგან უმრავლესობა რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა. ივანე ჯავახიშვილისთვის არ მოუთხოვიათ პასუხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამო, თუმცა უბადრუკმა მედროვეებმა სახელოვან მეცნიერს მრავალი დაუსაბუთებელი და აბსურდული ბრალდება წაუყენეს.

**ოთარ ჯანელიძე**


## მსოფლიო

## [...]ძარი აეროპორტში

[...] კიდევ გაურკვეველია, რამ გამოიწვია ხანძარი დიუსელდო[...] [...]ეროპორტში, რომელის შედეგადაც, სულ ცოტა, 16 ადამიანი [...], 60 კი მძიმედაა დაშავებული. ხანძარი გაჩნდა ტერმინალის [...] მდებ[...]რე ყვავილების მაღაზიაში. არსებობს ვერსია, რომ იგი [...] გაუყვანილობაში მომხდარმა დაზიანებამ გამოიწვია. ხანძარი [...] გავრცელდა მთელ შენობაში. დაღუპულნი ძლიერმა კვამ[...] [...]. მათ შორის რამდენიმე გერმანელია; 6 ფრანგი, 2 [...] და ერთიც იტალიელი. დიუსელდორფის აეროპორტი, [...] სიდიდით მეორეა გერმანიაში, რამდენი[...] [...] განმავლობაში დაკეტილი იქნება, ვიდრე [...] ხანძრის ნარჩენებისგან ტერმინა[...] [...]თავება და მდგომარეობის მოწესრიგება. [...] ყველა რეისი გადაიდება.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება აცხადებს კონკურსს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად საუკეთესო გეოგრაფიულ ნაშრომზე.

კონკურსზე ნაშრომის წარმოდგენის ბოლო ვადა 1996 წლის 1 სექტემბერი. კონკურსის პირობების გაცნობა შეიძლება საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შემდეგ მისამართზე: ლ. გუდიაშვილის ქ. №11, ყოველდღე 10-დან 15 საათამდე. გარდა შაბათ-კვირისა.



## ფოთის საზღვაო ნავსადგურის პრესსამსახური გაცნობებთ, რომ ნავსადგურის გემმისადგომებთან დგას შემდეგი გემები:

1. „ჰუსეინ კალგაკანი" — თურქეთი — 2822 ტ. შაქარი. ტრანზიტი აზერბაიჯანისთვის;
2. „მარტინ ლაცისი" — უკრაინა — ხორბალი 2963 ტ. იმპორტი საქართველოსთვის;

რეიდზე დგანან:

1. „დენი" — ბულგარეთი — კონტეინერმზიდი. იმპორტი რუსეთისთვის, ჩრდილო-კავკასია;
2. „ბალკან სტარ" — სან ვინსენტი სპილენძის კონცენტრატი 2500 ტ. ექსპორტი ბულგარეთისთვის;

უნდა შემოვიდეს:

1. „ბლუ ბორტი" — ბაჰამა — სილიკომარგანეცი 1500 ტ. ექსპორტი თურქეთისთვის;
2. „სოანკა" — ლიბანი — ჯართი 2996 ტ. ტრანზიტი სომხეთ-საბერძნეთისთვის;
3. „ნადეჟდა" — რუსეთი — ფქვილი 1500ტ. იმპორტი საქართველოსთვის;
4. „კიტალი ბაინოვი" — რუსეთი — ხორბალი 2163 ტ. იმპორტი საქართველოსთვის;
5. „სი პრინცეს" — აშშ — ხორბალი 31000 ტ. იმპორტი საქართველოსთვის.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის პრესსამსახური

# ისევ «თურქული უნივერსიტეტის შესახებ»

„ქართველი თურქოლოგები წინააღმდეგნი არიანო!“ — უკვირთ მესვეურთ იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც ზოგი „თურქულს“ უწოდებს, ზოგი — „შავიზღვისპირა ქვეყნებისას“. სინამდვილეში კი ორი თურქული ფირმის საკუთრებაა და თანაც, ინგლისურენოვანი. ამ ფირმების უკან კი, როგორც თურქული პრესა იტყობინება, დგას ფუნდამენტალისტური სექტა „ნურჯულუქ“ (და არა თურქეთის მთავრობა, როგორც საქართველოს განათლების მინისტრი გვარწმუნებს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში).

მართლაც, რატომ არ უნდა უნდოდეთ ქართველ თურქოლოგებს ამ უნივერსიტეტის გახსნა? თუ პროფ. გურამ მამულია იმედოვნებს, იმ უნივერსიტეტში მე და ჩემი შვილი ლექციებს წავიკითხავთ და შემოსავალი გვექნებაო, ეგებ ჩვენთვისაც მოძებნილიყო რამე შემოსავლიანი საქმე? სტუდენტთა უმეტესობა ხომ თურქები იქნებიან?

არ გვინდა იმიტომ, რომ პირად საქმეზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დაგვიყენებია და, ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ვამბობთ: არ გვინდა არა იმიტომ, რომ თურქულია (აკი არც არისო თურქული!), არ გვენდომებოდა არც სხვა ქვეყნისა, არ გვენდომებოდა იმიტომ, რომ არა გვჭირდება! ხუთ მილიონიან საქართველოში ორასზე მეტი უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებელი გვქონია. თუ ჩვენმა განათლების სამინისტრომ ასე ხელაღებით არიგა ლიცენზიები, მალე ყველა სოფელში თითო უნივერსიტეტი გვექნება, ცოტა მოგვიანებით — ერთ სულ მოსახლეზე ერთი უნივერსიტეტი.

თანაც საგანგაშოდ მოგვიმრავლდა არაქართული სასწავლებლები. ჩვენ უნათესავო, მცირერიცხოვანი ერი ვართ და გადარჩენის, თავის შენახვის ერთადერთი გზა ჩვენი თვითმყოფადობის, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაა. ძალიან გვიჭირს იმის დაჯერება, რომ არაქართულ სასწავლებლებში ამისთვის ყველაზე საუკეთესო პირობები იყოს. ეს იზოლაციონიზმი არ არის, აუცილებლობაა.

როცა ხელს არ აძლევთ, რა იოლად ივიწყებენ ილია ჭავჭავაძის იდეებს! თავად უცხოეთში სწავლამიღებულს რატომ უნდოდა მაინცდამაინც ქართული სკოლები, ქართული გიმნაზია, რატომ ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე? იმ მშობლებს, თავიანთ შვილებს ნურჯუების სკოლებში რომ მიერეკებიან, ვერ მოსთხოვ, იცოდნენ დისტერვეგის, კომენსკის, უშინსკის, ილიას, გოგებაშვილის აზრი ეროვნული სკოლის მნიშვნელობაზე, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა იცოდეს?

მაინც რამდენი პირისუფალი გვყოლია!

„ზენაციონალური აზროვნების ჩამოყალიბებაში უნდა დაგეხმაროთო“, — გვპირდებოდა ერთი გერმანელი ქალბატონი და არ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა, გვჭირდებოდა კია ან მისი დახმარება, ან ის აზროვნება?

„რაც გვჭირს, გაუნათლებლობით გვჭირსო“, — აცხადებს „ნურჯულუქ“-ის სექტის მეთაური და საქართველოში სკოლების გახსნა არ გვაკმარა, უნივერსიტეტიც მოგვინდომა. იქნებ, მართალია ეს ბატონი თავისი ქვეყნის მიმართ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? მისმა ემისარმა ბააათი ჭუჭუქმა ტელევიზორიდან რომ გამოაცხადა: „ძალიან მიყვარს ჩემი ცოლეური და ამიტომ გადავწყვიტე მისი განათლებაო, რატომ არავინ იგრძნო თავი შეურაცხყოფილად? რატომ არ უთხრეს ამ ჩვენს „კეთილისმყოფელს“, რომ საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარი კი არა, ოთხი კლასის განათლებითაც თითქმის აღარავინ გვყავს (თუ არა თითოოროლა ღრმად მოხუცებული). რამდენი წელი იყო ჩვენში სავალდებულო საშუალო განათლება! აზლაზანს არ ვიწონებდით თავს მსოფლიოს წინაშე უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვით?

„ამ უნივერსიტეტის გახსნის იდეა ნიჟათ გოქიოის (გოგიტიძეს) ეკუთვნისო“, — ისეთი რიხით გაგვიცხადა გ.მამულიამ, თითქო ცას უნდა ვწეოდით სიხარულით. ნიჟათ გოგიტიძე თურქეთის უმდიდრესი კაცია და იქნებ, მართლაც სურს, რამით შეეწიოს წინაპართა სამშობლოს. მაშინ, რატომ არავინ უთხრა, რომ ღლევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, ჯერ არ დაგვიკარგავს მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსების, ფიზიოლოგების, ფსიქოლოგების, ფიზიკოსების, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეების მიერ ფუძეჩაყრილი სამეცნიერო სკოლები. ბ-ნ ნიჟათს კარგად მოეხსენება, რომ თურქეთის განათლებისა თუ მეცნიერების დონე ისეთი არ არის, ვისმე გამოადგეს. ეს სამწუხარო ფაქტია. აკი საქართველოს განათლების მინისტრიც აღიარებს: „თურქეთს ჩვენნაირი საგანმანათლებლო ძალები ნაკლებად ჰყავსო“... „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ძირითადად, ჩვენი მეცნიერები დასაქმდებიანო“...

ბ-ნი მინისტრის ინტერვიუში უხვად მოტანილი ურთიერთგამომრიცხავი საბუთების უარყოფა არ არის ჩვენი წერილის მიზანი, მაგრამ ერთს კი შევნიშნავთ: თურქეთში უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი მეცნიერების მოწვევის პრაქტიკა არსებობს. რაღა მაინცდამაინც საქართველოსთან დაკავშირებით სურთ ძროხის მიყვანა დანასთან? თუ ჩვენი პროფესურა, როგორც მინისტრი ბრძანებს“, იაფი ინტელექტუალური ძალაა“, უფრო იაფი ხომ არ დაჯდება მათი გამოყენება უკვე აშენებულ უნივერსიტეტებში, ვიდრე აქ საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა? მაგრამ ეს როდი შედის ნურჯუების გეგმაში.

უნივერსიტეტი, რომლის სტუდენტთა უმრავლესობა თურქი იქნება, რატომ უნდა აშენდეს მაინცდამაინც საქართველოში? ხომ არ დგას მის უკან „ნურჯუების“ მიერ ჩაფიქრებული იდეოლოგიური თუ დემოგრაფიული ექსპანსია?

ამას თურქოფობია როდი გვალაპარაკებს, ქართველი თურქოლოგები თურქოფობები არ არიან! როგორ შეიძლება ათეული წლები სწავლობდე თურქულ კულტურას, შრომებს წერდე თურქული ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ისტორიის, ეთნოგრაფიის საკითხებზე და თურქოფობი იყო? როგორ შეიძლება თარგმნიდე თურქულ ლიტერატურას და თურქოფობი იყო? როგორ შეიძლება წაიკითხო ცნობილი თურქი მწერლის დემირთაშ ჩეიჰუნის წიგნი „მთელი მსოფლიოსგან პატიებას ვთხოულობ“ და პატივისცემით არ განიმსჭვალო მისი ავტორისა და იმ ქვეყნისადმი, სადაც ასეთი წიგნის დაწერა შეიძლება.

მე იმ თაობის თურქოლოგი ვარ, აკად. სერგი ჯიქიას მიერ სტამბოლიდან 30-იან წლებში ჩამოტანილ წიგნებზე რომ გაიზარდა, უნივერსიტეტი ისე დავამთავრეთ, ცოცხალი თურქი არ გვინახავს. მოგვიანებით, ტურისტებად თუ მოვხვდებოდით თურქეთში და ჩვენი კაპიკებით ერთ-ორ წიგნს ვყიდდით, იმასაც რუსი მებაჟეები გვართმევდნენ. ახლა თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება როგორ შეიძლება არ გვიხაროდეს. მაგრამ ამ მეზობლობას ორივე მხრიდან გაფრთხილება სჭირდება. როცა მეზობელი შენს საქმეებში ჩარევა და „ფარ-ხმალს ზემოთაროს დაგიკიდებს“, კეთილმეზობლობას საფრთხე გაუჩნდება, როცა ვაცხადებთ, თურქეთში უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოშიო, ეს არა მარტო ტყუილია, არამედ თურქეთის საშინაო საქმეების ხელყოფაც.

ვიმეორებ, ქართველი თურქოლოგები თურქოფობები ვერ ვიქნებით, ჩვენ პატივს ვცემთ თურქეთსა და თურქულ კულტურას. არ გვიყვარს მხოლოდ პანთურქიზმი და პანისლამიზმი და ეს არსიყვარული თურქი ხალხის საუკეთესო შვილებმა ჩაგვინერგეს სწორედ.

1928 წელს, როცა ათა თურქმა რელიგია სახელმწიფოსგან გამოჰყო, თურქეთისთვის მიუღებლად გამოაცხადა პანისლამიზმი და პანთურქიზმი. მას შემდეგ მოწინავე თურქეთი ძალიან უფრთხილდება ლაიციზმსაც და ევროპულ ორიენტაციასაც, პანთურქიზმსაც უპირისპირდება და ისლამურ ფუნდამენტალიზმსაც.

მაგრამ ჩვენი საუკუნის ბოლო მეოთხედში, როცა აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძალიან გაძლიერდა „ისლამის ფაქტორი“, თურქეთიც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქები შიშით უყურებენ ისლამური რელიგიური პარტიის „რეფაჰის“ გააქტიურებას და დიდ წინააღმდეგობას უწევენ მას. შარშან ამ პარტიის დეპუტატებმა პარლამენტის სხდომების ლოცვით დაწყება მოითხოვეს „აქ მეჩეთი არ არის, ვისაც ლოცვა უნდა, შინ მოითავოს და ისე მობრძანდესო“, — უპასუხ[...] ნდელ არჩევნებში ამ პარტიამ ხმათა უმეტესობ[...] მაგრამ მთავრობის შესადგენად დეპუტატების [...] ნობა (276) არ ეყო. საჭირო იყო რომელიმე [...] კოალიციაში შესვლა და ვერ შევიდა — არ[...] პარტიამ არ ისურვა მათთან გაერთიანება. „ქვე[...] ვეში „რეფაჰჩიების“ მოსვლა შუასაუკუნეების [...] დაბრუნება იქნებაო“. ის კი არა და, პარლამენტ[...] ხადა: „არც ერთი პარტია ფრაქციაშიც კი არ [...] დება „რეფაჰჩიებთანო“.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თურქი [...] მოღვაწეების მოქალაქეობრივი პოზიციით — [...] ვრობაში მოვხვდეთო, არავინ შეეკრა „რეფაჰ[...]

როგორ ტრაგედიად განიცადა თურქეთის [...] ნციამ დიდი ქალაქების ქუჩებში შავ ჩადრებში [...] ლი, გრძელ, ნაცრისფერ პალტოებში გამოწყობ[...] გაზრდების გამოჩენა. მათ „ხომეინებს“ და „ნავთ[...] მსხვერპლთ“ უწოდებენ. „ისლამური სოლიდარ[...] ლამური კონგრესი“ თუ სხვა მოძრაობები, რომ[...] თავეშიც ნავთობით მდიდარი ქვეყნები დგანან [...] თურქები ფიქრობენ, დიდ ფულს ხარჯავენ [...] ფუნდამენტალიზმის ახალორძინებლად. „რეფაჰ[...] გამარჯვებაშიც „ნავთის ფულს“ ხედავენ.

ასევე მიუღებელია მოაზროვნე თურქეთის[...] ონალ-შოვინიზმი, ალფარსლან თურქეში და მის[...] რომ ქადაგებენ. მათ თურქი ხალხის სირცხვილად [...]

ილია ჭავჭავაძის იუბილეზე ჩამოსული თურ[...] ლები, რომელთა შორის რამდენიმე ჩემი მეგობარ[...] მესტუმრნენ. თურქეთი არჩევნებისთვის ემზადე[...] ამაზე ჩამოვარდა სიტყვა. როგორი აღშფოთებ[...] ვნენ თურქეშისა და მისი პარტიის ლოზუნგებით: [...] კაცი იყო აწ განსვენებული დიდი პოეტი თაჰსინ [...] აღელდა, გულის შეტევა დაემართა.

აი, ასეთ თურქეთს სცემენ პატივს ქართვე[...] რქოლოგები და იმიტომ არ შეუძლიათ მიიღო[...] უარყოფილი ფუნდამენტალისტური სექტის „[...] ლუქის“ მიერ დაარსებული კოლეჯი თუ ბა[...] ასაშენებელი უნივერსიტეტი.

ვიმეორებ — ვინც და რაც თავის ქვეყ[...] მოსწონთ, ვისშიც და რაშიც თვით თურქები [...] ფუნდამენტალიზმის საფრთხეს ხედავენ, ჩვენ ხელ[...] რატომ მივილოთ და თავად საეჭვო განათლებას [...] ჩვენი ახალგაზრდების განათლება რატომ ჩავაბარ[...]

ამ „განათლების კერებსაც“ ნავთის სუნი [...] გარწმუნებთ, ბატონებო, ძალიან მაწყინარია.

ლია ჩლა[...]

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია!

## №19 საბარათო აუქციონი

აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად განაცხადები მიიღება 1996 წლის 12 მაისის 11 საათამდე აუქციონი გაიმართება 1996 წლის 13 მაისს 11 საათზე. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება უდრის 1.46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალიუტაში

| სააქციო საზოგადოების დასახელება | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალიდან | საწყისი ფასი საპრ. ბარათებში | შესატანი ბე | სააქციო საზოგადოების მისამართი | გენერალური დირექტორი | დაკავებული მიწის ფართი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 321 „თუხუქის ტარი“(ქუთ.სახ.საწარ.) | 11302 | 103 | 0.911 | 28 | 3 | ქუთაისი,ასათიანის 96-ა. | ო. თელეშვილი | 0.6 |
| 324 „ციცქა“(თერჯოლის ხ.ყ.ფ.„ციცქა“) | 145980 | 1209 | 0.828 | 328 | 33 | თერჯოლა,პ.იამელის 4 | | |
| 326 „ჩხარის მარანი“(თერჯ.ჩხარის ღვ.ქ.) | 71285 | 1636 | 2.295 | 444 | 45 | თერჯოლა,სოფ.ჩხარი | | |
| 333 „ლაზიკა“(სენაკ.№5 სამშენ.ტრესტი) | 155789 | 16000 | 10.27 | 4344 | 435 | სენაკი,წმიდა ნინოს 1 | ზ.დიხამინჯია | 0.11 |
| 333 „ლაზიკა“(სენაკ.№5 სამშენ.ტრესტი) | 155789 | 20000 | 12.84 | 5430 | 543 | სენაკი,წმიდა ნინოს 1 | ზ.დიხამინჯია | 0.11 |
| 333 „ლაზიკა“(სენაკ.№5 სამშენ.ტრესტი) | 155789 | 24000 | 15.41 | 6516 | 652 | სენაკი,წმიდა ნინოს 1 | ზ.დიხამინჯია | 0.11 |
| 334 „სამრეწვ.-საწარ.კ-ტი“(ქუთ.VIII ტრ.) | 171843 | 18000 | 10.47 | 4887 | 489 | ქუთაისი,ხანძრის გზატკ.10 | | 4.3 |
| 334 „სამრეწვ.-საწარ.კ-ტი“(ქუთ.VIII ტრ.) | 171843 | 25000 | 14.55 | 6788 | 679 | ქუთაისი,ხანძრის გზატკ.10 | | 4.3 |
| 334 „სამრეწვ.-საწარ.კ-ტი“(ქუთ.VIII ტრ.) | 171843 | 37000 | 21.53 | 10046 | 1005 | ქუთაისი,ხანძრის გზატკ.10 | | 4.3 |
| 335 „სამოვნელა“(ქუთაურ.სახ.სამრ.ფ-მა) | 56746 | 6000 | 10.57 | 1629 | 163 | ქუთაისი,9 აპრილის 99 | ზ.მოდებაძე | 0.71 |
| 335 „სამოვნელა“(ქუთაურ.სახ.სამრ.ფ-მა) | 56746 | 6500 | 11.45 | 1765 | 177 | ქუთაისი,9 აპრილის 99 | ზ.მოდებაძე | 0.71 |
| 335 „სამოვნელა“(ქუთაურ.სახ.სამრ.ფ-მა) | 56746 | 7000 | 12.34 | 1901 | 191 | ქუთაისი,9 აპრილის 99 | ზ.მოდებაძე | 0.71 |
| 336 „გრაალი-92“(კონც.„საქავტოგზა“ს/საწ.) | 250181 | 2272 | 0.908 | 617 | 62 | გარდაბნის გზატკ.42 | ა.ლილუა | 6.5 |
| 337 „იმედი“(ოზურგეთის ქალაქგარ.უნივერმ.) | 68400 | 1080 | 1.579 | 293 | 30 | ოზურგეთი,გურიის 20 | ო.გობრონიძე | 0.38 |
| 339 „საქართველო“(ქუთ.ბამბ.საქსოვი საწ.) | 23100 | 465 | 2.013 | 126 | 13 | ქუთაისი,ასათიანის VII ჩიხი №7 | გ.ქართველიშვილი | |
| 340 „ფოთის წისქვილკარხანა“(ფოთ.პ/პრ.ს.გ) | 400653 | 11048 | 2.757 | 3000 | 300 | ფოთი,დ.აღმაშენებლის 61 | | 4 |
| 341 „ლედი“(ტრიკოტაჟის №2 დამხმ.საწ.კ.) | 374286 | 40000 | 10.69 | 10860 | 1086 | ფონიჭალა,რუსთავის გზატკ. | | 7.65 |
| 341 „ლედი“(ტრიკოტაჟის №2 დამხმ.საწ.კ.) | 374286 | 60000 | 16.03 | 16291 | 1630 | ფონიჭალა,რუსთავის გზატკ. | | 7.65 |
| 341 „ლედი“(ტრიკოტაჟის №2 დამხმ.საწ.კ.) | 374286 | 80000 | 21.37 | 21721 | 2173 | ფონიჭალა,რუსთავის გზატკ. | | 7.65 |
| 344 „ლაგოდეხი“(ავტოსატრ.საწ.) | 34068 | 3500 | 10.27 | 950 | 95 | ლაგოდეხი,სიღნაღის გზატკ.1 | ო.კაპანაძე | 1.29 |
| 344 „ლაგოდეხი“(ავტოსატრ.საწ.) | 34068 | 5000 | 14.68 | 1358 | 136 | ლაგოდეხი,სიღნაღის გზატკ.1 | ო.კაპანაძე | 1.29 |
| 344 „ლაგოდეხი“(ავტოსატრ.საწ.) | 34068 | 9000 | 26.42 | 2444 | 245 | ლაგოდეხი,სიღნაღის გზატკ.1 | ო.კაპანაძე | 1.29 |
| 347 „ლილოს რკბეტონის №2 ქარხანა“ | 39582 | 621 | 1.569 | 169 | 17 | თბილ.-51,სადგური ლილო | მ.მაჩაიძე | 3.36 |
| 348 „ბორჯომიკომბინატი“(ბორჯომი) | 53930 | 442 | 0.82 | 120 | 12 | ბორჯომის რ.,სოფ.რველი | ნ.ხუციშვილი | 0.71 |
| 356 „საქვერობიომრეწვი“(საქ.ვეტ.ბიო.მრ.კ-ტი) | 1380557 | 140000 | 10.14 | 38012 | 3802 | გარდაბნის რ.სოფ.ტაბახმელა | მ.დალაქიშვილი | 34 |
| 356 „საქვერობიომრეწვი“(საქ.ვეტ.ბიო.მრ.კ-ტი) | 1380557 | 190000 | 13.76 | 51587 | 5159 | გარდაბნის რ.სოფ.ტაბახმელა | მ.დალაქიშვილი | 34 |
| 356 „საქვერობიომრეწვი“(საქ.ვეტ.ბიო.მრ.კ-ტი) | 1380557 | 250000 | 18.11 | 67878 | 6788 | გარდაბნის რ.სოფ.ტაბახმელა | მ.დალაქიშვილი | 34 |
| 477 „სამშ.ფ.„პროგრესი“(ზუგდ.ინგურ.სამშ.ს.) | 121670 | 12800 | 10.52 | 3476 | 348 | ზუგდიდი, ჯანაშიას 1 | ს. ციმინტია | |
| 477 „სამშ.ფ.„პროგრესი“(ზუგდ.ინგურ.სამშ.ს.) | 121670 | 20000 | 16.44 | 5430 | 543 | ზუგდიდი, ჯანაშიას 1 | ს. ციმინტია | |
| 477 „სამშ.ფ.„პროგრესი“(ზუგდ.ინგურ.სამშ.ს.) | 121670 | 30000 | 24.66 | 8146 | 815 | ზუგდიდი, ჯანაშიას 1.ტ. | ს. ციმინტია | |
| 494 „ჰიდროსპეცმშენი“(ენგურ.სპეც.სამმართ.) | 70270 | 7100 | 10.1 | 1928 | 193 | წალენჯიხა, ქ.ჯვარი,ყაზბეგის 4 | ვ.სამუშია | 1.2 |
| 494 „ჰიდროსპეცმშენი“(ენგურ.სპეც.სამმართ.) | 70270 | 11000 | 15.65 | 2987 | 299 | წალენჯიხა, ყაზბეგის 4 | ვ.სამუშია | 1.2 |
| 494 „ჰიდროსპეცმშენი“(ენგურ.სპეც.სამმართ.) | 70270 | 17000 | 24.19 | 4616 | 462 | წალენჯიხა,ქ.ჯვარი,ყაზბეგის 4 | ვ.სამუშია | 1.2 |
| 57 „საქტარა“ | 196057 | 3000 | 1.53 | 815 | 82 | ალ. ყაზბეგის 42 | ე. ლომინაძე | 9.8 |
| | 8356157 | 1056776 | | 286930 | 28705 | | | |

### ყურადღება

### ცხადდება მეცხრამეტ[...] საბარათო აუქციონ[...]

რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების [...] ვებელი სააუქციონო ცენტრი აწყობს მეცხრამეტე [...] აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება სააქციო [...] ებების აქციათა პაკეტები.

აუქციონი გაიმართება ქ.თბილისში რესპუბლიკური [...] რათო და განაცხადების გადამამუშავებელი სააუქციონო [...] რის შენობაში (მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №60) [...] 13 მაისს 11 საათზე. აუქციონზე გამოტანილი იქნება [...] აქციათა პაკეტი, რომელთა გაყიდვა მოხდება ცხრ[...] თებული საპრივატიზაციო ბარათების რაოდენობ[...] რული საწყისი ფასითა და საწყისი ფასის არა[...] პროცენტიანი ბიჯით.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს სა[...] რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზ[...] საქართველოს რესპუბლიკის კანონით მონდე[...] ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელ[...] ანუ 1996 წლის 12 მაისის 11 საათისა გააკეთებს [...] შეიტანს ბე-ს საპრივატიზაციო ბარათებით (საწყ[...] ფასის არანაკლებ 10 პროცენტისა).

ბე შეტანილ უნდა იქნეს სკ ბანკის საქართვე[...] სათაო განყოფილებაში (მისამართი: პუშკინის ქ.[...]

მონაწილენი დამატებით წარმოადგენენ ფიზ[...] ბი – პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ი[...] დიული პირის წარმომადგენლები – სანოტარო [...] მებულ მინდობილობას, სადამფუძნებლო დოკუმენ[...] ან ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის [...] კაპიტალში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ა[...] ორგანიზაციების წილი არ აღემატება 25 პროცენტ[...] ტიციო ფონდის წარმომადგენელმა თან უნდა იქონ[...] ბილობა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინი[...] გაცემული ლიცენზიის ასლი.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება [...] რომელიც დაასახელებს მაქსიმალურ ფასს.

### საქართველოს რესპუბლიკ[...] სახელმწიფო ქონების მართ[...] სამინისტროს ბრძანება

№12, №14, №19 და №28 საბარათო აუქციონებ[...] სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხ[...] ლებების შეტანის შესახებ

შეტანილი იქნას ცვლილებები №12, №14, [...] საბარათო აუქციონების ნუსხებში:

სააქციო საზოგადოება „კომფორტი“ (№254) [...] (№100) ამოღებული იქნას №12 საბარათო აუქციონ[...]

სააქციო საზოგადოება „ბიზნეს ცენტრი-სასტუმ[...] თავი“-ს (№59) №14 საბარათო აუქციონზე გასაყ[...] რაოდენობას დაემატოს 127000 ცალი აქცია [...] სხვადასხვა რაოდენობის შემცველი შემდეგი აქციათ[...] სახით: პირველი – 27000 ცალი აქციისგან შემდგარ[...] პაკეტი, საწესდებო კაპიტალის 5,23 პროცენტი, საწ[...] საპრივატიზებო ბარათებში – 7331; მეორე – 100[...] აქციისგან შემდგარი აქციათა პაკეტი, საწესდებო კაპ[...] პროცენტი, საწყისი ფასით საპრივატიზებო ბარათებ[...]

№19 საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითე[...] ონზე გასაყიდი აქციების რაოდენობას დაემატ[...] საზოგადოება „საქტარა“-ს (№57) 3000 ცალ[...] შემდგარი აქციათა პაკეტი, საწესდებო კაპიტალის 1[...] ნტი, საწყისი ფასით საპრივატიზებო ბარათებში – [...]

სააქციო საზოგადოება „სამგორი“-ს (№765) [...] რათო აუქციონზე გასაყიდი აქციათა 3 პაკეტს ნაც[...] იყოს 674 ცალი აქციისგან შემდგარი, ერთი აქც[...] საწესდებო კაპიტალის 0,15 პროცენტი, საწყისი ფა[...] ვატიზებო ბარათებში – 180;

სახელმწიფო ქონების მართვ[...]

ა.სილ[...]

# «ჩემი ინგლისური კარიერა უპრობლემო იქნება»



დსი" ორივეგან დამარცხდა.

ინგლისი 22 მარტს დავტოვე. მალე კვლავ გავემგზავრები და ნათელი მოეფინება სიტუაციას, მე გუნდს სეზონის ბოლომდე აღარ ვჭირდები, ასე რომ, ამ სეზონში ინგლისში თამაშზე ლაპარაკი აღარ იქნება.

— ინგლისურ კლუბთან რამდენ წლიან ხელშეკრულებას დადებთ?

— გააჩნია, როგორი გუნდი იქნება (გარდა „ლიდსისა", კიდევ ორი კლუბია დაინტერესებული). „აინტრახტში" რომ წავედი, იგი სამი წლის განმავლობაში ლიდერი იყო. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

მე ვფიქრობ, მინიმუმ 2-წლიან კონტრაქტს მოვაწერო ხელი (მაქსიმალური ვადა სამი წელია).

— თუ მოახდენთ ბუნდესლიგისა და პრემიერ-ლიგის შედარებას და ამის საფუძველზე რამდენად გამართლებულია თქვენი არჩევანი?

— პრემიერ-ლიგაში თამაშის უფრო მაღალი ტემპია, ამიტომ, მცველებს მეტი სამუშაო აქვთ. გერმანიაში მატჩის დროს, შეიძლება ბურთი გააჩერო, გარკვეულწილად პაუზა გააკეთო, ინგლისში ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად გადააწოდონ ბურთი თავდამსხმელებს, შეუტიონ ასეთივე ტემპში. ძირითადად, ეს ხდება გრძელი გადაცემების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, მცველები ყოველთვის დაძაბული არიან. ისეთი ტაქტიკური სქემით მიდის მატჩი, რომ საჭიროა კარგი ფიზიკური მომზადება, რათა მთელი 90 წუთის განმავლობაში შეცდომა არ დაუშვა, იქ კი, სადაც ცენტრალური მცველი შეცდომას უშვებს, გოლის გატანის 100-პროცენტიანი შესაძლებლობა იქმნება: მოწინააღმდეგე პირისპირ რჩება მეკარესთან. ასე რომ, ინგლისური და გერმანული სტილი მეტად განსხვავებულია. მაგრამ, მე მიმაჩნია, რომ ჩემი კარიერა ინგლისში უპრობლემო იქნება.

— გულშემატკივრებიც განსხვავებულნი არიან?

— გერმანიაში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: „აინტრახტს" არ ჰყავს ისეთი გულშემატკივრები, როგორც დორტმუნდის „ბორუსიას", „ბაიერნს", ან ამ ბოლო დროს „მიუნხენგლადბახს". ეს სამწუხარო ფაქტია. ინგლისში, „ლიდსთან" ერთად ორი კვირა დავდიოდი თამაშებზე. იქ სულ სხვა ატმოსფეროა, კლუბს ძალზე გულითადი გულშემატკივრები ჰყავს.

— ჩვენთან ინტერვიუში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეფასებისას მურთაზ შელიამ თქვა: „გარკვეულწილად საკუთარ შესაძლებლობებს გადავაჭარბეთო".

— მოლდავასთან პირველმა მარცხმა უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მოგვაყენა, გერმანიაში რომ ჩავედი, ისეთ შოკში ვიყავი, ვერავინ მცნობდა. როგორ შეიძლებოდა მატჩის წაგება, როცა მოწინააღმდეგე ნორმალურად არც მოსულა ჩვენს კართან. მაშინ საკუთარი ძალების რწმენა დაგვეკარგა: მოლდოვასთან შინ წავაგეთ და როგორ შევძლებდით გერმანიისა და ბულგარეთის დამარცხებას, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ მოვუგეთ უელსს, ალბანეთს, ვუმასპინძლეთ გერმანიას, ჩემი აზრით, ძალიან დიდი უპირატესობა მათ არ ჰქონიათ, გახსოვთ, ალბათ, ბულგარეთთან ჩატარებული მატჩის პირველი ნახევარი, არაფერს ვიტყვი მათთან ისტორიულ მოგებაზე. ასე რომ, საქართველოს ნაკრების გამოსვლა შესარჩევ ტურნირზე დამაკმაყოფილებელია. ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი, რადგან პირველად ვითამაშეთ მსგავსი რანგის ასპარეზობაზე, ასეთ დროს კი დიდი მოთხოვნების წაყენება არ შეიძლება.

— პარიზის კენჭისყრის შედეგებს თქვენ ოპტიმისტურად უყურებთ...

— დიახ, საკმაოდ კარგი განწყობა მაქვს, რადგან სხვანაირად არც შეიძლება. ფეხბურთელს არა აქვს უფლება, ოპტიმისტი არ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის თამაშს აზრი დაეკარგება.

ერთ-ერთ ინტერვიუში უკვე ვთქვი, ჯობდა უფრო ნორმალურ ჯგუფში მოვხვედრილიყავით, ჩვენი ჯგუფი ხომ ერთ-ერთი უძლიერესია მთელს შესარჩევ ტურნირზე. კვიპროსთან შეხვედრამ კიდევ უფრო იმედიანად განმაწყო: ფეხბურთელები გაიზარდნენ, გამოცდილება შეიძინეს. მათ პირველი ნაკრების დონეზე უკვე 13-14 თამაში აქვთ ჩატარებული, ამასთან ერთად, ბიჭები ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონატებზე ასპარეზობენ. ადრე კი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები, ფაქტობრივად, არ იყო მზად გრანდებთან საბრძოლველად. ერთი თვეა, რაც ჯამარაული „ალანიაში" გადავიდა და კვიპროსთან მატჩში უკვე ნაკრების ლიდერი იყო. ასე რომ, გამოცდილება თავის საქმეს აკეთებს. მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ღირსეულად გამოვალთ. დრო გვაქვს, ვატარებთ ამხანაგურ თამაშებს, მთავარია, ტრავმები ავიცილოთ თავიდან, რადგან ერთ ადგილზე ორი მოთამაშე, შეიძლება ითქვას, არ გვყავს.

თუ პირველ ორ შეხვედრაში დადებითი შედეგი ვაჩვენეთ, ყოველ შემთხვევაში, ერთი გამარჯვება მაინც რომ დავაფიქსიროთ, საფრანგეთში გამგზავრების დიდი შანსი გვექნება.

— „დინამოსთან" ერთად რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეთ, ალბათ, ნახეთ მისი თამაშებიც, რას იტყვით თქვენს ყოფილ კლუბზე?

— სამწუხაროდ, „დინამოს" თამაში არ მინახავს. ბიჭებთან ერთად მხოლოდ ვივარჯიშე. ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, 18-19 წლისანი. მათ რომ დიდი შედეგები მოვთხოვოთ, არ შეიძლება. მე ვგულისხმობ, ფეფას თასზე მაღალი დონის თამაშს. მათ გამოცდილება სჭირდებათ. რაც მთავარია, ჰყავთ კარგი მწვრთნელი. დავით ყიფიანთან მე რამდენიმე წელი ვიმუშავე და ვიცი მისი შესაძლებლობები, მაგრამ საჭიროა, მოთამაშემ თავად მოინდომოს.

ამჟამად, საქართველოში ახალგაზრდა ფეხბურთელებს დიდი პერსპექტივები აქვთ: მათ აქვთ ნაკრებში თამაშის და საზღვარგარეთ წასვლის შანსი. ამიტომ, ინტერესიც გაიზარდა. ჩვენთან არასდროს ყოფილა ნიჭიერი ფეხბურთელების სიმცირე, მითუმეტეს, „დინამოში" ყოველთვის იყვნენ და, მომავალშიც იქნებიან პერსპექტიული მოთამაშეები.

P.S. ინტერვიუ კახი ცხადაძესთან მისი ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ ჩავიწერეთ. გვინდა ბოდიში მოვუხადოთ ჩვენს რესპოდენტს, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მასალა მხოლოდ დღეს ქვეყნდება.

# დინამო ისევ დუბლს გააკეთებს



თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობის მხრიდან არაერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ გუნდისთვის, რომლის საშუალო ასაკი 19 წელია, სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ „დინამოს" დღევანდელ თაობას უდაოდ ნიჭიერი მოთამაშეები შეადგენენ, რომლებიც, ძირითადად, განსაზღვრავენ გუნდის სახეს და წარმატებით გამოდიან არა მხოლოდ ახალგაზრდულ, არამედ, ქვეყნის პირველ ნაკრებშიც. ლევან ცქიტიშვილი ერთ-ერთი მათგანია.

ლევან ცქიტიშვილი — დაიბადა 1976 წლის 10 ოქტომბერს. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 2 მატჩი: უელსთან (1:0) და მოლდოვასთან (2:3), გულშემატკივრობს „იუვენტუსს" და საქართველოს ნაკრებს. მისი კერპია მარადონა, ქართულ ფეხბურთში კი გოჩა ჯამარაული და გიორგი ქინქლაძე. მეგობრები — გიორგი ანჩაბაძე, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე იაშვილი არიან. ყველასთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მათთან განსაკუთრებით. ფეხბურთისგან თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებთ, — განაცხადა დინამოელთა მე-7 ნომერმა.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყების წინ დავით ყიფიანმა თქვა: „სამწუხაროდ, ტრავმის გამო გამოგვაკლდა ლევან ცქიტიშვილი, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე. იმედია, იგი მალე შემოგვიერთდება". ლევანი მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს, ზუგდიდის „დინამოს" წინააღმდეგ მატჩში, და ზოგიერთ ეპიზოდში აშკარად იგრძნობოდა მისი ხელწერა. ინტერვიუც ამ შეხვედრის შემდეგ შედგა.

— რით იყო განპირობებული თქვენი ხანმოკლე განშორება ფეხბურთთან და ახლა როგორ ფორმაში ხართ?

— თვენახევრის წინ გავიკეთე მენისკის ოპერაცია, ახლახანს შევუდექი ვარჯიშს. რომ გითხრათ, კარგ ფორმაში ვარ-მეთქი, არ იქნება მართალი.

— მოედანზე თავს როგორ გრძნობდით?

— ყოველ შემთხვევაში, კარგად არა. დავით ყიფიანმა ალბათ იმიტომ მომცა მინდორზე გასვლის საშუალება, რომ თამაშით აღმედგინა სპორტული ფორმა.

— მართალია, „დინამომ" 3 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს, მაგრამ დამეთანხმებით, სატურნირო მდგომარეობა მაინც დაძაბული რჩება...

— ორშაბათს ქუთაისში ძნელი გასვლითი მატჩი გველის. იმედი მაქვს, რომ მოვიგებთ, აუცილებლად მოვიგებთ. საერთოდ, მე ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ სამტრედიასაც დავამარცხებთ და ჩემპიონობასთან ერთად თასსაც მოვიპოვებთ.

— ყველასთვის ნათელი ფაქტია, რომ ჩვენი ეროვნული პირველობა არაა სათანადო დონის. თქვენთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს დონე?

— რა თქმა უნდა, ჩვენი ჩემპიონატი ოპტიმალურისგან შორსაა, მაგრამ, ჯერჯერობით, აქ უნდა ვითამაშოთ, რათა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია კარგი თამაში. მერე, ალბათ, ჩვენც წავალთ სადმე.

— საით გსურთ კარიერის გაგრძელება?

— ესპანეთში ან ინგლისში.

— ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში უკვე ორი შეხვედრა ჩაატარეთ, რაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დამატებითი სტიმულია...

— დიახ. ნაკრებში გამოსვლა მეტად პრესტიჟულია თითოეული ჩვენგანისთვის. ძალზე სასიხარულოა, რომ ვარ პირველ ნაკრებში და აგრეთვე, ახალგაზრდულში. მე მგონი, გავამართლებ გუნდის ხელმძღვანელის იმედებს.

— მომავალ შესარჩევ ტურნირზე დელ პიეროს წინააღმდეგ მოგიწევთ ბრძოლა.

— დელ პიერო თითქმის ჩვენი ტოლია, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ იტალიაში სულ სხვა დონეა, ყველა ასპექტით. მაგრამ ჩვენ ყოველთვის შევეცდებით კარგი თამაშის ჩვენებას.

— მიუხედავად თქვენი საკმაოდ ხანმოკლე საფეხბურთო კარიერისა, თუ გამოარჩევთ თქვენს საუკეთესო მატჩს?

— ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ჩემი პირველი გამოსვლა უეფას თასზე, ბულგარეთის „კრაიოვასთან". მაშინ შეცვლაზე შემოვედი.

— ცუდად თუ გაგონდებათ რომელიმე შეხვედრა?

— ცუდად ბევრ მატჩში ვითამაშე. ისეთი შეხვედრა, სადაც ძალიან ცუდად ვიასპარეზე, არ მქონია.

P.S. იმედია, ლევან ცქიტიშვილს წლების შემდეგაც არ ექნება ავადმოსაგონარი თამაშები. დამეთანხმებით, ამის მყარ საფუძველს იძლევა ფეხბურთელის პოტენციური შესაძლებლობები და თვალშისაცემი რწმენა საკუთარი ძალებისადმი. ტორპედო-დინამოს მატჩი კი, მოგეხსენებათ, 0:1 დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ.

## იუმორი

# რწყილი და ჭიანჭველა

იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

ანძამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის კაბელის ქურდი არ მოგიშორებიაო!

კაცი წავიდა ქურდთან, მივიდა და სთხოვა:

— ქურდო, ეხსენ ანძასა,
ანძას შერჩება კაბელი,
კაბელი მიიღებს დენსა,
გამინათებს დენი
ოთახს ცივს და ბნელსა,
გამიხარებს ნათურა
იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

ქურდმა უთხრა: აზრზე მოდი, სიმონ, კაბელს თურქეთში ვყიდი, მიდი თელასს გამოართვი, მომიტანე და ანძას დავეხსნებიო.

კაცი წავიდა თელასში, მივიდა და სთხოვა:

— თელასო, მომეც ზაბელი,
კაბელს მივუტან ქურდსა,
ქურდი დაეხსნება ანძას,
ანძა მომცემს დენსა,
გამინათებს დენი
ოთახს ცივს და ბნელსა,
გამიხარებს ნათურა
იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

თელასმა უთხრა: კაბელს კი მოგცემ, მაგრამ თბილსრესი საკმარის დენს რომ არ იძლევა, ტყუილი წვალება გამოგივაო!

კაცი წავიდა თბილსრესში, მივიდა და სთხოვა:

— სრესო, მომეც დენი,
დენს მივუტან თელასს,
თელასი მომცემს კაბელს,
კაბელს მივუტან ქურდსა,
ქურდი დაეხსნება ანძას,
ანძა მიიღებს დენსა,
გამინათებს დენი
ოთახს ცივს და ბნელსა,
გამიხარებს ნათურა
იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

სრესმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის გაზი არ მოგიტანიაო!

კაცი წავიდა უცხოეთში, იპოვა გაზის ტრესტი და სთხოვა:

— ტრესტო, მომეც გაზი,
გაზს მივუტან სრესსა,
სრესი მომცემს დენსა,
დენს მივუტან თელასს,
თელასი მომცემს კაბელს,
კაბელს მივუტან ქურდსა,
ქურდი დაეხსნება ანძას,
ანძა მომცემს დენსა,
გამინათებს დენი
ოთახს ცივს და ბნელსა,
გამიხარებს ნათურა
იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

ტრესტმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ვალი არ დაგიბრუნებია, საბარტერო ჩაი მაინც ჩამოგეტანაო!

კაცი უკან დაბრუნდა, ჩაის ფაბრიკაში მივიდა და სთხოვა:

— ფაბრიკავ, მომეც ჩაი,
ჩაის ჩავუტან ტრესტსა,
ტრესტი მომცემს გაზსა,
გაზს მივუტან სრესსა,
სრესი მომცემს დენსა,
დენს მივუტან თელასს,
თელასი მომცემს კაბელს,
კაბელს მივუტან ქურდსა,
ქურდი დაეხსნება ანძას,
ანძა მომცემს დენსა,
გამინათებს დენი
ოთახს ცივს და ბნელსა,
გამიხარებს ნათურა
იმ ჩემს ძმობილ დათუნას.

ფაბრიკამ უთხრა: თუ ჩემი უხარისხო ჩაი რაიმეში გამოგადგება, აგერ არის, ფეშქაშო!

გახარებულმა კაცმა ჩაი ტრესტს მიუტანა, ტრესტმა მისცა გაზი, გაზი მიუტანა სრესს, სრესმა მისცა დენი, დენი მიუტანა თელასს, თელასმა მისცა კაბელი, კაბელი მიუტანა ქურდს, ქურდი დაეხსნა ანძას, ანძამ მისცა დენი, დენი მიუტანა ნათურას. და ის იყო, ნათურა უნდა ანთებულიყო, რომ ოთახის მოსალოდნელი განათების სიხარულმა გიჟივით გამომალვიძა და... ამდენი წვალებით ოთახში შემოყვანილი დენიც იმ ჩემი ცოდვით სავსე სიზმარივით გაქრა.

ტარიელ ხავთასი

**ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.**



## იყიდება

- ხუთოთახიანი გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. ცხრასართულიანი სახლის მეშვიდე სართულზე. საერთო ფართი 120 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 90 კვ.მ., ტელეფონით, ავტოფარეხით. ტელ.: 38-30-30. ფასი 65000 დოლარი.
- სამოთახიანი ნახევარსარდაფი ნათელი 60 კვ.მ. ბინა, შანიძის ქუჩაზე (ყოფილი კალანდაძე). აქვს თავისი დამხმარე სათავსოები. ფასი 12000 დოლარი. ტელ.: 23-56-22.
- სამოთახიან იზოლირებულ ტელეფონიან ბინას „სარაჯიშვილის" მეტროსთან მე-4 სართ. ტელ.: 39-01-81. ფასი 8000 დოლარი.
- ლვოვის ექსპერიმენტული, ოროთახიანი ბინა, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონი, მეცხრე კორპუსი, მერვე სართული. ტელ.: 78-57-39. ფასი შეთანხმებით.
- 2-ოთახიანი ბინა რკინიგზის სადგურთან, ფიროსმანის ქუჩაზე, საერთო ეზოში. სამზარეულოთი, ტუალეტით, შხაპით, მანქანის სადგომით და ტელეფონით (საერთო ფართი 35 კვ.მ.), ტელეფონი 96-55-44 — 19 საათის შემდეგ. ფასი შეთანხმებით.
- ოთხოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქუჩაზე. დიდი ლოჯიით და დიდი სარდაფით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 39-14-25 ან 23-39-26. ფასი შეთანხმებით. იკითხეთ ეკა.
- სასწრაფოდ გორში ნახევრად დამთავრებული სამსართულიანი საკუთარი სახლი, საკარმიდამო ნაკვეთით (600 კვ.მ. ფართით), ხეხილის ბაღით, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-39-49 (ბინა) ან 93-51-76 (სამსახური).
- 5-ოთახიანი ბინა ვაზისუბნის დასახლების მე-4 მ.რ.-ში, 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-33-97.
- 6-ოთახიანი იზოლირებული სარემონტო ბინა გოგოლის ქუჩაზე სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით, საცხოვრებელი ფართი 120 კვ.მ. საერთო ფართი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-49-70.

## ვაქირავებ

- ოროთახიან იზოლირებულ არასტანდარტულ ბინას ლოჯით, ავეჯით, ტელეფონით. ტელ.: 93-49-81.
- საბურთალოზე მიცკევიჩის ქუჩაზე 2-ოთახიან სუფთა ბინას. ტელ.: 38-73-94.
- ვერაზე პეტრიაშვილის ქ. №3-ში 3-ოთახიან ბინაში ორ ოთახს. ტელ.: 22-11-65. იკითხეთ ნანა. ოჯახზე, უფრო სტუდენტებზე.
- ერთ ოთახს ოროთახიან ბინაში, ავეჯით, ტელეფონით, მეტრო „გოცირიძის" მიდამოებში, ყაზბეგის 31 ა (ასათიანის 4), პირველი სადარბაზო, მეხუთე სართული, ბინა 20. ტელ.: 39-60-54, 39-31-20.
- ვერაზე, ბაქრაძის № 14-ში ყოველმხრივ კეთილმოწყობილ ბინას ერთი წლით. სასურველია უცხოელი. ფასი თვეში 900 ლარი. ტელ.: 98-49-99.
- ბინას ორსართულიანი საკუთარი სახლის პირველ სართულზე — ორი ოთახი. საკუთარი გარაჟით. ბინის საერთო ფართი 37 კვ.მ. ბინაში შესასვლელი ქუჩიდან. გარაჟი ეზოში. ოფისისთვის ან ფირმისთვის. ბარნოვის ქ. №24. კუპრეიშვილი გურამი.



## ავტობირჟა

- ვყიდი გერმანულ მანქანა ოპელ-კადეტს ფურგონით. დიზელზე. 1986 წლის გამოშვება. ფასი 5500 ლარი. ტელ.: 39-17-25, ბაჩო.
- ვყიდი 1985 წლის 06 მარკის თეთრი ფერის ჟიგულს, თავისივე ძრავით. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-47-96.
- ვყიდი 1983 წლის ოთხცილინდრიან მერსედესს — 200. ძალიან კარგ მდგომარეობაში. სავარაუდო ფასი 6400 ლარი. ტელ.: 39-47-96, ლექსო.
- ვყიდი ზილ-131-ს დიზელის ძრავით, ფასი შეთანხმებით; ვყიდი დიზელის ძრავს 4540 კამაზის გადაცემათა კოლოფით, მუშა მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-40-39.
- ვყიდი სასწრაფოდ იაფად ამერიკულ მანქანას ჯიპი ფორდი ბრონკო II, 1988 წლის გამოშვება. იდეალურ მდგომარეობაში. ტელ.: 98-38-85. ჯონი.
- ვყიდი სასწრაფოდ, იაფად ამერიკულ მანქანას დოჯი სპირიდი 1991 წლის გამოშვება, ვერცხლისფერი. ტელ.: 98-38-85. ჯონი.
- ვყიდი ავტომანქანების საბურავებს: „ჟიგულის" და „მოსკვიჩის" — 2 ცალი. „იკარუსის" — 1 ცალი, შეღავათიან ფასებში. ტელ.: 73-02-69, 73-59-26 (შოთა), 37-40-36 (თამაზი).
- ვყიდი გაზ 21, ახალი გარემონტებული მოტორით, 1959 გამოშვებულ მანქანას. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 39-23-29; იკითხეთ ნანა.

## სხვადასხვა

- ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ, გერმანულ როიალს „ბეკერს" (კარგ მდგომარეობაში), ფასი 2000 დოლარი. ტელ.: 36-32-64, 36-52-00 (ნათელა, საღამოს საათებში).
- ვყიდი ახალ, შეფუთულ რუმინულ ხის საწოლებს, თითოეულის ფასი 200 ლარი. ტელ.: 36-46-47, 23-41-02.
- ვყიდი თეთრი ფერის ჩეხურ კაფელს. 40 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-42.
- ვყიდი ვიდეო კამერას QVARZ 1X8 S-2; ფოტოაპარატს KODAK-950, ბაბინებიანი. სასწრაფოდ, შეღავათიან ფასებში. ანტიკვარულ ლამპას XIX საუკუნის, გერმანული. ტელ.: 68-45-97.
- იყიდება უცნობი მხატვრის ორი პეიზაჟი. მე-20 საუკუნის დასაწყისი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-22-89 ან 61-58-57.

სააქციო საზოგადოება „გაჩიანი"-ს სამეთვალყურეო საბჭო მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც 1996 წლის 23 აპრილს, 12 საათზე გაიმართება, იწვევს აქციონერებს გორგასალის ქ.№16-ში, სააქციო საზოგადოება „გაჩიანი"-ს ოფისში.

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 11 საათიდან.

სამეთვალყურეო საბჭო


მომავლის სკოლა

**არასახელმწიფო საერო სასწავლებელი «მომავლის სკოლა»**

სკოლის და უფროსი ასაკის მსმენელებს იწვევს სკოლასთან არსებულ, როგორც სასაუბრო, ასევე საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო

**ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე**

კურსებს გაუძღვებიან სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ამერიკული კორპორაცია A.C.E.-ს პროგრამით ინგლისურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება გააჩნიათ.

ანგარიშსწორების ფორმა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო

ახს „მომავლის სკოლის" ოფისის მისამართი: ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №69. შესასვლელი ეზოდან.

ტელეფონი: 23-31-99.


- ვასწავლი გერმანულ ენას. ფასი თვეში 20 ლარი. ტელ.: 93-23-26 ან 39-04-34.
- ვყიდი იაპონურ ფართოფორმატიან (A3) მატრიცულ პრინტერს „STAR SG-15" თავისი დოკუმენტაციით. ფასი 150 დოლარი; ვყიდი ცინკის შიფერს (132X57), 126 ცალს. თითოს ფასი 7,5 ლარი. დარეკეთ ტელეფონზე: 34-86-51. ზურაბი ან ლევანი.
- მოვუვლი ერთი წლისა და მეტი ასაკის ბავშვს. ვარ საკმაოდ გამოცდილი აღმზრდელი. ტელ.: 73-97-96,
- ვამზადებ სკოლის მოსწავლე... ნაზე მისვლით, იაფად. ტელ.: 73-97-96 ...
- ვყიდი ნარმას (ბიაზი), სიგანე 18 ... 35000 მ. ფასი 75 თეთრი. ნარმა (ბ...) მეტრის ფასი 1 ლ და 30 თეთ... თემური 7 სთ-მდე, 34-71-15, 7 ...
- ვყიდი მე-19 საუკუნის კარგად ... „ბლიუთნერი" — იაფად. ფასი შ... 96-18-28, 93-18-70.



## ჯიმი ლუკას ძე ბარაული
## გახსენება

ექვსი თვე გავიდა, რაც ალისფრად აფეთქებულ ბროწეულის ტოტებში ... სამუდამო ბინა.

საქაოს სილამაზეს ეტრფოდი, საიქიოსაც გაგყვა ეს ბუნება.

შენ მარტო მონატრება არა ხარ, შენ ოცნება, სინანული და მოუნელებელი ... ხარ ჩემთვის. ცოცხალი იყავი და იმედი მქონდა, აღარა ხარ და მაინც იმედი მაქვს ...

გაჭირვებაში დაბარებულივით გამომეცხადებოდი. ახლაც მიჭირს ჯიმი ... არ მოდიხარ, თუნდაც სიზმარში?

მაგრამ ვიცი, როცა ჩემი აღსასრულის დღე დადგება, სასულეთიდან შენ მოხვალ; ხელს ჩამკიდებ ... წამიყვან, სადაც უკვე ველარაფერი დაგვაცილებს ერთმანეთს!

შენი ბოძბორა



## შოთა ჩიკვაშვილი

ტრაგიკულმა შემთხვევამ უდროოდ გამოგასალმა სიცოცხლეს შენ ... შვილთან ერთად. სიცოცხლეზე შეყვარებული, საერთო საქმისათვის თავდადებული, შენ ჩვენი, ყველას იმედი იყავი.

ჩვენო შოთა! გვენატრები მეგობრებს, ნათესავებს, შენს ოჯახს, შენს ... რელ დედას, რომელსაც დღემდე ცრემლი არ შეშრობია. ჩვენ ხშირად გიგონებთ როგორც ახლობელ, დიდბუნებოვან ადამიანს, როგორც ერთ პატიოსან, ... ძალებულ, გულთბილ, მშრომელ და თავისი საქმისთვის პასუხისმგებლობის ... ბით აღსავსე ახალგაზრდას. შენ ხომ უზომოდ გიყვარდა შენი საქმე, შენი ... ტუტი, რომლის მიღწევებშიც შენი მოკრძალებული წვლილი შეგქონდა.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული, ჩვენ კი არასოდეს დაგივიწყებთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები



## ირაკლი ბაკურაძე

იკო! ჩვენო სიცოცხლე და სიყვარულო! ალბათ, არ არის ის მეორე ..., რომელსაც შეეძლოს შეავსოს აუტანელი სიცარიელე ჩვენი სულების ... ინდივიდუალობა და განუმეორებლობა ხომ შენში უხვად მომადლებულ სიყვარულის გრძნობაში გამოიხატებოდა. და ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ შენი გარდაცვალებიდან მე-40 დღე სიყვარულისა და ხსოვნის დღეს ემთხვევა.

იკო! რა უსაზღვროდ ჭყვარებიხარ შენს მეგობრებს. შენ ხომ მარტო ერთ ... არ დააკლდი, მიცვალებული მთელ შენს სამეგობროს ეკუთვნოდი. ისინი ხომ ... წამითაც არ გტოვებდნენ, მუდამ თავს დაგტრიალებდნენ და გეფერებოდნენ.

ამბობენ, როცა უკვდავების გწამს, სიკვდილის არ გეშინიაო. ალბათ, ამიტომ შეხვდი სიკვდილს ასე ვაჟკაცურად...

ჩვენი სულების სამარისებური მყუდროების განათება ისევ და ისევ შენს უკვდავებაშია. და ... გვწამს, რომ შენი სული უკვდავი იქნება მანამ, სანამ შენი ახლობლები და უამრავი მეგობარი, რომლებშიც შენი სულია განაწილებული, დააბიჯებენ ამ ქვეყანაზე.

შენი ანი, ელისო, ნინიკო, აკაკი და გიორგი

## დიმილვორდი



თარაზულად: 8. „პოლი" ნაჭერ-ნაჭერ (ანექ.). 9. მხატვარი, რომელიც უსტაბაშს რუბენსი ეგონა (კინ.). 10. ნაყოფი, რომელიც მეცნიერს უმიზეზოდ არ დასცემია თავზე. 11. ის, რის გასაკეთებლად, ზოგს ტვინიც ყოფნის, ზოგს კი „ზურგიც" სჭირდება. 12. „არ გივარგა ძმაო, რატი, ტელეფონის ...". 15. გლახაკის ოცნებების მიზეზი ქილაში. 17. ზედმეტი ტვირთი, რომელიც სულაც არ არის ზედმეტი. 18. სიტყვა, რომელიც ლიზასაც მიუდგება და იზაურასაც. 19. სომხური ფულის მსგავსი თეატრალური ჟანრი. 20. სახარებასთან მწყრალად მყოფი ცხოველი. 23. რას ვერ გამოადინა დევმა წვენი? 24. ის, რისგანაც ყურს ალი ედება. 26. ის, რასაც ოლღა ჰიქა წყალში ხსნიდა, ილარიონი კი პირდაპირ ენაზე იყრიდა. 29. კაუჩუკის ვულკანიზაციის შედეგი. 31. მწერლისთვის საშიში ზურა. 32. „ბედნიერია მაშინ ზაირა, როცა უჭირავს ხელში ...". 33. ამირანის ბედში მყოფი ბერძენი. 34. ყურძნის ქურდი (სიმღ.).

შვეულად: 1. დაუზარელი პავლეს სიამაყის მიზეზი (მულტ.). 2. ამერიკელ მედესანტეს მწვანე აქვს, რუსს კი ცისფერი. 3. „ჩემი ვირი ყველგან მივა, თუ მექნება ბლომად ...". 4. ძვლიანი ჯობია უძვლოს. 5. „მთელი ოპერა არია, ისე იმღერ... როგორი ქალი იყო მარია? 7. „მომენატრა ჩემო თინა, „ნა ვერტელე" ...". 13. „თუ გედება თვალზე რული ... კარგი...". 14. ის, ვის გარეშეც მასპინძელი ვერ გახდები. 16. რას ეძებდა მაკენა? 18. ვის გასაგონად ეუბნებიან ... 21. სომხური დიასპორის უბანი თბილისში. 22. „ნახიმოვი, ჩემო ლაღი, იყო გმირი...". 25. მამლის მომ... ულირსი სასიძოების გაულეტის ანტიკური ამბავი. 28. „ან ნანი, ან ანი, მიირთვით...". 30. სპექტაკლი არ ... სამაგიეროდ ჰქონდა... (კინ.). 31. ორმაგციანი ქალის სახელი.


დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12